# ლიტერატურული საქართველო

ჩემი ხატია სამშობლო,
სახატე — მთელი ქვეყანა

საქართველოს მწერალთა კავშირის ყოველკვირეული გაზეთი

პარასკევი, 1 ივნისი | № 22 (2750), გამოცემის 58-ე წელი, 1990 | ფასი 20 კაპ.


## 1 ივნისი ბავშვთა დღეა











1 ივნისს საქართველოს მართლმადიდებელი ქრისტიანობა აღნიშნავს ქართველთა განმანათლებლის, მოციქულთასწორის ნინოს ჩვენს ქვეყანაში შემოსვლის დღეს.

## საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის პრეზიდიუმში

28 მაისს საქართველოს მწერალთა სასახლეში გაიმართა საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის პრეზიდიუმის სხდომა, რომელიც შესავალი სიტყვით გახსნა მწერალთა კავშირის თავმჯდომარემ მუხრან მაჭავარიანმა.

პრეზიდიუმის სხდომაში მონაწილეობდნენ: გრიგოლ აბაშიძე, ხუტა ბერულავა, ნოდარ გურეშიძე, რევაზ ინანიშვილი, ანა კალანდაძე, მედეა კახიძე, მურმან ლებანიძე, ელგუჯა მაღრაძე, გიორგი მერკვილაძე, რომან მიმინოშვილი, რევაზ მიშველაძე, გიორგი ნატროშვილი, ენვერ ნიჟარაძე, შოთა ნიშნიანიძე, არჩილ სულაკაური, გურამ ფანჯიკიძე, მორის ფოცხიშვილი, ჯანსუღ ღვინჯილია, ჯანსუღ ჩარკვიანი, გიორგი ციციშვილი, ტარიელ ჭანტურია, ვახტანგ ჭელიძე, ოთარ ჭელიძე, სერგო ჭილაია, ფრიდონ ხალვაში, ელიზბარ ჯაველიძე, რეზო ჯაფარიძე.

სხდომის მონაწილეებმა გამოთქვეს თავიანთი მოსაზრება საქართველოს დამოუკიდებელი მწერალთა კავშირის წესდების პროექტის შესახებ. აღინიშნა, რომ დღემდე გამოქვეყნებულმა წესდების ორმა პროექტმა დიდი ინტერესი გამოიწვია როგორც ლიტერატორთა შორის, ისე ფართო საზოგადოებრიობაში, გამოითქვა მრავალი საყურადღებო და პრინციპული მოსაზრება თუ წინადადება. პრეზიდიუმის სხდომაზე ითქვა ისიც, რომ წარმოდგენილი პროექტი საგულდაგულო ანალიზს მოითხოვს, რათა გამოიკვეთოს მისი საბოლოო სახე. ჩვენს ქვეყანაში ელვის სისწრაფით იცვლება სიტუაცია და ალბათ საჭიროა, რომ წესდება პასუხობდეს დროის ყველა მოთხოვნას. ამასთან დაკავშირებით, პრეზიდიუმმა დაადგინა, რომ წესდების პროექტის საბოლოო განხილვა და დამტკიცება გადაიდოს წლის ბოლოსთვის.

მუხრან მაჭავარიანმა პრეზიდიუმის წევრებს აცნობა, რომ ელბაქიძის დაღმართზე მდებარე ბინაში, სადაც წლების მანძილზე ცხოვრობდა ქართული მწერლობის კლასიკოსი მიხეილ ჯავახიშვილი, განზრახულია გაიხსნას მწერლის სახლ-მუზეუმი. მის გახსნას არა ერთი და ორი ობიექტური თუ სუბიექტური მიზეზი ელობება წინ და საჭიროა პრეზიდიუმის წევრთა ერთობლივი ძალისხმევა, რათა ქართული მწერლობა პირნათელი იყოს დიდი წინაპრის ხსოვნის წინაშე.

საქართველოს მწერალთა კავშირის მდივანმა გურამ ფანჯიკიძემ ისაუბრა ჰონორარებისა და საბინაო ფართის დაბეგვრის ახალი წესების შესახებ, აღნიშნა, რომ ეს წესები, რომლებიც სსრკ უმაღლესი საბჭოს სესიამ დააკანონა, არ შეესაბამება ისეთი მცირერიცხოვანი ერის მწერლობას, როგორიც საქართველოა. ითქვა ისიც, რომ დროა შეწყდეს ისეთი კანონების მიღება, რომლებიც არ შეესატყვისება საქართველოს ინტერესებს. ამ მოთხოვნას პრეზიდიუმის ყველა წევრმა დაუჭირა მხარი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# კონსტანტინე გამსახურდიას მემორიალური სახლის დაწვა

24 მაისს, გამთენიისას, აფხაზეთში, სოფელ ლიძავაში უცნობმა პირებმა დაწვეს კონსტანტინე გამსახურდიას მემორიალური სახლი. დაიწვა მწერლის წიგნები, სურათები, მემორიალური ნივთები. ეს პროვოკაციული აქცია მისადაგებულია 26 მაისის დღესასწაულისადმი და მიზნად ისახავს ქართველთა და აფხაზთა შორის ახალი კონფლიქტების პროვოცირებას, 26 მაისის ზეიმის ჩაშლას. ეს აქცია ინსპირირებულია საქართველოს უბოროტესი მტრების მიერ, იმ მაფიის მიერ, რომელსაც სულ უფრო და უფრო ინტენსიურად ამხელს დღეს შეშმარიტი ეროვნული მოძრაობა. ქართველმა ერმა პოლიტიკური შეფასება უნდა მისცეს ამ ვანდალიზმს და პასუხი მოთხოვოს მის ინსპირატორებსა და შემსრულებლებს

საქართველოს ჰელსინკის კავშირი
1990 წ. 25 მაისი

რედაქციისაგან:

ერთი წელი გვაშორებს ივლისის ტრაგედიიდან და დღესაც არავინაა დასჯილი. როგორც ჩანს, კვლავ გააქტიურდნენ ის ბნელი ძალები, რომელთაც საქართველოს და აფხაზი ხალხის სიმშვიდე აშფოთებთ. მწერლის სახლისათვის ცეცხლის წამკიდებელს სურს, მთელი საქართველო, მთელი აფხაზეთი მისცეს ალს. ვიმედოვნებთ, ახლა მაინც მიეცემა ყველა დანაშაულს სათანადო შეფასება, რათა ვანდალიზმის ამ გამოხატულებამ უფრო სერიოზული გართულებები არ გამოიწვიოს.



# 26 მაისს, სოხუმში

საქართველოს სახელმწიფოებრიობის აღდგენის დღე ფართოდ აღინიშნა აფხაზეთის სხვადასხვა ქალაქებსა და რაიონებში.

1990 წლის 26 მაისს დაახლოებით 8 ათასი ადამიანი — დიდი და პატარა, ქალი და კაცი — ეროვნული დროშებით მოვიდნენ სოხუმის ცენტრალურ სტადიონზე, სადაც გაიმართა საზეიმო მიტინგი.

მიტინგს უძღვებოდა ილია ჭავჭავაძის საზოგადოების გამგეობის წევრი, საქართველოს სახალხო არტისტი, სოხუმის კონსტანტინე გამსახურდიას სახელობის ქართული დრამატული თეატრის მსახიობი დიმიტრი ჯაიანი.

ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტმა დავითმა თავის გამოსვლაში აღნიშნა, რომ დღეს საჭიროა ვიზრუნოთ და ვიბრძოლოთ ქართველი ხალხის სულიერი დამოუკიდებლობის მისაღწევად, რადგან ეს არის სრული თავისუფლების საფუძველი.

მიტინგის მონაწილეები ოვაციებით შეხვდნენ ლიტვის წარმომადგენელს ვალდას კუჩკას, რომელმაც დამოუკიდებელი რესპუბლიკის სახელით ქართველ ხალხს მიულოცა დღესასწაული.

საქართველოს ჰელსინკის კავშირის წევრმა, საქართველოს უზენაესი საბჭოს დეპუტატმა ნუგზარ მგალობლიშვილმა აღნიშნა, რომ აფხაზეთი რჩება საქართველოს ურთულეს რეგიონად, სადაც ცენტრმა თავისი პოლიტიკით შექმნა კრიზისული სიტუაცია, გაწირა აფხაზი ხალხი.

თავისი გამოსვლის ბოლოს ნ. მგალობლიშვილმა იმედი გამოთქვა, რომ მომავალში პროგრესულად მოაზროვნე აფხაზი ერის წარმომადგენლები მხარში ამოუდგებიან ქართველებს საქართველოს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში.

ეს აზრი განავითარა მიტინგის წამყვანმა დიმიტრი ჯაიანმა, რომელმაც საზოგადოების სახელით გამოაცხადა, რომ ქართველი ხალხი 1990 წლის 31 მაისს გვერდში ამოუდგება აფხაზ ხალხს, რომელიც ამ დღეს აღნიშნავს მუჰაჯირობის — აფხაზი და სხვა კავკასიელი ხალხების თურქეთში ძალით გადასახლებისა და ამ დეპორტაციის დროს დაღუპულთა ხსოვნის დღეს. დ. ჯაიანმა თქვა, რომ მუჰაჯირობა ქართველი კაცის ტკივილიცაა, რადგან აფხაზებთან ერთად სამშობლოდან გაასახლეს ქართველებიც.

მიტინგის მონაწილეებმა წუთიერი დუმილით პატივი მიაგეს მერაბ კოსტავას და სხვა დაღუპულ ქართველ პატრიოტთა ხსოვნას.

საინტერესო იყო სრულიად საქართველოს რუსთაველის საზოგადოების აფხაზეთის რეგიონალური ორგანიზაციის განყოფილების თავმჯდომარის მალხაზ პატარაიას გამოსვლა. მან, კერძოდ, თქვა, რომ აფხაზეთში არის საკავშირო თავდაცვის სამინისტროს უამრავი სანატორიუმი, დასასვენებელი სახლი, ტურისტული ბაზა, პანსიონატი. ამ დროს კი ათასობით ქართველ ინვალიდს, ავადმყოფს, მათ შორის ჯარში დასახიჩრებულ ახალგაზრდას საშუალება არ აქვს იმკურნალოს. მალხაზ პატარაიამ მოუწოდა საზოგადოებას იბრძოლოს იმისათვის, რომ ეს დასასვენებელი და აღდგენითი ცენტრები, სახლები, დაწესებულებები ჩამოერთვას თავდაცვის სამინისტროს და გადაეცეს რესპუბლიკას.

საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ცხუმ-აფხაზეთის ბიუროს წევრმა ალექსანდრე ჯიქიამ მოუწოდა ყველას, მათ შორის საქართველოს 400-ათასიან კომუნისტური პარტიის წევრებს, მიიღონ მონაწილეობა საქართველოს ეროვნული კონგრესის არჩევნებში, რომელიც ჩატარდება 30 სექტემბერს.

მიტინგზე სიტყვებით გამოვიდნენ სრულიად საქართველოს მერაბ კოსტავას საზოგადოების ცხუმ-აფხაზეთის განყოფილების გამგეობის წევრები რევაზ კემულარია და დემურ ქებურია, საქართველოს სახალხო ფრონტის აფხაზეთის რეგიონალური ორგანიზაციის გამგეობის თავმჯდომარე პროფესორი შოთა ჯლამაძე, ამავე გამგეობის წევრი ექიმი ჯუმბერ ჯოჯუა; საქართველოს ჰელსინკის კავშირის წევრი ზურაბ კვარაცხელია, საზოგადოება „ლემის“ წარმომადგენელი აკაკი გახვიანი და სხვები.

დასასრულ მიიღეს რეზოლუცია, რომლის პროექტი წაიკითხა რევაზ კემულარიამ. რეზოლუციაში აღნიშნულია, რომ საჭიროა ქართველთა ერთ მძლავრ მუშტად შეკვრა, ურთიერთთანადგომა, მხოლოდ ყველა პატრიოტული ძალის კონსოლიდაციას შეუძლია მიგვიყვანოს სასურველ მიზანთან.

26 მაისს საღამოს სოხუმის კ. გამსახურდიას სახელობის ქართულ დრამატულ თეატრში გაიმართა ჯაბა იოსელიანის პიესის „დედოფალი მარიამის“ პრემიერა (რეჟისორი მიხეილ რატიანი), რომელიც მიეძღვნა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის დღეს.

1990 წლის 26 მაისს მსგავსი ხალხმრავალი მიტინგები და საზეიმო ღონისძიებები ჩატარდა გალში, ოჩამჩირეში, გულრიფშსა და, ზოგიერთი წინააღმდეგობის მიუხედავად, გაგრაში.

**თენგიზ პაჭკორია**
ქ. სოხუმი.

შუქრი დგებუაძის ფოტო.





# მკვდრები მოგვიწოდებენ ცოცხლებს

ჩვენი სამშობლოს მრავალტანჯულ მიწას კიდევ ერთი წმინდა ადგილი მიემატა. ეს არის ბათუმის მთავარი მოედანი, სადაც ამაყად ფრიალებს საქართველოს სამფეროვანი დროშა. აქ, ამ მოედანზე, ქალაქის მოწინავე ინტელიგენცია, ადგილობრივი ხელმძღვანელობის მხარდაჭერით, აწარმოებს გათხრებს. როგორც საარქივო მასალებიდან ცნობილი გახდა, სწორედ აქ დაუსაფლავებიათ 1921 წლის მარტში საქართველოში შემოჭრილი თურქი დამპყრობლების წინააღმდეგ საქართველოს თავისუფლებისათვის ბრძოლაში დაცემული ქართველი მოლაშქრეები, გენერალ გიორგი მაზნიაშვილის ცნობით (რომელიც ხელმძღვანელობდა აჭარიდან მოძალადეების განდევნას) ამ ბრძოლებში დაიღუპა 84 მებრძოლი (არის სხვა ცნობებიც), აქედან 40 დაღუპული ძირითადად გურიიდან და აჭარიდან, თანასოფლელებმა და ჭირისუფლებმა წაიყვანეს და თავიანთ სოფლებში დაასაფლავეს. 44 გმირი ვაჟკაცი კი სწორედ აქ, ამ საძმო სოფლავში დაკრძალა ქართველმა ხალხმა. შემდეგ, როცა ამ მოედანს ლენინის სახელი ეწოდა, ეროვნული გმირების საფლავები, როგორც იტყვიან, „მიწასთან გაასწორეს“ (ამ სიტყვების პირდაპირი მნიშვნელობით, ასფალტი დააგეს და ზედ მანქანები დადიოდნენ), მაგრამ ამაოდ. სანთელ-საკმეველმა თავისი გზა არ დაკარგა. ხალხმა არ დაივიწყა გმირები და ისევ საშველოზე გამოიტანა სამშობლოსათვის დაღუპულთა სახელები. ჯერჯერობით 14 სახელი და გვარია ცნობილი. აი ისინიც: მაყვალა ყანჩაველი, იასონ გვარამია, ტატაშ ემუხვარი, ერასტო ქირია, ილარიონ ბალიშვილი, პეტრე აკობია, გრიგოლ ანჩაბაძე, სიმონ წურწუმია, სანდრო მინჯია, მიტო ჩიკვაიძე, კუკური ზარანდია, პეტრე ზუხბაია, ლადო მეტრეველი, შოთა ვადაჭკორია. კითხულობ ამ გვარებს და სიამაყესთან ერთად, საოცარი გულისტკივილიც გეუფლება. მდინარე ღალიძგას გახსენებაზე... აქ ხომ ერთმანეთის პირისპირ იარაღით ხელში, იდგნენ ამ გვარების ცოცხალი წარმომადგენლები. გაჭირვების ჟამს ჩვენმა საერთო დედამ — საქართველომ თითქოს მკერდი გადაიხსნა, დაგვანახა და გაგვახსენა ჩვენი ისტორია, ჩვენი ღირსეული წინაპრები. თითქოს მკვდრები მოგვიწოდებენ ცოცხლებს: გავერთიანდეთ საქართველოს ყველა კუთხის შვილები საქართველოს საერთო მტრის წინააღმდეგ ბრძოლაში.

●

გათხრების დამთავრების შემდეგ, აქ დაიდგმება სათანადო მემორიალი წარწერით. ამ საქმის ორგანიზატორები და ინიციატორები თხოვნით მიმართავენ მკითხველებს, იქნებ ჯერ კიდევ ცოცხლები არიან 1921 წლის მარტის ბრძოლის მონაწილეები, ან ისინი, ვინც მონაწილეობა მიიღეს გმირების დაკრძალვაში. ან იქნებ მათმა ახლობლებმა იციან რაიმე ზემოთ ნახსენებ ამბებზე, გთხოვენ გამოეხმაურონ.

**ნოდარ ჯალაღონია**

# მორიგი ინციდენტი

16 მაისს გაგრაში მომხდარმა ინციდენტმა მითქმა-მოთქმა გამოიწვია. ინფორმაციის ნაკლებობა კიდევ უფრო აბუნდოვნებდა ამბავს.

ამას მერე სხვა უსიამოვნო ამბებიც მოჰყვა და მათ ფონზე შეიძლებოდა აღარც გაგვემახვილებინა ყურადღება გაგრაში, სტადიონზე მომხდარ ინციდენტზე, მაგრამ მიჩუმათების, წაყრუების მწარე გაკვეთილები გვასწავლის, რომ სიმართლე უნდა ითქვას, მაგრამ ამან ხელი არ უნდა შეუშალოს ორ ხალხს შორის სასურველ ჯანსაღ ურთიერთობას.

თუ რა მოხდა გაგრაში, თვითმხილველმა, და ეროვნულმა მოძრაობის ერთ-ერთმა აქტივისტმა ჯონი ლატარიამ გვიამბო:

„უდიდესი წინააღმდეგობის მიუხედავად, სახალხო ფრონტმა, რუსთაველისა და ილია ჭავჭავაძის საზოგადოებებმა, „ლემმა“, ადგილობრივ ხელმძღვანელობასთან შეთანხმებით, გადაწყვიტეს 16 მაისს ფეხბურთის ჩემპიონატის გახსნა.

ცერემონიალს ესწრებოდნენ როგორც ქართველი, ისე სხვა ეროვნების წარმომადგენლებიც. 6 საათზე ზეიმი დაიწყო. გამოვიდა გაგრის ფეხბურთის ფედერაციის თავმჯდომარე რევაზ შარტავა, მან მიულოცა დამსწრეთ ეროვნული ჩემპიონატის გახსნა. აქვე იყვნენ საქართველოს ეროვნული ფეხბურთის ფედერაციის წარმომადგენელი და მატჩის კომისარი. ბოლოს აღიმართა საქართველოს ეროვნული დროშა.

მატჩის პირველი ნახევრის დასასრულამდე მოსალაპარაკებლად მიგვიწვიეს აფხაზეთის გაგრის რეგიონალური სახალხო ფორუმის წარმომადგენლებთან. მისვლისთანავე ჩვენგან მოითხოვეს დროშის ჩამოხსნა. განაცხადეს, რომ სხვაგვარად მატჩი აღარ გაგრძელდებოდა. ჩვენ ამაზე უარი ვუთხარით.

შესვენების დროს აფხაზთა ერთმა ჯგუფმა გასახდელის კარი ჩაუკეტა ფეხბურთელებს.

სიტუაცია ძალიან დაიძაბა, ხალხი თამაშის განახლებას ელოდა. ჩვენ მოვითხოვეთ ადგილობრივი ხელისუფლებისაგან მილიციის საშუალებით დაემყარებინათ წესრიგი, მაგრამ მილიციამ სიტუაციის განმუხტვა ვერ მოახერხა.

ჩვენ იძულებულნი ვიყავით ფეხბურთელები ფანჯრიდან გამოგვეპარებინა.

როცა მატჩი განახლდა (საათნახევრის შემდეგ), აფხაზთა ჯგუფმა კვლავ გადაწყვიტა ხელის შეშლა და სტადიონზე შემოიჭრა. ჯარი იძულებული გახდა განედევნა ისინი. საბედნიეროდ, ინციდენტი მშვიდობიანად დასრულდა.

საქართველოს დემოგრაფიული საზოგადოების გამომცემლობა „კიდევაც დაიზრდებიან“ სცემს ლიტერატურულ ნაწარმოებებს ავტორთა ხარჯით. მსურველებს ვთხოვთ მიმართონ შემდეგი მისამართით:

საქართველოს დემოგრაფიული საზოგადოების გამომცემლობა „კიდევაც დაიზრდებიან“, — თბილისი, კრილოვის ქ. № [illegible], ტელეფონი 96-24-27.

საგამომცემლო-შემოქმედებითი ჯგუფი „მთაწმინდა“, — თბილისი, რუსთაველის პროსპექტი № 40/1, საქართველოს მწერალთა კავშირის ორგანო, ალმანახი „კრიტიკა“, ტელეფონი 93-23-78.

## კობა იმედაშვილი

# ფიქრი...

ეს დღეც ჩათავდა. კიდევ ერთი დღით მივუახლოვდი სიკვდილს. არარაობას? სამოთხეს? ჯოჯოხეთს? ნუთუ მარტო სტუმრები ვართ ამ ქვეყნის? ან იქნებ დედამიწა მხოლოდ სადგურია, ჩამოსასვენებელი ბაქანი რომელიღაც შორეულ გზაზე, სადაც დროთა სიღრმიდან მოდიხარ, ღმერთს რომ მიუახლოვდე?..

არ ვიცი...

დღე კი ჩათავდა. ცოდვილის ცოდვილი დღე.

●

1989. სისხლიანი წელი. მზაკვარი წელი. ღალატის, ცილისწამების, სიბინძურის წელი.

1989. გამოფხიზლების წელი. წმინდა სისხლის წელი. ამაღლების, იმედის, ბრძოლის წელი.

ისიც შეუერთდა მარადისობას. ჩვენი შთამომავლობა ისწავლის ამ წელს, როგორც საქართველოსთვის ახალი დროის დასაწყისს, ათვლის წერტილს, შეფასების კრიტერიუმს.

როცა დავბერდები, შვილიშვილი შემეკითხება, სად იყავი 1989 წელსო და უნდა უპასუხო.

იმ პასუხმა უნდა გადაგარჩინოს და გადაარჩინოს საქართველო.

●

საიდან მოვდივართ და საით მივდივართ? რატომ, რისთვის და ვისთვის? რა აზრი აქვს ჩვენს მოძრაობას? რა არის ეს, მოძრაობა მოძრაობისთვის თუ ძნელი გზა ღმერთთან მისაახლებლად?

ნუთუ ამ გზაზე აუცილებელი იყო, რომ ადამისა და ევას ცოდვის შვილები მონაწილენი გავმხდარიყავით საქართველოში სატანის თითქმის სამოცდაათწლიანი ზეობისა, ზოგი მსხვერპლად, ზოგი ჯალათად, ზოგი მოწმედ, მაგრამ ყველა ათასგზის ცოდვილად, რამეთუ ცოდვილია ისიც, ვინც ჯალათსა და დამსმენს, მოძალადესა და მზაკვარს მისცა საშუალება თავისი სატანური საქმეების ჩადენისა, დაუჯერა ყალბ სიტყვებს, დამორჩილდა ბოროტებას.

დღეს ჩვენ გზაჯვარედინზე ვდგავართ, მხოლოდ ჩვენზეა დამოკიდებული დავძლევთ თუ არა სატანას ისტორიის ამ მოსახვევზე, თუ კიდევ ერთხელ მოგვატყუებს, წმინდა სიტყვებს ამოფარებული, კიდევ ერთხელ შეგვაცდენს და კიდევ ერთხელ გაგვაწირინებს საქართველოს.

ფრთხილად.

ღმერთი რომ იყოს ჩვენთან, ჯერ ჩვენ უნდა ვიყოთ მასთან.

ჯერ ყოველმა ჩვენგანმა საკუთარ სულში უნდა დაამარცხოს სატანა, მოციქული მძულვარების, შურის, სიცრუის და სისასტიკისა.

სწორედ ესაა პირველი ნაბიჯი გადადგმული ღმერთისკენ, საკუთარი თავისკენ, საკუთარი და ქვეყნის თავისუფლებისკენ.

●

თითქმის საუკუნის წინათ ნათქვამი „არ მომკვდარა“, დღესაც შეიძლება ითქვას ჩვენს ხალხზე. მართლა არ მომკვდარა, მაგრამ კი არ სძინავს, როგორც აკაკი ამბობდა და „გაიღვიძებსო“, იმედოვნებდა, არამედ არ მომკვდარა და სხვა ცხოვრებით უცხოვრია, სხვაგვარად უცხოვრია, სხვა ღმერთებისთვის ულოცია, სხვის სალოცავში აუნთია სანთელი.

ძნელია ეს — სინამდვილის დანახვის მომენტი, ერს შეიძლება შოკი დაემართოს. თუ არა ამ სიტუაციით, სხვა ვერაფრით ამიხსნია ქართველის გაუცხოება თავისი ოდინდელი არსისგან. იგი ისტორიულად მუდამ ტოლერანტი იყო, მიმნდობი, კაცთმოყვარე, მიმტევებელი. ახასიათებდა ყოველივე ის, რაც ჭეშმარიტ რაინდს უნდა ახასიათებდეს. ახლა კი ხშირად უფრო სხვა ჩანს: ეჭვიანობა, კაცთმძულვარება, მიუტევებლობა. ყველა ის თვისება, რაც სულით, გონებითა და სხეულით სუსტ ადამიანს ახასიათებს. ქართველი კაცი ყოველივე ამისგან შორს იდგა. ახლაც უნდა განერიდოს და გაემიჯნოს მას. ქართველი კაცი თავის თავს უნდა დაუბრუნდეს, თავის არსს, თავის ცროვნულობას — შრომაში, ბრძოლაში, ლხინში.

იგი უნდა დაუბრუნდეს თავის თავს ღმერთთან და სამშობლოსთან დამოკიდებულებაში.

დღევანდელი ქართველობა უნდა გახდეს ქართველობის ღირსი.

სხვა გზა დაღუპვის გზაა.

●

25 მარტის არჩევნების გადადება, მე მგონი, შეცდომა იყო, ამას ადასტურებს თუნდაც ის, რომ არის უამრავი ნაბიჯი გადასადგმელი, რომელიც უნდა გადადგას ხალხის არჩევითმა წარმომადგენლობამ, როგორც იურიდიულმა სუბიექტმა, (ჯერ კიდევ თებერვალში ვწერდი ყოველივე ამაზე ჩემს წერილსა და პროგრამაში), ხოლო ჩვენი უზენაესი საბჭო არაფერს აკეთებს.

მისი 9 მარტის გადაწყვეტილებები მეტად მნიშვნელოვანი იყო, მაგრამ ამ გადაწყვეტილებებს აკლდა უმთავრესი (რაკილა კრემლიცა და მსოფლიოც მხოლოდ ამ საბჭოს ცნობს იურიდიულ სუბიექტად), საქართველოს რეალური პოლიტიკური სტატუსის განსაზღვრა (იგი ოკუპირებული ტერიტორიაა) და მისი შესაბამისი იურიდიული გარანტის, მრავალპარტიული სათათბიროს (ან კონგრესის) არჩევნების გამოცხადება.

კიდევ ერთი პარადოქსი საბჭოთა სინამდვილისა — არაკანონიერმა უზენაესმა საბჭომ უნდა დააკანონოს მრავალპარტიული სათათბიროს ოფიციალური სტატუსი.

რას იზამთ, ასეთია რეალობა.

მაგრამ ამის გაკეთება კიდევ შეიძლება. ამ მოწვევის უზენაეს საბჭოს ეს ძალუძს.

და თუ ეს მოაახლოვებს ჩვენი თავისუფლების დღეს, რატომ უნდა ვთქვათ ამაზე უარი? პარტიული უკომპრომისობის გამო?

განა ჩვენს ყოველდღიურ ურთიერთობაში ამ რეჟიმთან არ მივდივართ უამრავ კომპრომისზე?

იყოს ერთი კომპრომისიც, ოღონდ, ამჯერად არა პირადი კეთილდღეობისთვის, არამედ საქართველოსთვის.

●

საქართველოს გათავისუფლება დღეს ყოველ ჩვენგანს შეუძლია და ყოველ ჩვენგანს ევალება.

მაგრამ საქართველოს დაღუპვაც შეუძლია ყოველ ჩვენგანს — უპასუხისმგებლობით, მონური ფსიქოლოგიის აღზევებით, პირადი ყოფის მოწყობით, ამბიციურობით, საკუთარი კომპლექსების კარნახით, მძულვარებითა და მოუთმენლობით, უვიცობით, უკულტურობით, უზრდელობით, ერთმანეთის მტრობითა და გაუტანლობით, შურითა და ბეზღობით, მოკლედ, ყოველივე იმით, რაც ჩათესილია ყოველ ჩვენგანში და მხოლოდ დროსა და პირობებს ელოდება, რომ შხამიან ყვავილად გაიფურჩქნოს.

ძნელი ბრძოლა გვაქვს მოსაგები, მარტო თვალხილულ მტერთან კი არა, ჩვენსავე თავთან. ამ ბრძოლის მოგების გარეშე საქართველოს თავისუფლება ფუჭი ოცნებაა და მეტი არაფერი.

●

24 აპრილს, როცა რუსთაველის პროსპექტზე სროლა ატყდა, იქ ვიყავი, ფოსტისა და ყოფილი მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის შენობის პირდაპირ, „ზარია ვოსტოკას“ რედაქციის გვერდით, „წიგნის მოყვარულთა საზოგადოებაში“.

რუსთაველზე იხვრიანო, ვიღაც შემოვარდა ოთახში და იმ წამს დაბლა ჩავირბინე. ისროდნენ ფოსტის მხარეს, მერე სროლის მონაწილე ბიჭები სასწრაფოდ ჩასხდნენ მანქანებში და გაუჩინარდნენ.

რუსთაველზე დარჩა შეშფოთებული ხალხი და დაბნეული მილიციელი. არავინ დაჭრილა, თვითონ სროლის მონაწილეთა გარდა, არავინ მომკვდარა.

მადლობა ღმერთს.

როგორც შემდეგ გაირკვა, ეს არ იყო სუკის პროვოკაცია, ეს არ იყო ცენტრის მიერ ინსპირირებული ეთნოკონფლიქტი, ეს არ იყო არც სამხედროების თავდასხმა...

უბრალოდ, ეროვნული მოძრაობის აქტივისტებმა კამათის დროს არგუმენტად გამოიყენეს ტყვია. მეტი არაფერი.

ასე დაგვირგვინდა ის სიტყვიერი აგრესია ქართველი კაცის მიმართ, რომელსაც ეროვნული იდეალების დროშა აქვს ხშირად აფარებული.

მე თუ მკითხავთ, სწორედ ესაა პროვოკაცია, ყველაზე საშიში და შორს გამიზნული. ჩემთვის არა აქვს მნიშვნელობა ვინაა ამ პროვოკაციის ჩამდენი — ბრიყვი, უპასუხისმგებლო, ავადმყოფი ფსიქიკის პიროვნება, ორდინარული სისხლის სამართლის დამნაშავე თუ მოღალატე ეროვნული ინტერესებისა.

ამ გზას ლიბანისკენ მივყავართ.

ლიბანიზაციისკენ მივყავართ ურთიერთსიძულვილს, შეურიგებლობას და დიქტატს.

ეს არაა ეროვნული თავისუფლებისაკენ მიმავალი გზა.

ესაა გზა ეროვნული კატასტროფისა.

●

ეროვნული მოძრაობა ახლა განვითარების ახალ ფაზაში შედის — სურვილებთან შედარებით უპირატესობა კონცეფციებს ენიჭება. ბაქოს ტრაგედიამ და ბალტიისპირეთის დრამამ აქ, ეტყობა, რაღაცეები გვასწავლა. სწორედ ამიტომ, თუ სრულად არ იქნა გათვალისწინებული თავად ჩვენს საზოგადოებაში ჩაბუდებული ანტაგონიზმის მრავალგვარობა, ჩვენი მცდელობა რეალური თავისუფლების მიღწევისა ნაკლებ წარმატებული იქნება, ხოლო მისკენ სავალი გზა ხელოვნურად გართულებული:

საქართველოში ახლა მიმდინარე პროცესებს, სავსებით სამართლიანად, ეროვნულს ვარქმევთ, მაგრამ ეროვნულს მიღმა აქ სხვაც ბევრია — აქაა ბრძოლა სოციალური, ბრძოლა პოლიტიკური, ბრძოლა თაობათა, ბრძოლა ერთა და ეროვნებათა, ბრძოლა ნიჭიერთა და უნიჭოთა, ბრძოლა ქალაქისა და სოფლისა, ბრძოლა კარიერისთვის, ბრძოლა საკუთარ კომპლექსებთან (პიროვნების შიგნით გაჩაღებული ბრძოლა), ბრძოლა დროსთან (პროცესთა აჩქარების განწირული სურვილით)...

ჩვენ თითქმის არაფერი ვიცით ამ „ბრძოლათა“ შესახებ. ამდენად ჩვენი ქმედება ხშირად ჩაბნელებულ ოთახში ხელის ცეცებით კედლებზე ხეთქებას ჰგავს.

საჭიროა დაჯდომა და ყოველივე ამის დინჯად და ღრმად გაანალიზება. საჭიროა არა მარტო მიზნის დასახვა, არამედ ამ მიზნის მისაღწევი ნაბიჯების ზუსტად მეცნიერულად გამოთვლაც.

ყოველივე ამის გამკეთებელი კი ჯერჯერობით არავინაა.

●

ჩვენ ჩამოვრჩით.

ყოველდღიურმა მიტინგებმა, ერთი და იგივეს გამეორებამ, სიტყვებმა, ლოზუნგებმა დაღალა ხალხი.

დადგა დრო კაბინეტური მსჯელობისა და ღრმად გააზრებული მოქმედებისა.

ჩვენ დავაგვიანეთ.

ბალტიისპირეთის ჩქარი მატარებელი უკვე გავიდა და ჩვენ ახლა მხოლოდ მის კუდსღა ვხედავთ.

თუმცა განა მასზე უნდა დავმსხდარიყავით?

რაკილა ბარგზე ვსხედვართ, მოდით, გამოვიყენოთ დროის ფაქტორი, ვნახოთ, რა ხდება მსოფლიოში, რა ხდება მოსკოვში, რა ხდება სხვა რესპუბლიკებში... რა ხდება ჩვენთან...

თავად ჩვენს ხალხს დავეკითხოთ რა უნდა, როგორი ცხოვრება უნდა და რას ელის ეროვნული მოძრაობისგან...

ჩვენც მოვემზადოთ, ვიცოდეთ, რა უნდა გავაკეთოთ ხვალ, ვინ რა უნდა გააკეთოს.

რაკილა ჩამოვრჩით, ახლა დინჯად ვიჩქაროთ, რომ თავისუფლება მყარი იყოს, რომ თავისუფლება ყველას ხვედრი იყოს და სამუდამო.

იმაზეც ვიფიქროთ და ისიც განვსაზღვროთ დღეს, როგორ და რითი უნდა შევინახოთ ქვეყანა, ვისგან უნდა დავიცვათ, როგორ უნდა დავიცვათ, ვისთან უნდა ვივაჭროთ, ვისთან ვიმეგობროთ...

მერე ამის დრო აღარ გვექნება...

ჩვენი მატარებელიც მალე მოვა...

●

SOS.

თითქმის სამოცდაათი წლის მანძილზე კომპარტიას იყენებდნენ მავანნი ან კომპარტია იყენებდა მავანთ ნიჭთან, აზრთან, პიროვნებასთან, პატიოსნებასთან, რწმენასთან საბრძოლველად. ასე იკვრებოდნენ უნიჭონი, უაზრონი, უპიროვნონი, უსინდისონი და ურწმუნონი. მოსპეს მწერლები, მოსპეს კომპოზიტორები, მოსპეს მეცნიერები, მოსპეს სამხედრონი, მოსპეს სამღვდელონი, მოსპეს ლამაზნი, ახოვანნი, საქმეში და ცხოვრებაში წარმატებულნი. პიროვნებები მოსპეს... მოსპეს დედამიწაზე სამოთხის შეპირებით, თითქოს ადამიანსა და კაცობრიობაზე ზრუნვით, თითქოს მაღალი იდეალებით...

ყოველივე ამის გამოძახილი დღესაც ისმის...

დღესაც იყრის შხამიან ყლორტებს დროის მიერ გადანასხიპი ლენცოფა, დღესაც იყენებენ პარტიებს და დღესაც იყენებენ პარტიები... საქართველოს განთავისუფლების ლოზუნგებით დღესაც ეძებენ „მოღალატეებს“, დასაწვავ წიგნებს, ასაკრძალავ აზრებს, დასარბევ პიროვნებებს...

რაც მთავარია, ისინი, საეჭვო ადამიანები, აქტიურად ეტმასნებიან ჩვენი ეროვნული მოძრაობის ლიდერებს და სავსებით გამიზნულად დისკრედიტაციას უკეთებენ პირადად მათ და დიდ ეროვნულ საქმესაც თავისი არსებობით, სიტყვითა თუ საქმით...

აი, სადაა საძიებელი აგენტები და მოღალატენი...

ნუთუ ისევ გაგვწირავს ღმერთი?

ნუთუ ჩვენი საშველი აღარაა?

ვისაც მართლა უყვარს საქართველო, დაფიქრდეს ამაზე, ხოლო ვისაც არ უყვარს, იმაზე დაფიქრდეს, რომ ნიჭიერი კაცის დარბევა უნიჭოს ნიჭიერად ვერ აქცევს და კიდევ იმაზე, რომ ადრე თუ გვიან ყველაფერს მაინც დაერქმევა თავისი სახელი.

ფრთხილად!

ჩვენი დამარცხება ჩვენსავე თავში იწყება.

ჩვენი მტერი როგორც არაერთხელ, ახლაც ჩვენი ხელით აკეთებს თავის საქმეს.

ფრთხილად!

ეროვნულ მოძრაობას დღეს უდიდესი მიზანი და უდიდესი საქმე აქვს გასაკეთებელი, მას კი ძველი, საბჭოური ინტრიგების ქსელში ვხვევთ. ამას ვინ გვაპატიებს.

ღმერთო, იხსენი ჩვენი სულები!

●

ოცდახუთ მაისს საქართველოს ეროვნულმა ყრილობამ მეტად მნიშვნელოვანი და პრინციპული გადაწყვეტილება მიიღო. ეროვნული კონგრესის მომავალი არჩევნები გაიმართება ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე.

ეს გადაწყვეტილება მნიშვნელოვანია სამართლებრივად, მნიშვნელოვანია საქმისთვისაც.

ეროვნული მოძრაობა უნდა გახსნილი იყოს ყველა იმისთვის, ვისაც უყვარს თავისი ქვეყანა, ვისაც შეუძლია სიკეთე მოუტანოს თავის ქვეყანას და რაღაცა არგოს.

ამ გადაწყვეტილების ფონზე განსაკუთრებულ შეცდომად მესახება სახალხო ფრონტის კონფერენციის ოცდაოთხი მაისის გადაწყვეტილება, ფრონტის წესდებაში შეიტანოს მუხლი, რომელიც აუკრძალავს ფრონტის წევრობას სკკპ წევრებს, მათ შორის უამრავ ქართველს, მსხვერპლს საბჭოთა გაორებული სინამდვილისა, თავისი საქმის მცოდნეს, ჭეშმარიტ პროფესიონალსა და პატრიოტს.

თუ მომავალი ყრილობა სახალხო ფრონტისა ივნისში მიიღებს წესდების ამ შესწორებას, იგი დაუშვებს უდიდეს შეცდომას — გაყოფს ქართველობას ორ ნაწილად.

ვის სჭირდება ეს?

●

26 მაისი — მარტო საქართველოს თავისუფლების დღე არაა.

დღეს იგი ჩვენთვის ისტორიული მეხსიერების აღდგენის დღეცაა, ეროვნული ღირსების აღდგენისა და ღმერთთან დაბრუნების დღეც.

მაგრამ ეს დღე, 26 მაისი, სხვა რამესაც გვეუბნება და სხვა რაიმეზეც მიგვანიშნებს: თავისუფლების მოფრთხილება უფრო ძნელია, ვიდრე მისი მოპოვება. ის მტრები, რომელნიც მაშინ ჩაგვისაფრდნენ, დღეს უფრო მომრავლდნენ, დღეს უფრო მომძლავრდნენ და მხოლოდ სურვილითა და შეძახილებით მათი დამარცხება შეუძლებელია. საჭიროა გონიერება, ცოდნა, გარჯა, გამოთვლა მოწინააღმდეგეთა შესაძლო სვლებისა, თორემ ჩვენ ხშირად იმ მოჭადრაკეს ვგავართ, მხოლოდ საკუთარ სვლებს რომ ითვლის...

თავისუფლების მოპოვება ძნელია, მაგრამ მერე თავისუფლად და ადამიანურად ცხოვრება — უფრო ძნელი.

26 მაისი, ყოველი ჩვენგანის დაბადების დღე, ამასაც გვახსენებს.

●

„საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა“...

დღეს ეს სამი სიტყვა ყველამ გაითავისა, ზოგმა სავსებით გულწრფელად და თავდადების მზაობით, ზოგმა პირადი გამორჩენის სურვილით. პირველნი გვაახლოვებენ დამოუკიდებლობასთან, მეორენი გვაშორებენ. არადა, ეს მეორენი, საშოვარზე გამოსული ხალხი, საკმაოდ ბევრია, ბევრია ისინი სამიტინგო მიკროფონებთან, ფორმალური თუ არაფორმალური პრესის ფურცლებზე, სოფლად თუ ქალაქად.

საშოვარზე გამოსულ ხალხში ბევრია სოფლისა თუ ქალაქის „ბირჟავიკები“ — არაფრისგამკეთებელი, უსაქმური, დალლარა და ზარმაცი ხალხი, ცხოვრებაში ხელმოცარულნი, დაკომპლექსებული ადამიანები. ხუთი-ათი წლის წინათ ბევრი მათგანი ჯერ კომკავშირის რაიკომების, ხოლო შემდეგ პარტიის რაიკომების ინსტრუქტორები გახდებოდნენ, მერე განყოფილების გამგეები, მერე მდივნები და ა. შ. ახლა ათკაციან პარტიებს აარსებენ და „აწერენ“ ხარკს — მაღაზიის გამგეებს, კოოპერატორებს, „ცეხოვიკებს“... ყოველივე ამას აკეთებენ ეროვნული მოძრაობის სახელით, სახალხო ფრონტისა თუ ამა თუ იმ პარტიისა და საზოგადოების სახელით...

ეს ბოროტი, შორსგამიზნული აფერისტობაა, მიმართული სწორედ ეროვნული მოძრაობის წინააღმდეგ.

პასუხისგებაში მისაცემი დამნაშავენი კი თავისუფლად დადიან და არცხვენენ ეროვნულ მოძრაობას.

მაშინ, როდესაც ხელისუფლება კანონის დარღვევაზე თვალს ხუჭავს, მაშინ, როდესაც ცენტრალური ხელისუფლებისა და ოპოზიციის პოლიტიკური მიზნები ერთმანეთს ემთხვევა, დროა, დაფიქრდეს კაცი: ან ძალიან უნიათო მთავრობა გვყავს, ან ოპოზიციას ეშლება რაღაც. არის მესამე ფიქრიც: სავსებით შეგნებულად არის მიშვებული პროცესი თვითდინებაზე, რათა ჰეროიკული კომიკურად იქცეს, ტრაგედია — ფარსად, სიბრძნე — სისულელედ.

ეროვნული მოძრაობა აქ უნდა დაფიქრდეს.

ეროვნული მოძრაობის ამა თუ იმ ლიდერისა და ამა თუ იმ ჯგუფების დაუფიქრებელმა, არაპროფესიულმა და არაჭკონდიერულმა სიტყვამ თუ საქმემ არცთუ იშვიათად ჩვენი მტრის საქმე გააკეთა. მოსახლეობის საკმაოდ დიდ ნა-

(დასასრული მე-4 გვ.)

(დასასრული)

წილს ეს აფრთხობს, ეჭვითა და სკეპსისით განაწყობს ეროვნული მოძრაობის მიმართ.

აქაც დაფიქრება გვმართებს და ბევრი რამის პრინციპულად შეცვლა.

მერე გვიან იქნება.

●

ჩვენ ახლა ვანგრევთ, მაგრამ შენებაზეც უნდა ვიფიქროთ.

როგორი უნდა იყოს თავისუფალი საქართველო?

მთავარი ესაა.

მინდა მე ავტორიტარულ საქართველოში ცხოვრება? არა, რადგან ეს არ იქნება თავისუფალი საქართველო, ეს არ იქნება თავისუფალ ადამიანთა სახელმწიფო.

ჩემთვის მიუღებელია ნებისმიერი აზრის დიქტატი.

მინდა მე იმ საქართველოში ცხოვრება, სადაც ვინმეს დაჩაგრავენ, სულერთია ვინც არ უნდა იყოს იგი — ქართველი, რუსი, აფსუა, სომეხი, ოსი თუ აზერბაიჯანელი?

არა. ვინც ერთიანი, განუყოფელი, თავისუფალი, დემოკრატიული საქართველოს ერთგული იქნება, მას უნდა ჰქონდეს ყველა საშუალება და უფლება პიროვნული თუ ეროვნული განვითარებისა.

ჩემთვის მიუღებელია ვინმეს დაჩაგვრა.

მინდა მე იმ საქართველოში ცხოვრება, რომელიც სხვის ხელებს იქნება შეჩერებული, მუდამ სამათხოვროდ ექნება საქმე და უყაირათო მემკვიდრესავით გაფლანგავს დავითის მიერ დატოვებულ მემკვიდრეობას?

არა, არ მინდა.

მათხოვრობა, სიზარმაცე, მცონარობა სულისა და სხეულისა მიუღებელი უნდა იყოს ყოველი ჩვენგანისთვის, თუ დამოუკიდებელ საქართველოზე ვფიქრობთ. რადგან უფულო და უქონელი კაცი ვერაა დამოუკიდებელი, სახელმწიფო ხომ მით უფრო.

ჩვენ უნდა დავუბრუნდეთ ჩვენსავე თავს. 1921 წლიდან გვასწავლიდნენ და ვისწავლეთ: ტყუილი, უქნარობა, ქურდობა, მზაკვრობა, ერთმანეთის ლანძღვა. დავივიწყეთ პატიოსნება და ღირსება. მოყვასის სიყვარული, მიმტევებლობა, შემწყნარებლობა, გავხდით ანგარიშიანნი, უნდონი. ყოველივე ამან შიში ჩაასახლა ჩვენს სულში, შიში შეუბრალებლობას ბადებს, დაუნდობლობასა და ცინიზმს.

მე არ მინდა იმ საქართველოში ცხოვრება, სადაც ასეთი ადამიანები იქნებიან პატივში.

ყველა ნორმალურ საზოგადოებაში ქურდს ქურდი ჰქვია და პატიოსანს — პატიოსანი. ჩვენთან აირია და აიზინტლა ყველაფერი. სავსებით შეგნებულად გარყვნეს ერი და დააკნინეს, რადგან სულიერად მდაბალი პიროვნების დამონება ბევრად ადვილია, ვიდრე მაღალი სულის პატრონისა.

მე არ მინდა იმ საქართველოში ცხოვრება, სადაც სულიერი სიმაღლე, ნიჭი, ცოდნა, სიბეჯითე არ იქნება განმსაზღვრელი პიროვნების ადგილისა საზოგადოებაში.

მე არ მინდა იმ საქართველოში ცხოვრება, სადაც ლოზუნგები — გაუფასურებული სიტყვები შემოსაზღვრავენ ადამიანის საცხოვრისს, სადაც აზრს დაუპირისპირდება ტერორი, სადაც პარტიული თუ ჯგუფობრივი ინტერესები ამოეფარება ეროვნულ იდეალებს.

ყოველივე ამისაგან თავისუფალი საქართველო კი ჩვენ უნდა ავაშენოთ, ჯერ თავად ჩვენვე უნდა გავთავისუფლდეთ ამ სიბინძურისგან, ყოველივე იმისგან, რაც სამოცდაათი წლის მანძილზე ჩაგვიჭედეს გონებაში, რასაც მიგვაჩვიეს და რასაც უკვე უკუღმართობად ვეღარ აღვიქვამთ.

ახლავე გავუფრთხილდეთ ერთმანეთს და არა მერე, აზრს ვებრძოლოთ აზრით და არა დევნით, თუ ქრისტიანები ვართ, ქრისტიანულად ვიცხოვროთ, გვიყვარდეს მოყვასი ჩვენი, ვიყოთ შემწყნარებელნი და მიმტევებელნი, თუ ქართველები ვართ, გვიყვარდეს ყველა ქართველი, მიუხედავად პარტიულობისა და აღმსარებლობისა, თუ მშენებლები ვართ, ნგრევასთან ერთად შენებასაც მივყოთ ხელი, თუ მომავლისთვის ვცხოვრობთ, იმ მომავლის ბინადართ ვასწავლოთ სწავლა, შრომა, ბრძოლა.

მე მინდა საქართველო — ღირსეული მემკვიდრე თავისი დიდად განათლებული წინაპრებისა, მაგრამ სწავლას მოწყურებული ქართველი რომ იშვიათობად იქცა? ბეჯითი ახალგაზრდა რომ ძნელად საპოვნელია?

სკოლაში ყმაწვილებს გული აღარ უჩერდებათ, უმაღლესში შესვლისას ცოდნას აღარაფრად დაგიდევენ. ეს წინათ ამბობდნენ ცოდნაა საჭიროო, მერე ფულიო, — ახლა ფულიც აღარ, ცოდნა ხომ სულ აღარა. ისე უნდა ჩაირიცხო, მხოლოდ განცხადებით, თუ განცხადების შემოტანა დაავიწყდა, სულაც უგანცხადებოდ.

რა შეცდომებმა მიგვიყვანა აქამდე? ან ვინაა ეს ხალხი, მხოლოდ პირადული ინტერესებით მსუნთქავი მასწავლებელ-აბიტურიენტი, ეროვნულ ლოზუნგებს რომ ეფარებიან?

მათ არავითარი კავშირი არა აქვთ ეროვნულ მოძრაობასთან. პიროვნული ინტერესებით დაბრმავებულ ამ თვითმარქვიებს, არაფრად აწუხებთ ის, რომ მომავალ საქართველოში ავადმყოფს მოკლავს უვიცი ექიმი, ხიდს დაანგრევს უვიცი ინჟინერი, ყმაწვილს დაამახინჯებს უვიცი მასწავლებელი...

მე არ მინდა მათი საქართველო: უვიცი, ზარმაცი და თავხედი საქართველო.

მე მინდა საქართველო თავისუფალი — მსოფლიოს ხალხთა თავყრილობის ღირსეული წევრი, გამორჩეული თავისი ნიჭით, ცოდნითა და შრომით.

მე მინდა საქართველო, რომელიც არავის დაეჩაგვრინება, მაგრამ არც დაჩაგრავს არავის.

მე მინდა საქართველო, რომელიც თავის ტრადიციულ როლს ითამაშებს კავკასიის ხალხთა ცხოვრებაში, როგორც გარანტი კავკასიის თავისუფლებისა, სიმშვიდისა და აყვავებისა.

ასეთი საქართველო არსად არ არის. ასეთი საქართველო უნდა აშენდეს. და თუ მე ვერ მოვესწრები მას, იქნებ ვინმე ქართველმა ერთხელ მაინც გამიხსენოს ამ ოცნებისთვის.

მაშინ ჩემს მოსვლას ამ ქვეყნად გამართლება ექნება.

# ჩვენი შვილები მონობაში არ დაიბადებიან

ეს რამდენიმე წელია საქართველოში მკვეთრად დაირღვა ათეული წლობით ჩამოყალიბებული იმპერიული „სიმყუდროვე“ და „წესრიგი“. კომუნისტური იმპერია თავისი არსებობის უკანასკნელ ზღვარს მიადგა — ამის იქით მისი წასვლა, მისი არსებობა აღარ შეიძლება. ეროვნულმა, სოციალურმა, ეთიკურმა პრობლემებმა უმძიმეს კრიზისში მოაქციეს მსოფლიო პროგრესული ძალების რისხვა — საბჭოთა კავშირი. გაირკვა, რომ ეს „კავშირი“ სხვა არა იყო რა თუ არა ერების საპყრობილე, თუ არა ეშმაკის მიერ გამოგონილი იდეების საბედისწერო აღზევება.

იმპერიული გამყინვარების მსხვრევა მთელ „სოციალისტურ ბანაკში“ დაიწყო. ამ პროცესს არც საქართველო ჩამორჩა. საქართველოში ყოველთვის არსებობდა ნაციონალური პროტესტის შეჩერებული ტალღა. სწორედ ეს შეჩერებული ტალღა დაიძრა და საერთო ეროვნულ დინებად, საერთო ეროვნულ მოძრაობად იქცა.

წლობით აკრძალული ეროვნული ჰიმნის აჟღერებას და აკრძალული ეროვნული დროშის აფრიალებას საერთო ეროვნული მოძრაობის აზვირთება მოჰყვა. შეიქმნა სახალხო ფრონტი, მზის სინათლეზე გამოვიდნენ იატაკქვეშა პოლიტიკური დაჯგუფებანი, შეიქმნა მთელი რიგი ახალი პოლიტიკური პარტიები, საზოგადოებები, ასოციაციები...

საყოველთაო სიხარულს და სიხარულის პირველ ცრემლებს მწუხარება და სამწუხარო ცრემლებიც მოჰყვა. გაირკვა, რომ იმპერიული რეჟიმის სისასტიკეს ამაოდ არ ჩაუვლია, მას სერიოზულად დაურღვევია საქართველოს ერთიანი სხეული, საქართველოს მთელ რიგ რეგიონებში მეხუთე კოლონის სახით შემოჭრილა იმპერიული განწყობილება და იმპერიული ფსიქოლოგია. ყველასათვის მოულოდნელად იფეთქეს კრიზისებმა — აფხაზეთში, სამაჩაბლოში, ქვემო ქართლში... მოხდა სხვა ამბებიც — მშვიდობიანი მიტინგი სასტიკად დაარბიეს თბილისში, რუსთაველის პროსპექტზე, „საბჭოთა კავშირის ერთიანობის“ დაშლის რეალურ იდეაში უცებ ვერ გაერკვა რუსეთის ზოგიერთი აღიარებული ჰუმანისტიც კი...

მაგრამ ქართული ეროვნული მოძრაობა წინ მიდიოდა, ძალებს იკრებდა, მსოფლიოს თანდათან არწმუნებდა თავის მტკიცე გადაწყვეტილებაში — აღედგინა სრული ეროვნული დამოუკიდებლობა.

...და, აი, ჩვენის აზრით, დადგა ის დღეებიც, როცა ერმა გადამწყვეტი ნაბიჯი უნდა გადადგას. პირველი სიგნალი ლიტვიდან მოვიდა, მერე ლატვია, ესტონეთი... კომუნისტურ ძალმომრეობას მტკიცედ დაუპირისპირდნენ აზერბაიჯანელები, სომხები, რუსები, უკრაინელები...

რა ხდება აქ, საქართველოში? ჩვენ შექმნილი სიტუაციის პოლიტიკური ანალიზის პრეტენზია არა გვაქვს, მაგრამ ფაქტები. როგორც იტყვიან, სახეზეა და ყველა ხედავს.

ჩვენ არ გვინდა, რომ ვინმეს როლი დავამციროთ ეროვნული წინააღმდეგობის ფრონტში, მაგრამ ფაქტია, რომ ჩვენ ვერ შევქმენით ეროვნული შტაბი, რომელიც პოლიტიკური ხელმძღვანელის უტყუარი ალღოთი გადაუძლვება მშობელ ხალხს ძნელ ულელტეხილებზე, რომელიც მიხხალმიხხლობით გაითვალისწინებს საქართველოში, მთელ იმპერიაში, მთელ მსოფლიოში შექმნილ დღევანდელ სიტუაციას და ეროვნული ხსნის ოპტიმალურ მოდელს მიაგნებს.

ჩვენ აქ არ შევუდგებით სხვადასხვა პროგრამებისა და კონცეფციების ჩამოთვლას. იმას კი ვიტყვით, რომ ეს პროგრამები და კონცეფციები არ ემთხვევა ერთმანეთს, ნაკლებად ჩანს ერთიანობის ნიშნები, არ იგრძნობა ურთიერთდაახლოვებისკენ ლტოლვა. ერთი შეხედვით ამაში ცუდი რა არის... სწორედაც აზრთა სხვადასხვაობამ უნდა შექმნას ეროვნული ხსნის ოპტიმალური პოლიტიკური მოდელი, სწორედ ამ აზრთა სხვადასხვაობის გათვალისწინებისა და შეჯამების შედეგად უნდა მოიხაზოს მოქმედების მთავარი გეგმა... და სწორედ აქ მივადექით მთავარ ნაკლს — ჩვენს ეროვნულ მოძრაობას ცენტრი არა აქვს, ცენტრი. რომელიც ხალხის მიერ იქნებოდა არჩეული, ხალხის ნდობით იქნებოდა აღჭურვილი.

ერთნი არჩევნებისათვის იბრძვიან, მეორენი ბოიკოტს უცხადებენ ამ არჩევნებს, მესამენი სხვა პრინციპულ აზრზე დგანან...

მაშ როგორ მოვიქცეთ, როგორ გავუხსნათ ჩაკეტილი სივრცე ეროვნულ აღმავლობას? ბუნებაში ყველაფერს თავისი აყვავებისა და დაცემის დრო აქვს. ჩვენ მიგვაჩნია, რომ გარეგნული ელვარების მიუხედავად, უკვე შეინიშნება ამ მოძრაობის შენელების სიმპტომები, რაღაც შემაშფოთებელი თეატრალური ელემენტები შეეპარა ჯერ კიდევ გუშინ მტკიცედ და თავდაჯერებით მიმავალ კოლონებს. ზოგჯერ იქმნება შთაბეჭდილება, რომ რაღაც დიდი მიზნის აღსრულებისათვის შეკრებილი ხალხის საბოლოო დარაზმვის პროცესს კი არა, ორატორული ხელოვნების ფეიერვერკს ვესწრებით. ყველაზე საგანგაშო კი, ალბათ, ის არის, რომ ურთიერთდაპირისპირებულთა შორის დაძაბულ ატმოსფეროში როგორღაც მიიმალა ნამდვილი მტერი და სანამ ჩვენ ერთმანეთთან ვიწრო ანგარიშებს ვასწორებთ, ის (საერთო მტერი) თავის დიდ, ჩვენთვის დამღუპველ საქმეებს აკეთებს.

არა და არა! მეტი სერიოზულობა და მეტი პროფესიონალიზმი გვმართებს. ჩვენ 1921 წლიდან, 1924 წლიდან, 1956 წლიდან, ცხრა აპრილის რბევიდან, მერაბ კოსტავას თავგანწირვიდან მოვდივართ და ბრძოლის ტაქტიკა თუ სტრატეგია სხვისგან არ გვესწავლება, — ისტორიული გარდუვალობა სადაც გასაძრომს დაგვახვედრებს — იქ უნდა გავძვრეთ, სადაც გამართულად გასვლა შეიძლება — გამართულად უნდა გავიდეთ.

მიგვაჩნია, რომ დღეს დუმილი და უმოქმედობა ეროვნულ დანაშაულს უდრის. როცა, ვთქვათ, ჩვენი ლიტველი თანატოლები უმძიმეს პოლიტიკურ ბრძოლებში არიან ჩაბმულნი, ჩვენ არ გვაქვს უფლება ლიტვას ვუყუროთ, როგორც ექსპერიმენტს. ჩვენთან ბევრს და სამართლიანად ლაპარაკობენ პოლიტიკურ ზნეობაზე და სწორედ ზნეობის თვალსაზრისით არა გვაქვს პასიურობის უფლება. იმპერიული ჯაჭვი უკვე გაარღვიეს პოლონელებმა, ჩეხებმა, ბულგარელებმა, რუმინელებმა... დღეს ლიტვაა მიმდგარი იმ ჯაჭვთან და ჩვენ არ გვაქვს ზნეობრივი უფლება მის გვერდით არ დავდგეთ, საერთო ბრძოლაში არ ჩავებათ.

ჩვენ მიგვაჩნია, რომ საქართველოს უზენაესი საბჭო დაუყოვნებლივ უნდა შეიკრიბოს თავის რიგგარეშე სესიაზე და დასვას საქართველოს დამოუკიდებლობის დეკლარაციის მიღების საკითხი, უნდა მოეწყოს ღია, სახელობითი კენჭისყრა.

დღეს საქართველოში, მცირე გამონაკლისის გარდა, არ არსებობს რაიმე პოლიტიკური გაერთიანება, რომელიც არ აღიარებდეს საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის აუცილებლობას, დღეს საქართველოში, მცირე გამონაკლისის გარდა, არ არსებობს ადამიანი, რომელიც არ აღიარებდეს სამშობლოს თავისუფლების ამ ძლევამოსილ იდეას.

მაშ რატომ უნდა გვაეჭვებდეს დღევანდელი უზენაესი საბჭოს მომავალი გადაწყვეტილება? მისი შემადგენლობის გადამწყვეტ უმრავლესობას არ აკლია მამულიშვილური გზნება, მამულიშვილური სიბრძნე და შორსმჭვრეტელობა. რა ვუყოთ, რომ იმპერიულმა ბედმა ზოგიერთი მათგანი დაჩაგრა — იმპერიული რეჟიმისათვის ნიშანდობლივი, ულირსი საქმეები აკეთებინა? ჩვენ ხომ თავისუფლება იმისათვის გვინდა, რომ ადამიანს ადამიანური თავმოყვარეობა და პატივი დაუბრუნდეს, რომ მოხდეს საერთო ეროვნული კათარზისი — ჩვენი ზნეობით, ჩვენი საერთო გულისცემით შევკავშირდეთ ქრისტიანული ჯვრისა და ეროვნული დროშის გარშემო...

არ შეიძლება, ადამიანები „ადამიანებად“ და „ე. წ. ადამიანებად“ დავყოთ!

ჩვენ, ამ მიმართვის ავტორები, თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტის სტუდენტებმა, 31 მაისს დავიწყეთ უვადო შიმშილობა მოთხოვნით: **საქართველოს უზენაესი საბჭოს სესიამ დაუყოვნებლივ განიხილოს საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის საკითხი.**

ჩვენი მთავარი ლოზუნგები ასეთია: „სიკვდილი ან თავისუფლება!“, „ჩვენი შვილები მონობაში არ დაიბადებიან!“

საქართველოს უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტებს, საქართველოს ყველა ახალგაზრდა მოქალაქეს — ქართველს თუ რუსს, აფხაზს თუ აზერბაიჯანელს, ოსსა თუ სომეხს... ყველას, ყველას, ყველას ვთხოვთ, მხარი დაგვიჭირონ ჩვენი საერთო სამშობლოს, ჩვენი უსაყვარლესი მამულის თავისუფლებისათვის ბრძოლაში.

მოგმართავთ ქართველ ინტელიგენციას — პოლიტიკოსებს და პოლიტოლოგებს, მწერლებს და მეცნიერებს, ექიმებსა და მასწავლებლებს... ყველას, ყველას, ყველას — მხარი დაგვიჭირეთ! დაე, ყველა სხვა დროშაზე მაღლა აფრიალდეს ჩვენი ეროვნული დროშა!

მოგმართავთ საქართველოს ყველა მოქალაქეს!

ღმერთო, მაღალო, შენ უწინამძღვრე ჩვენს ხალხს, ჩვენს [illegible]შობლოს — საქართველოს!!!

**გაგა არაბული, ემზარ ბოგუაძე, სოსო ბოლიაძე, ლევან სვანიძე, ნუგზარ წიკლაური, ჯურხა ჯაფარიძე.**

# ეროვნული ყრილობა

თბილისის სპორტის სასახლეში სამ დღეს მიმდინარეობდა ყრილობა, რომელიც ეროვნულ ფორუმში გაერთიანებული საზოგადოებრივ-პოლიტიკური ორგანიზაციების, აგრეთვე რიგ პარტიათა და საზოგადოებათა ინიციატივით მოეწყო.

ეროვნული ყრილობის მოწვევის ძირითადი მიზანი საქართველოს ეროვნული კონგრესის არჩევა იყო, რომელიც საყოველთაო, პირდაპირი და ფარული კენჭისყრით უნდა აირჩიოს ქართველმა ხალხმა. ყრილობამ ხმების უმრავლესობით მიიღო რეზოლუცია ეროვნული კონგრესის არჩევნების შესახებ. განსაკუთრებით ცხარე კამათი გაიმართა ეროვნული კონგრესის არჩევნების შესახებ.

ყრილობის მონაწილეებმა დაამტკიცეს საკოორდინაციო ცენტრი, რომლის შემადგენლობაში შევიდნენ პოლიტიკური პარტიების, საზოგადოებების, ასოციაციების, შემოქმედებითი კავშირების წარმომადგენლები, ცენტრი უკვე შეუდგა მუშაობას.

ყრილობის მოწვევის ერთ-ერთმა ორგანიზატორმა, ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის თავმჯდომარემ გიორგი ჭანტურიამ ჩვენთან საუბარში თქვა: „ეროვნულმა ყრილობამ წარმატებით ჩაიარა, მას დელეგატთა აბსოლუტური უმრავლესობა ესწრებოდა, უფრო მეტიც, ცოტა არასასიამოვნო მომენტია, რომ საკმაოდ ბევრნი იყვნენ უმანდატოდ შემოსულნიც, 6050 საშვი იყო გამზადებული და მეორე დღეს ოფიციალურად 6700 დამსწრე აღირიცხა.

წარმოდგენილი იყო საქართველოს 69 რაიონი, 90 პროცენტზე მეტი საქართველოში არსებული სხვადასხვა პარტიის, საზოგადოების, ასოციაციის... ფაქტიურად მთელი პოლიტიკური სპექტრი. ხაზი უნდა გავუსვათ, რომ ყრილობას არაქართველი მოსახლეობის წარმომადგენლებიც ესწრებოდნენ. მათ შორის იყვნენ ანტიქართულად განწყობილი აფხაზეთის „აიდგილარას“ წევრები, რაც საქართველოში ახალი პოლიტიკური აზროვნების გამარჯვებას მოასწავებს — ყველა ეთნოკრიზისი უნდა გადაწყდეს დიალოგის და არა სისხლისღვრის გზით (რაც მხოლოდ კრემლს აძლევს ხელს).

ყრილობაზე მოხდა ეროვნული კონგრესის სტატუსის განსაზღვრა — მისი სტატუსის თაობაზე რეზოლუციის მიღება და, რაც მთავარია ეროვნული კონგრესის საარჩევნო კანონპროექტის დამტკიცება, რა თქმა უნდა, იმ საერთო აზრის გათვალისწინებით, რაც გამოთქმული იქნა ყრილობაზე. დიდი პოლიტიკური მნიშვნელობის გარდა, ყრილობას ჰქონდა ფსიქოლოგიური მნიშვნელობაც — პირველად ასეთი ყრილობა საქართველოს ისტორიაში მოწვეულ იქნა 1918 წელს, 26 მაისის წინა პერიოდში, ესეც ალბათ სიმბოლურია — დღესაც საქართველო თავის დამოუკიდებლობის კარიბჭესთან დგას. აღსანიშნავია, რომ პირველ დღეს ყრილობას თავმჯდომარეობდა საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიის თავმჯდომარე ირაკლი წერეთელი, რომელმაც ბრწყინვალედ წარმართა ყრილობა. მეორე დღეს ვთავმჯდომარეობდი მე. მესამე დღეს კი — აკადემიკოსი მერაბ ალექსიძე — უკვე აშკარად გამოიკვეთა, რომ იქ შეკრებილთა დიდი ნაწილი პოლიტიკურად აზროვნებს, მიჰყვება არა ინდივიდებს, პიროვნებებს, არამედ პოლიტიკურ პარტიებს, პრინციპებს და, რაც მთავარია, პოზიციებს. ეს ტენდენცია, სამწუხაროდ, არ შეიმჩნევა მთლიანად საქართველოს მასშტაბით, მაგრამ მთავარია, რომ ასეთი ფაქტი არსებობს და აქეთკენ მიდის ეროვნული მოძრაობა“.

ყრილობის მუშაობამ ცხადყო, რომ ჩვენს საზოგადოებაში საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის საკითხისადმი არაერთგვაროვანი, ხშირად რადიკალურად განსხვავებული, პოზიციები არსებობს; თუ რომელ მათგანს მიანიჭებს ქართველი ხალხი უპირატესობას, ამას მომავალი გვიჩვენებს.

# „ძველი ქართული დამწერლობა“

## ზურაბ სარჯველაძე

ქართული დამწერლობის წარმოშობის პრობლემამ დიდი ხნის წინათ მიიქცია მკვლევართა ყურადღება. ქართული დამწერლობის წარმოშობის საკითხს სხვადასხვა თვალსაზრისით ეხებოდნენ ვ. გარდტჰაუზენი, დ. ბაქრაძე, მ. ჯანაშვილი, დ. კარიჭაშვილი, ივ. ჯავახიშვილი, პ. ინგოროყვა, ქ. კეკელიძე, ა. შანიძე, გ. წერეთელი, ვ. ბოედერი, რ. პატარიძე, თ. ჩხენკელი, ე. მაჭავარიანი და სხვ.

ქართული დამწერლობის წარმოშობის პრობლემის კვლევა გულისხმობს შემდეგი საკითხების გარკვევას, როდის და რა პირობებში უნდა შექმნილიყო ქართული ანბანი, არის იგი ორიგინალური შემოქმედების ნაყოფი, თუ მას საფუძვლად დაედო სხვა დამწერლობა, სახელდობრ რომელი დამწერლობა უნდა ვიგულისხმოთ ქართული ანბანის პროტოტიპად, რა პრინციპების მიხედვით აისახა ანბანში ქართული ენის ფონემატური სისტემა და რა მიმართებაა მასეხხებელი დამწერლობის მატარებელი ენის ფონემატურ სისტემასთან, ქართული ანბანის გრაფიკული სტრუქტურა და მისი მიმართება სხვა დამწერლობებთან...

ქართული დამწერლობის შექმნის პრობლემის გადაწყვეტა შესაძლებელია ყველა ამ პრობლემის კომპლექსურად განხილვის საფუძველზე. ცხადია, მეცნიერული ანალიზი შეიძლება მხოლოდ და მხოლოდ ფაქტების ობიექტურ, მიუდგომელ განხილვას ემყარებოდეს და არა წინასწარ აკვიატებულ თვალსაზრისს, რომელსაც უნდა შევუფარდოთ, შევუსაბამოთ ფაქტები.

ქართული ანბანის გენეზისის კვლევის ისტორიის მანძილზე უპირატესად გრაფიკული მსგავსების მეთოდით ცდილობდნენ დაედგინათ ქართული დამწერლობის წარმოშობის წყარო. ფაქტობრივად უგულებელყოფილი იყო ქართული ენის ფონემატური სისტემა. ის ფონემები (ბგერითი ერთეულები), რომელთა გადმოსაცემად შეიქმნა გრაფემები (ასო-ნიშნები), ანბანის წარმოშობის კვლევისას სათანადოდ არ იყო დაფასებული. ანბანის ანალიზის ენათმეცნიერული ასპექტი უკეთეს შემთხვევაში მეორე პლანზე იდგა. ამასთან, სათანადოდ არ ითვალისწინებდნენ იმ კონკრეტულ ისტორიულ კონტექსტს, რომელიც ხელსაყრელი აღმოჩნდა ქართული და სხვა დამწერლობების შექმნისათვის და, ამდენად, ქართული ანბანის ჩამოყალიბების პროცესი ერთგვარად იზოლირებულად განიხილებოდა.

მაინც შეიძლება ითქვას, რომ ქართული დამწერლობის კვლევის საქმეში გარკვეული წარმატებებია მიღწეული. მიგნებულია მთელი რიგი სტრუქტურული მახასიათებლებისა, რაც ქართულ დამწერლობას ახასიათებს. შედარებით კარგად არის გამოკვლეული ქართული ანბანის გრაფიკა, წამოყენებულია ქართული დამწერლობის წარმოშობის არაერთი თეორია, ზოგი გასათვალისწინებელი, ზოგიც ფანტასტიკური (რაც აგრეთვე ერთგვარ დადებით მოვლენად შეიძლება ჩავთვალოთ, რადგანაც ცხადყოფს, რომელი გზით არ უნდა გავაგრძელოთ კვლევა-ძიება) და სხვ.

ქართული დამწერლობის პრობლემას 70-იანი წლების დასწყისიდან სისტემატურად იკვლევს აკადემიკოსი თამაზ გამყრელიძე, რომლის მონოგრაფია „ქართული დამწერლობა (წერის ანბანური სისტემა და ძველი ქართული დამწერლობა“) ახლახან გამოსცა თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობამ (წიგნის რედაქტორია აკად. აკაკი შანიძე. ნაშრომს უძღვის მისი ვრცელი წინასიტყვაობა).

ამ წიგნის გამოსვლას მოუთმენლად ელოდა ჩვენი საზოგადოება, რომელიც ასე დაინტერესებულია ქართული კულტურის ამ კარდინალური პრობლემით. თ. გამყრელიძემ ბოლო წლების მანძილზე საქართველოს მეცნიერებათა აკადემიაში, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, სხვადასხვა დაწესებულებაში წაიკითხა [illegible] მოხსენება, რომლებშიც თავისი მეცნიერული კვლევის შედეგები გაუზიარა ფართო საზოგადოებას. ეს მოხსენებები ყოველთვის იწვევდა მსმენელთა უაღრეს ინტერესს და მით უმეტეს იგრძნობოდა ნაშრომის გამოუქვეყნებლობით გამოწვეული უკმარისობა.

თ. გამყრელიძე წერს: „წინამდებარე ნაშრომი უკვე გამზადებული იყო დასაბეჭდად 1976 წლისათვის, როდესაც მას რედაქცია გაუწია და წინასიტყვაობა დაურთო აკაკი შანიძემ. იგი ეძღვნებოდა ქართული დამწერლობათმცოდნეობისა და საზოგადოდ მთელი ახალი ქართული ჰუმანიტარული მეცნიერების დამფუძნებლის — დიდი ივანე ჯავახიშვილის დაბადებიდან 100 წლისთავს, რომელიც იმხანად აღინიშნებოდა. მაგრამ სხვადასხვა ტექნიკური მიზეზების გამო წიგნის გამოქვეყნება ძლიერ დაყოვნდა და მისი გამოცემა ვერ მოხერხდა აღნიშნული თარიღისათვის. ამჟამად ჩვენ ქართული მეცნიერების კიდევ ერთი მნიშვნელოვანი თარიღის წინაშე ვდგავართ: მიმდინარე წლის შემოდგომაზე აღინიშნება ქართული უნივერსიტეტის დაარსების 70-ე წლისთავი. მე მინდა ეს წიგნი ივანე ჯავახიშვილთან ერთად ამ ღირსშესანიშნავ თარიღ-




საც ვუძღვნა“ (გვ. 9). ეს სიტყვები 1988 წლის სექტემბერშია დაწერილი. წიგნი, როგორც ვთქვით, ახლახან გამოიცა. იგი ეძღვნება ივ. ჯავახიშვილის ნათელ სახელს, ივანე ჯავახიშვილისას, რომელმაც ბევრი რამ გააკეთა ქართული დამწერლობის პრობლემის მეცნიერულ საფუძველზე დაყენებისათვის და ჩვენს ეროვნულ უნივერსიტეტს, სადაც დასაბამიდანვე ჩაეყარა საფუძველი ქართული კულტურის უმნიშვნელოვანესი პრობლემების, მათ შორის — ქართული დამწერლობის წარმოშობის კვლევა-ძიებას.

თ. გამყრელიძე ქართულ დამწერლობას მიიჩნევს ერთ-ერთ სრულყოფილ ანბანურ წერით სისტემად გრაფიკული სიმბოლოების (ასო-ნიშნების) ენის ფონემურ ერთეულებთან შესაბამისობის თვალსაზრისით. იგი არის ანბანური დამწერლობის ტიპური ნიმუში, „რითაც უძველეს წერილობით სისტემათა ტიპოლოგიაში ერთ-ერთ თვალსაჩინო ადგილს იმკვიდრებს“ (გვ. 28). ავტორის თვალსაზრისით, ქართული დამწერლობის შექმნა იზოლირებული მოვლენა არ იყო, იგი უკავშირდებოდა დამწერლობათა შექმნას იმ მეზობელ ქვეყნებში, რომლებთანაც საქართველოს მჭიდრო კონტაქტები ჰქონდა. სწორედ ამის გამო „ძველი ქართული დამწერლობის წარმოშობისა და შექმნის პრობლემა უნდა განიხილებოდეს ამგვარ არეალებში დამწერლობათა წარმომავლობისა და განვითარების ფართო ტიპოლოგიურ ფონზე“ (გვ. 28).

ქართული ანბანის შექმნის პრობლემა ნაშრომში სწორედ ამ მეთოდოლოგიური მოთხოვნის შესაბამისად არის განხილული.

მონოგრაფიის პირველი თავია „ძველი სემიტური კონსონანტურ-სილაბური დამწერლობა“ (გვ. 24-66). როგორც ცნობილია, ასოთ-დამწერლობის (კონსონანტური დამწერლობის) უძველესი ნიმუშია ძველი ჩრდილო-სემიტური წერითი სისტემა. ეს არის დამწერლობა, რომელშიაც სპეციალური სიმბოლოებით გამოიხატება მხოლოდ თანხმოვანი ფონემები. იგი დამწერლობის ისტორიაში უდიდეს პროგრესს მოასწავებდა, რადგანაც პირველად შეიქმნა ისეთი სისტემა, როცა ყოველი ცალკეული თანხმოვანი ფონემა გამოიხატებოდა

ცალკეული გრაფემით. მისი უპირატესობა პიქტოგრამულ და სილაბურ წერით სისტემებთან შედარებით უაღრესად თვალსაჩინოა. ბუნებრივია, რომ ეს მხოლოდ მას შემდეგ გახდა შესაძლებელი, როდესაც მოხერხდა ენის ბგერათსისტემის უმცირესი ერთეულების — ბგერების — გამოყოფა.

უძველესი კონსონანტური დამწერლობა შეიქმნა II ათასწლეულის შუა საუკუნეებში. იგი შეიცავს 22 ნიშანს. მისი სამი ძირითადი ტიპია ცნობილი: ფინიკიური, პალესტინური, ანუ ქანაანური, და არამეული. ამ წერითი სისტემისათვის დამახასიათებელია წერის მიმართულება მარჯვნიდან მარცხნისაკენ. თ. გამყრელიძე გვაწვდის დაწვრილებით ცნობებს ძველი სემიტური დამწერლობის სამივე ტიპის გავრცელებულობის, შინაგანი სტრუქტურის, ფონემატურ სისტემასთან მათი მიმართების შესახებ (გვ. 28-42).

თამაზ გამყრელიძეს შემოაქვს წერილობითი სისტემის პარადიგმატიკისა და სინტაგმატიკის ცნებები. იგი მიუთითებს: „წერილობითი სისტემის პარადიგმატიკის შესწავლა გულისხმობს... გრაფიკულ სიმბოლოთა ურთიერთმიმართების განხილვას მიმდევრობაში, წერილობით ნიშანთა თანმიმდევრობის შესწავლას სისტემაში; ამისგან განსხვავებით, წერილობითი სისტემის სინტაგმატიკა გულისხმობს ნიშანთა შეერთების წესებს სიტყვებში, წერით სიმბოლოთა ურთიერთმიმართებებს სიტყვის ფარგლებში და საზოგადოდ წერის მიმართულებასთან დაკავშირებულ კანონზომიერებებს“ (გვ. 42-48).

ავტორის აზრით, წერითი სისტემა არის სტრუქტურა, რომელსაც აქვს ორი მხარე (პლანი): გამოხატულებისა და შინაარსისა. წერითი სისტემის გამოხატულების პლანი მოიცავს: გრაფემათა მოხაზულობას, გრაფემათა სახელწოდებებს, ნიშანთა რიგს, ნიშანთა განლაგების პრინციპებს, წერის მიმართულებას. შინაარსის პლანს განეკუთვნება გრაფემათა ფონეტიკური და რიცხვითი მნიშვნელობანი. „წერითი სისტემის ამგვარი გაგება: — წერს თ. გამყრელიძე, — საფუძველს გვაძლევს ჩავთვალოთ იგი სემიოტიკურ სისტემად და შესაბამისად განვიხილოთ დამწერლობათმცოდნეობა, ანუ გრამატოლოგია, როგორც სემიოტიკური დისციპლინა. დამწერლობის ანალოგიური გაგება როგორც სემიოტიკური სისტემისა მოცემული ჰქონდა უკვე ფერდინანდ დე სოსიურს“ (გვ. 49).

თ. გამყრელიძე განიხილავს ძველი სემიტური კონსონანტური დამწერლობის შექმნის შესახებ არსებულ ორ სხვადასხვა თვალსაზრისს. იგი უარყოფს ვარაუდს ძველი სემიტური ანბანის დამოუკიდებლად შექმნის შესახებ, რადგანაც: „ნიშანთა და მათ ფონეტიკურ მნიშვნელობათა დამოუკიდებელი და ნებისმიერი თხზვის შედეგად სემიტური დამწერლობის მთლიანად ორიგინალურ ნიადაგზე წარმოშობის თეზისი მეთოდოლოგიური ხასიათის პრინციპულ სიძნელეებს შეიცავს. ძნელი წარმოსადგენია, რომ ძველი წელთაღრიცხვის მეორე ათასწლეულის პირველ ნახევარში გარეგა-

ნი გავლენებისაგან სრულიად დამოუკიდებლად შექმნილიყო პრინციპულად ახალი ტიპის წერითი სისტემა, რომელიც თვისებრივად განსხვავებულ ეტაპს წარმოადგენს დამწერლობის განვითარების ისტორიაში. ამ რანგის მოვლენები კულტურის ისტორიაში არ ხდება გარემომცველი თანადროული კულტურული ფაქტორებისაგან დამოუკიდებლად და იზოლირებულად. ამგვარი სიახლე კულტურულ ცხოვრებაში, ერთგვარი თვისებრივი ნახტომი, რაც თავის დროზე სემიტურ კულტურულ სამყაროში განხორციელდა, უნდა წარმოადგენდეს მთელი იმ დროისათვის დაგროვილი ცოდნის გადამუშავებისა და თვისებრივად ახალ დონეზე აყვანის შედეგს“ (გვ. 57). თ. გამყრელიძე უპირატესობას ანიჭებს იმ თვალსაზრისს, რომლის მიხედვითაც, ძველი სემიტური დამწერლობის წინამორბედად ეგვიპტური იეროგლიფიკა შეიძლება ჩაითვალოს. „სემიტური და-

მწერლობის თანმიმდევრული ცალთანხმოვნიანობა, რაც მას თვისებრივად ახალი ტიპის დამწერლობად აქცევს, შესაძლებელია აღმოცენებულიყო რთული ეგვიპტური სისტემის იმ ნიშანთა (resp. ქვესისტემის) გავლენით, რომლებიც ცალ თანხმოვანს გამოხატავდნენ. ეგვიპტური იეროგლიფიკის ეს ქვესისტემა შესაძლებელია გამხდარიყო მოდელი ცალთანხმოვნიანობის პრინციპის გატარებისა სემიტური ენისათვის შექმნილ დამწერლობაში“ (გვ. 57).

ნაშრომის II თავი ბერძნული დამწერლობის წარმოშობისა და ევოლუციის საკითხებს ეძღვნება. ცნობილია, რომ ბერძნებმა ანბანი ფინიკიელებისაგან ისესხეს, მაგრამ მოახდინეს მისი რადიკალური რეფორმა — ხმოვნები აღნიშნეს სპეციალური გრაფემებით. ამრიგად, ბერძნებმა შექმნეს პირველი თანმიმდევრული ანბანური დამწერლობა, „სადაც კონსონანტური და ფუნქციურად ტოლფასი ვოკალური ნიშნები ერთიან ავტონომიურ სისტემას ქმნიან“ (გვ. 66).

ბერძნული ანბანური დამწერლობის უძველესი ნიმუშები ძვ. წელთაღრიცხვის VIII-VII საუკუნეებით თარიღდება, მაგრამ სავარაუდოა, რომ ბერძნული დამწერლობა პირველ ათასწლეულის მიჯნაზე იყოს შექმნილი.

ბერძნებმა პროტოტიპად აიღეს ფინიკიური ანბანი, რომელიც შეიცავდა მთელ რიგს ისეთი ბგერითი ერთეულების გამომხატველი ნიშნებისას, რომელთა შესაბამისი ბგერები (ფონემები) ბერძნულს არ მოეპოვებოდა. ბერძნული დამწერლობის შემოქმედმა სწორედ ასეთი ნიშნები გამოიყენა ხმოვნების გამოსახატავად.

ბერძნულის მჟღერი ხშულებისათვის ბ დ გ გამოიყენეს ის ნიშნები, რომლებიც სემიტურშიც ბ დ გ მჟღერ ხშულებს გამოხატავდნენ. სემიტური ემფატიკური თანხმოვნები ბერძნულში ფშვინვიერებით გადმოიცემა. მაგალითად, სემიტური ემფატიკური (რომელსაც თ. გამყრელიძე გლოტალიზებულადაც თვლის) ტ თანხმოვნის შესაბამისი ნიშნით გამოიხატება ბერძნული ფშვინვიერი Θ (დანარჩენი ფშვინვიერებისათვის სპეციალური ნიშნები Ф და Χ მოგვიანებით შეიქმნა). თ. გამყრელიძე

ამასთან დაკავშირებით წერს: „ეს ფონეტიკური შეუსაბამობა სემიტურ და ბერძნულ გრაფიკას შორის შესაძლებელია აიხსნებოდეს ფონოლოგიური თვალსაზრისით. სემიტურ ემფატიკურ თანხმოვანთა ფარინგალიზაციის ფონოლოგიური ნიშანი გაიგივებულია ბერძნულ ხშულთა სისტემისათვის ფონოლოგიურად დამახასიათებელი ასპირაციის ნიშანთან, მაშინ როდესაც სემიტურ თანხმოვანთა ფონოლოგიურად ირელევანტური, ჭარბი ასპირაცია უგულებელყოფილია და სემიტური ყრუ (ფშვინვიერი) თანხმოვნები გატოლებულია ბერძნულ ყრუ (არაფშვინიერ) თანხმოვნებთან“ (გვ. 78).

სემიტურს ოთხი სიბილანტური სპირანტი მოეპოვებოდა, ბერძნულს — ორი: მჟღერი Z და ყრუ სისინა S (შინ). სემიტურში კიდევ იყო შიშინა S (შინ) და ემფატიკური Ṣ (წადე). ბერძნული /ზ/-ს გამოსახატავად გამოიყენეს სემიტური Z-ს აღმნიშვნელი სიმბოლო. ხოლო ბერძნული S სისინა სპირანტისათვის გამოიყენეს არა სემიტური სისინა სპირანტის გადმომცემი სამექი, არამედ შინი, რომელიც სემიტურ შიშინა სპირანტს გამოხატავდა. სამექ ნიშანი ბერძნულის პარადიგმაში დარჩა 60-ის გამოსახატავად (გვიან აღმოსავლურბერძნულ დამწერლობაში იგი ქს თანხმოვანკომპლექსს გადმოსცემს).

თუ ბერძნული ანბანის პარადიგმატიკას სემიტურისას შევუდარებთ, აღმოჩნდება, რომ ბერძნულში გვაქვს ყველა ასო-ნიშანი იმავე რიგით, როგორც სემიტურში. ერთადერთი გამონაკლისია წადე, რომელიც ბერძნულმა არ გადმოიღო. ამრიგად, ბერძნულმა შეითვისა 21 სიმბოლო, მიანიჭა მათ სემიტურისაგან განსხვავებული ფონეტიკური მნიშვნელობანი (ზოგ ასო-ნიშანს მხოლოდ რიცხვითი მნიშვნელობაღა მოეპოვებოდა გვიანდელ ბერძნულში: დიგამმა, კოპპა, სამპი).

ბერძნული დამწერლობის უველაზე არქაული სახეობაა სამხრეთი არქიპელაგის დორიული კუნძულების ანბანი. იგი შეიცავს 23 ნიშანს. ბოლოში დართულია უ ხმოვნის (resp. უმარცვლო უ-ს) გამომხატველი ნიშანი. ვარაუდობენ, რომ ეს თავდაპირველი ბერძნული ანბანი უნდა შექმნილიყო ერთ განსაზღვრულ ადგილას ერთი პირის ან პიროვნებათა გარკვეული ჯგუფის ერთობლივი შემოქმედების შედეგად. აქედან უნდა გავრცელებულიყო იგი ბერძნულენოვან სამყაროში და ჩამოყალიბებულიყო აქ სხვადასხვა ლოკალური ვარიანტების სახით“ (გვ. 88).

ბერძნული დამწერლობის მეორე სახეობაა აღმოსავლურ-ბერძნული წერითი სისტემები (იონიური და ეგეოსის კუნძულების აღმოსავლური ნაწილისა და ჩრდილოეთ პელოპონესისა, აგრეთვე ძველი ატიკის დამწერლობანი). მათთვის დამახასიათებელია დანართი ასოები Ф და Χ თანხმოვნების გამოსახატავად. იონიურ, ეგეოსის კუნძულებისა და ჩრდილოეთ პელოპონესის დამწერლობებში არის კიდევ ერთი დამატებითი ნიშანი /ps/ კომპლექსის გამოსახატავად. და ბოლოს იქმნება Ω (ო მეგა) ნიშანი, რომელიც გამოხატავდა გრძელ /ō/ ხმოვანს.

იონურ, აგრეთვე ათენურ დამწერლობას ახასიათებს /v/ ბგერის გამომხატველი დიგამმა ნიშნის უქონლობა, რაც შედეგია იონიურ დიალექტში /v/-ს დაკარგვისა ამ დიალექტის წერილობით ფიქსაციამდე. იონიურში გაუჩინარდა თავკიდური /h/ ფონემა, რის შემდეგაც მისი გამომხატველი ნიშანი გამოიყენეს გრძელი /ē/ ხმოვნის გამოსახატავად.

ბერძნული დამწერლობის მესამე ჯგუფს ქმნის პელოპონესის დასავლური წერითი სისტემები.

403 წელს იონიური დამწერლობა ოფიციალურ ანბანად აღიარეს. „ბერძნული ანბანის უნიფიკაცია იონიური დამწერლობის საფუძველზე არ მომხდარა, რასაკვირველია, ერთბაშად; იგი ვრცელდებოდა თანდათან დასავლეთის მიმართულებით. ბევრგან კიდევ დიდხანს შემორჩა ბერძნული დამწერლობის ადგილობრივი სახეობანი, მაგრამ შესაძლებელია ძვ. წელთაღრიცხვის IV საუკუნიდან მოყოლებული მაინც ვივარაუდოთ ზოგადბერძნული კლასიკური დამწერლობის არსებობა, რომელიც ჩამოყალიბდა იონიური დამწერლობის საფუძველზე“ (გვ. 86).

(გაგრძელება მე-6 გვ.)

(გაგრძელება)

ძველი ბერძნული დამწერლობის საფუძველზე შეიქმნა მრავალი წერითი სისტემა როგორც აღმოსავლეთის, ისე დასავლეთის ქვეყნებში „ბერძნული დამწერლობისაგან მომდინარე ყველა სისტემის ძირითადი სტრუქტურული მახასიათებელია მათი ანბანურობა, ე. ი. სისტემაში როგორც კონსონანტური, ისე ვოკალური ნიშნების არსებობა, რომლებიც ერთიან პარადიგმატიკას ქმნიან“ (გვ. 92). ბერძნულმა დამწერლობამ გარკვეული ზეგავლენა მოახდინა თვით სემიტურ დამწერლობებზეც, კერძოდ, ძვ. ებრაულში, არაბულში, სირიულსა და სხვა სემიტურ ანბანებში ხმოვნების გამოსახატავად შემოიღეს დამატებითი ნიშნები.

ბერძნული დამწერლობა დაედო საფუძვლად იტალიკურ წერით სისტემებს (პროტოტირენულსა და ეტრუსკულს, რომლისგანაც მოდის ლათინური ანბანი), ლათინური ანბანი რომაული ქრისტიანობის კვალდაკვალ თანდათან გავრცელდა და დღეს მსოფლიოში ყველაზე ფართოდ გავრცელებული დამწერლობაა.

ქრისტიანულ ეპოქაში ბერძნული დამწერლობის საფუძველზე იქმნება კოპტური (უძველესი ძეგლები II-III საუკუნეებისა), გოთური (მისი შემქმნელია ვულფილა, IV საუკუნის მოღვაწე), ძველი სომხური დამწერლობა (სომხური საისტორიო ტრადიცია მის შემქმნელად თვლის მესროპ მაშტოცს. სომხური დამწერლობა, სომეხი ისტორიკოსების აზრით, შექმნილია V საუკუნის დასაწყისში), ძველი სლავური დამწერლობა (IX საუკუნეში ძმებს კირილესა და მეთოდეს შეუქმნიათ სლავური დამწერლობის ის სახეობა, რომელსაც გ ლ ა გ ო ლ ი ც ა ს უწოდებენ. ბერძნულ ანბანს ემყარება აგრეთვე „კ ი რ ი ლ ი ც ა“, რასაც მოწმობს 43 ნიშნიდან 24-ის აშკარა მომდინარეობა ბერძნული უნციალური დამწერლობიდან. ეს დამწერლობა XIII საუკუნეში ცვლის გლაგოლიცას და ხდება გაბატონებული ანბანი ორთოდოქსი სლავებისათვის (რუსები, უკრაინელები, ბელორუსები, ბულგარელები, სერბები).

რომელიმე წერითი სისტემის კვლევა შეუძლებელია წარმატებით დაგვირგვინდეს, თუ არ გავითვალისწინეთ სხვადასხვა დამწერლობათა ისტორია. „სხვადასხვა სისტემის ანბანურ დამწერლობათა შედარებითი შესწავლა აღგვიდგენს ანბანის შექმნის პროცესს ნიმუშად აღებული საწყისი წერითი სისტემის მიხედვით, წარმოგვიდგენს დამწერლობის წ ა რ მ ო ქ მ ნ ი ს ტ ი პ ო ლ ო გ ი ა ს“ (გვ. 118).

დამწერლობის შექმნის საწყისი ეტაპი არის ენის ბგერითი სისტემის იმ ერთეულთა გამოყოფა, რომელთათვისაც უნდა შეიქმნას გრაფიკული სიმბოლოები. „ეს არის არსებითად ენის ბგერითი, ფონემური ანალიზი, რაშიც ვლინდება დამწერლობის შემქმნელის ლინგვისტური ალღო და ინტუიცია; იგი წინასწარ ანაწევრებს ენას უმცირეს ბგერით ერთეულებად, რომელთა ერთობლიობა ენის ბგერით სისტემას ქმნის. ამდენად, ყოველი წერითი სისტემა და განსაკუთრებით ანბანური დამწერლობა გულისხმობს იმპლიციტურად ჩატარებულ საკმაოდ მაღალი დონის ფონემურ ანალიზს, და შესაბამისად ყოველი დამწერლობა წარმოადგენს სათანადო ენის ლინგვისტური კვლევის პირველ ნიმუშს“ (გვ. 118). პრინციპული მნიშვნელობისაა თ. გამყრელიძის მოსაზრება: „შესაძლებელია საერთოდ ვამტკიცოთ, რომ მეცნიერების დასაბამი საზოგადოდ (და, კერძოდ, ენათმეცნიერული კვლევისა) ამა თუ იმ ხალხის კულტურულ ისტორიაში მოდის სათანადო ენისათვის დამწერლობის შექმნის პერიოდზე: დამწერლობის შექმნა საზოგადოდ მეცნიერული კვლევის დასაწყისს უნდა ნიშნავდეს“ (გვ. 118).

როცა მოცემული ენისათვის დამწერლობას ქმნიან, ჩვეულებრივ, იღებენ რომელიმე წერილობით სისტემას და მასესხებელ ანბანში ასახულ ბგერით სისტემას უპირისპირებენ (უდარებენ) მსესხებელი ენის ბგერით სისტემას. „ხდება შესაბამისობის დადგენა ფონეტიკური მსგავსების საფუძველზე B ენის ბგერებსა და ნიმუშად აღებული A ენის ბგერებს შორის, რომლებიც გარკვეული თანამიმდევრობით წარმოდგენილია ანბანთრიგში“ (გვ. 119). ამ პროცესის შედეგად მასესხებელი (პროტოტიპული) ანბანის პარადიგმატიკა განსაზღვრავს მსესხებელი ანბანის პარადიგმატიკას. ცხადია, „ეს უკანასკნელი განისაზღვრება სანიმუშოდ აღებული A ენის წერითი სისტემის პარადიგმატიკით“ (გვ. 119).

თუ მსესხებელ ენაში აღმოჩნდა ბგერითი ერთეულების მეტი ოდენობა მასესხებელ ენასთან შედარებით, აუცილებელი ხდება დამატებითი სიმბოლოების შექმნა „დამატებითი“ ბგერითი ერთეულებისათვის (ასე მოიქცნენ ბერძნები, როცა მათ სემიტური დამწერლობა ისესხეს; ასევე მოიქცნენ კოპტები, სომხები, სლავები ბერძნულის საფუძველზე საკუთარი დამწერლობების შემოღებისას).

დამატებითი ნიშნები შეიძლება მოსდევდეს ძირითად ნაწილს (კოპტური), ან ჩართული იყოს ძირითადში (არაბული, სომხური).

ამას გარდა, გასათვალისწინებელია ისიც, რომ ენები ერთმანეთისაგან სხვაობენ სპეციფიკური ბგერითი ერთეულებით. ასეთ შემთხვევებში პროტოტიპული ანბანიდან მომდინარე სიმბოლოები, რომელთა შესატყვისი ბგერითი ერთეულები მსესხებელ ენას არ გააჩნია, გამოიყენება განსხვავებული ფონეტიკური მნიშვნელობებით პარადიგმატულ სისტემაში რიგის დაურღვევლად (მაგალითად, ასე მოიქცნენ ბერძნები, რომელთაც ხმოვნები აღნიშნეს იმ სემიტური სიმბოლოებით, რომელთა შესატყვისი ბგერითი ერთეულები მათ ენას არ გააჩნდა).

ანბანის შექმნა გულისხმობს ბგერითი ერთეულების გამოყოფას, მათ შეპირისპირებას პროტოტიპული დამწერლობით გამოხატულ ბგერით ერთეულებთან, მასესხებელი წერითი სისტემის მიხედვით მსესხებელი ენის ბგერით ერთეულთა განლაგებას და მათთვის ასო-ნიშნების შექმნას. თ. გამყრელიძე წერს: „ეს ორი პროცესი მოცემულ B ენაში ნიმუშად აღებული A ენის მიხედვით ბგერითი ერთეულების გამოყოფა-დალაგება და მათი გამომხატველი გრაფიკული სიმბოლოების შექმნა — ერთმანეთთან დაკავშირებულ პროცედურას ასახავს და ერთმანეთს გულისხმობს. დამწერლობის როგორც შინაარსის, ისე გამოხატულების პლანის შექმნა ორიგინალური შემოქმედების ერთიან პროცესს წარმოადგენს“ (გვ. 121).

არსებობს ანბანის შექმნის ორი ძირითადი გზა — პირველი: პროტოტიპული დამწერლობის ნიშანთა სესხება და დამატებითი სიმბოლოების შექმნა ნასესხებ ნიშანთა ცვლილებისა ან სხვა წერითი სისტემებიდან სესხების გზით (ბერძნული—სემიტურთან მიმართებით; კოპტური, გოთური, კირილიცა — ბერძნულთან მიმართებით); მეორე: პროტოტიპული დამწერლობის ნიშნები გადმოიღება გრაფიკულად საკმაოდ შეცვლილი სახით, რაც ხშირად ჩრდილავს კავშირს მასესხებელ წერით სისტემასთან („გლაგოლიცა“ ბერძნულ მინუსკულურ დამწერლობასთან მიმართებით). „საწყისი სისტემის ამგვარი გრაფიკული მოდიფიკაციები შეიძლება განხორციელებულიყო მოცემული დამწერლობისათვის ნიმუშად აღებულ წერით სისტემასთან კავშირის დაფარვის მიზნით, რასაც შესაძლებელია გარკვეული პოლიტიკურ-იდეოლოგიური საფუძვლები ჰქონოდა“ (გვ. 123). განსაკუთრებით თვალსაჩინოა ეს ტენდენცია სომხური დამწერლობის მაგალითის მიხედვით. თ. გამყრელიძე მიუთითებს, რომ „ბერძნულ ბგერით სისტემასთან შეფარდებით დადგენილი და განლაგებული სომხური ბგერითი ერთეულები გამოიხატა არა შესაბამის ბერძნულ გრაფიკულ სიმბოლოებზე დამყარებული ნიშნებით, არამედ მთლიანად ბერძნული გრაფიკისაგან დამოუკიდებლად შეითხზა, შესაძლებელია, ორიგინალურ ნიადაგზე ან სხვადასხვა გრაფიკული ნიმუშების გამოყენებით“ (გვ. 123).

სომხური ანბანის პარადიგმატიკაში აშკარად იჩენს თავს მისი ბერძნულიდან მომდინარეობა: „ძველი სომხური ანბანის ბერძნული საფუძვლები ვლინდება ასო-ნიშანთა არსებითად ბერძნულ წყობაში, რომელიც თავს იჩენს სისტემაში სპეციფიკური სომხური, ბერძნულისათვის არადამახასიათებელი ბგერების გამომხატველ ნიშანთა გამოყოფის შემდეგ“ (გვ. 104). ბერძნული ბგერითი ერთეულების გამომხატველი ნიშნები და შესაბამისი სომხური ბგერითი ერთეულების აღმნიშვნელი სიმბოლოების რიგი ზუსტად ერთნაირია.

თ. გამყრელიძე წერს: „ამ თვალსაზრისით ძველი სომხური დამწერლობა ბერძნულ წერით სისტემაზე დამყარებულ დამწერლობათა შორის მეტად თავისებურ სისტემას წარმოადგენს, რომელიც უპირისპირდება ამ მხრივ ბერძნული სისტემის გამოხატულების პლანის ამსახველ დამწერლობებს: კოპტურს, გოთურს, სლავურ „კირილიცას“ და სხვ. ეს წერითი სისტემები ბერძნული დამწერლობისაგან წარმომდგარ ანბანურ დამწერლობათა ტიპოლოგიაში უკიდურეს პოლუსებს ქმნიან. ამათ შორის მოთავსდება ტიპოლოგიურად სლავური „გლაგოლიცა“, რომელიც არ წყვეტს მთლიანად გრაფიკულ კავშირს პროტოტიპული დამწერლობის გამოხატულებასთან, მაგრამ წარმოგვიდგენს ბერძნული სისტემის გრაფიკულ სიმბოლოებს უაღრესად მოდიფიცირებული და გრაფიკულად სტილიზებული წერილობითი ნიშნების სახით“ (გვ. 123-125). თ. გამყრელიძის აზრით, ამავე ჯგუფს განეკუთვნება ქართული ასომთავრული დამწერლობაც.

ქართული ანბანის ბერძნულიდან მომდინარეობის თეორია სათავეს XIX საუკუნის 70-იანი წლებიდან იღებს. სხვადასხვა დროს ამ თვალსაზრისს ავითარებდნენ ვ. გარდტჰაუზენი, დ. ბაქრაძე, დ. კარიჭაშვილი, კ. კეკელიძე, ა. შანიძე, პ. ინგოროყვა და სხვები.

სწორედ ამასთან დაკავშირებით წარუმძღვარა ეპიგრაფად მეცნიერმა თავის მონოგრაფიას დიდი გოეთეს აფორიზმი: „ყველაფერი გონივრული უკვე ნაფიქრია, უნდა ვეცადოთ მხოლოდ, ყოველივე ეს ხელახლა გავიაზროთ“.

თ. გამყრელიძის წიგნის მესამე თავი (გვ. 118-205) ქართული ანბანის ბერძნულიდან მომდინარეობის თეორიის დასაბუთებას ეძღვნება. თ. გამყრელიძე ქართული ანბანის წარმოშობას იკვლევს როგორც ენათმეცნიერი (ხოლო თუ როგორი ლინგვისტია იგი, საყოველთაოდ ცნობილია). წინამორბედი მკვლევრები ქართული ანბანის წარმოშობის პრობლემის გადაჭრას ასო-ნიშანთა მსგავსება-განსხვავების საფუძველზე (გრაფიკული მეთოდით) ცდილობდნენ. თ. გამყრელიძე უპირატესობას ანიჭებს ლინგვისტურ მიდგომას, ოღონდ მთლიანად არ გამორიცხავს გრაფიკულ მსგავსებათა მნიშვნელობასაც. ამგვარი ძიებისას უნდა დავიცვათ მტკიცე მეთოდოლოგიური პრინციპი. სწორედ ამიტომ გამოკვეთს თ. გამყრელიძე, რომ: „ერთი დამწერლობის ცალკეულ ნიშანთა მსგავსება სხვა დამწერლობებთან ვერ გამოდგება საფუძვლად მათ შორის არსებული გენეტური კავშირების მტკიცებისათვის, თუ ცალკეულ ნიშანთა გრაფიკულ მსგავსებასთან ერთად ამგვარ დამწერლობათა შორის არ გამოვლინდა შინაგანი სტრუქტურული კავშირები წერის არსებით მახასიათებლებში“ (გვ. 54).

თ. გამყრელიძე თავის ნაშრომში მოკლედ მიმოიხილავს არქაული ქართულის ბგერით შედგენილობას (გვ. 125-128) და აღნიშნავს, რომ „არქაული ქართულის ამ ბგერითი სისტემის შესაბამისად უნდა განხორციელებულიყო სწორედ ძველი ქართული ანბანის შექმნა“ (გვ. 129). ავტორი ხაზგასმით აღნიშნავს ქართული დამწერლობის შემოქმედის უდიდეს ლინგვისტურ ალღოს — ქართული ენის ყველა ბგერითი ერთეული გამოყოფილია აბსოლუტური სიზუსტით. ამ ფაქიზმა მეცნიერულმა ანალიზმა გახადა შესაძლებელი ბგერითი სისტემისათვის ზუსტად შესაბამისი დამწერლობის შექმნა. თ. გამყრელიძე წერს: „ირკვევა, რომ ქართული ანბანის შემქმნელს ზედმიწევნითი სისრულით აქვს წარმოდგენილი თანადროული ქართული ენის ბგერითი სისტემა. იგი სრულად და ამომწურავად ითვალისწინებს ქართული ენის ბგერათა (ფონემათა) ინვენტარს, რომელთა გრაფიკული გამოხატვა აუცილებელია ქართული ენის ადეკვატური წერილობითი გადმოცემისათვის. ქართული ენის ბგერითი ინვენტარი იმდენად სრულად და თანმიმდევრულად არის ასახული ძველ ქართულ ასომთავრულ დამწერლობაში, რომ მას ამ თვალსაზრისით (ე. ი. ნიშანთა შემადგენლობისა და მათ ფონეტიკურ მნიშვნელობათა მხრივ შემდგომ არსებითი ცვლილებები არც კი განუცდია“ (გვ. 129).

ქართული დამწერლობის წარმოშობის კვლევის ძირითადი პრობლემაა: რომელი ანბანი გამოიყენა ქართული დამწერლობის შემოქმედმა ნიმუშად? „ეს არის არსებითად პრობლემა ძველი ქართული დამწერლობის წარმოშობისა, დაყვანილი სრულიად კონკრეტულ ამოცანაზე, სახელდობრ იმის გარკვევაზე, თუ რომელ წერილობით სისტემას ემყარება ქართული დამწერლობა როგორც ნიმუშს, როგორც პროტოტიპულ მოდელს, რომელიც განსაზღვრავს მის წყობასა და პარადიგმატიკას“ (გვ. 130).

როგორც ჩანს, ქართული ანბანის შემოქმედს პროტოტიპად შეეძლო აეღო ძველი სემიტური ან ბერძნული დამწერლობა.

თ. გამყრელიძე წერს: „ყველა შემთხვევაში (ე. ი. ქართული დამწერლობის სემიტური თუ ბერძნული წერითი სისტემისაგან წარმომავლობის დაშვებით). ერთი რამ წინასწარ ცხადია: როგორც სემიტურ, ისე ბერძნულ სისტემასთან შედარებით, ქართული ბგერითი სისტემა ხასიათდება ბგერათა (კერძოდ, თანხმოვან ფონემათა) უფრო დიდი რაოდენობით. მაშასადამე, ორივე ამ სისტემასთან შეფარდებისას ქართულში დარჩება ერთი ჯგუფი თანხმოვნებისა, რომლებიც ვერ პოვებენ ფონეტიკურ ეკვივალენტებს შესადარებელ სისტემებში“ (გვ. 130). ეს ბგერითი ერთეულები და მათი აღმნიშვნელი სიმბოლოები ქმნიან „დანართ“ ჯგუფს შესადარებელ სისტემებთან მიმართებით. ძირითად ჯგუფში კი შედის ის ქართული ბგერითი ერთეულები და მათი სიმბოლოები, რომელნიც მასესხებელი ენის ბგერითი ერთეულებისა და მათი სიმბოლოების შესატყვისებს წარმოადგენენ. „იმის გარკვევაზე, თუ რომელი წერილობითი ნიმუშის მიხედვით იქნა გაწყობილი ქართული ანბანის ძირითადი ნაწილი“, არის დამოკიდებული ქართული ანბანის შესაძლო წყაროს დადგენა.

ნათელია, რომ ქართული ანბანის „ძირითადი“ და „დანართი“ ნაწილები შეპირობებულია პროტოტიპის ზეგავლენით. ეს ნაწილები განსხვავებული იქნებოდა იმის მიხედვით, თუ რომელ ნიმუშს აიღებდა ძველი ქართული ასომთავრულის შემოქმედი — სემიტურს, თუ ბერძნულს.

თ. გამყრელიძე აღნიშნავს: „ამ თვალსაზრისით სემიტური და ბერძნული დამწერლობის შეფარდება ძველ ქართულ ანბანურ დამწერლობასთან გამორიცხავს ამ უკანასკნელის მომდინარეობას სემიტური წერითი სისტემისაგან და ავლენს მის გენეტურ კავშირს ბერძნულ დამწერლობასთან“ (გვ. 131).

ქართული ანბანის პროტოტიპად ძველი სემიტური დამწერლობის მიჩნევა თუნდაც იმიტომ არ არის სავარაუდო, რომ იგი ნარევი „კონსონანტურ-სილაბური“ წერითი სისტემაა, „მაშინ, როდესაც ქართულ დამწერლობაში მკაცრად და თანმიმდევრულადაა გატარებული წერის „ანბანური პრინციპი“, რაც პირველად დამწერლობათა ისტორიაში ბერძნულ წერით სისტემაში განხორციელდა ძველი სემიტური სისტემის სტრუქტურული გარდაქმნების შედეგად“ (გვ. 131-132).

ქართული ანბანის პროტოტიპად ბერძნულის „მიჩნევა სავსებით გასაგებს ხდის ქართული სისტემის სტრუქტურასა და პარადიგმატიკას, მისი „ძირითადი“ და „დამატებითი“ ნაწილების ხასიათსა და ბგერით შედგენილობას“ (გვ. 132).

განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ „ყველა ის თავისებურება ბერძნული დამწერლობისა, რითაც ეს უკანასკნელი განსხვავდება ძველი სემიტურისაგან, ყველა ის სპეციფიკური, საკუთრივ ბერძნულისათვის დამახასიათებელი სტრუქტურული ნიშანი, წარმოქმნილი ბერძნულ ანბანში მისი შექმნისას სემიტურისაგან და აგრეთვე მისი შემდგომი განვითარების პროცესში, ასახულია სრულად ქართულ ანბანში, რაც ნათლად მოწმობს ძველი ქართული დამწერლობის ბერძნული (და არა უშუალოდ სემიტური) სისტემისაგან წარმომავლობას“ (გვ. 132).

ქართული ბგერითი ერთეულების გამომხატველი ასო-ნიშნების რიგი მიჰყვება ბერძნული ენის ბგერათა აღმნიშვნელ სიმბოლოთა რიგს.

განსაკუთრებით უნდა გამოვყოთ ზოგი მომენტი. ბერძნულ ანბანში პირველ ადგილას დგას A, რომელიც /a/ ხმოვანს გამოხატავს. ბერძნებმა ნიშანი ისესხეს ძველი სემიტურისაგან, სადაც იგი გამოხატავდა ერთ-ერთ ლარინგალურ თანხმოვანს, რომლის ეკვივალენტი ბერძნულს არ გააჩნდა. ბერძნებმა ამ თანხმოვნის აღმნიშვნელ ასოს /a/ ხმოვნის გამოხატვა დააკისრეს. ქართულშიც პირველ ადგილზე /Ⴀ/ ხმოვნის გამომხატველი ნიშანია.

ბერძნულში მეხუთე ადგილზე დგას /e/ ხმოვნის გამომხატველი სიმბოლო. ბერძნებმა სემიტურიდან ისესხეს ნიშანი, რომელიც გამოხატავდა /h/ თანხმოვანს, და მას დააკისრეს /e/ ხმოვნის აღნიშვნა. ქართულშიც მეხუთე ადგილი /Ⴄ/ ხმოვნის გამომხატველ სიმბოლოს უკავია.

Ⴅ, რომელიც ქართულ ანბანში მე-6 ადგილზე დგას, თავისი ფონეტიკური და რიცხვითი მნიშვნელობით არქაული ბერძნულის დიგამის ფონეტიკურ და რიცხვით მნიშვნელობას შეესაბამება.

ძველ ქართულში მერვე ადგილი უკავია /Ⴡ/ ნიშანს. იგი გამოხატავდა /Ⴄ ჲ/ მიმდევრობას. ძველ ბერძნულში მერვე ადგილზეა H, რომელიც გრძელ ვიწრო /ē/ ხმოვანს აღნიშნავდა. ეს ხმოვანი გადადიოდა /ei/ მიმდევრობაში. სწორედ ბერძნული H-ს დიფთონგური მნიშვნელობა დაედო საფუძვლად ქართული Ⴡ ნიშნის ძირითად ფონეტიკურ მნიშვნელობას. სემიტურ ანბანში მერვე ადგილას დგას ლარინგალური თანხმოვნის გამომხატველი ნიშანი, რომელიც ბერძნებმა გამოიყენეს ხმოვნის აღსანიშნავად.

მე-9 ადგილზე ქართულ ანბანში /Ⴇ/-ს გამომხატველი სიმბოლოა. ძველ სემიტურში ამ ადგილზე არის არაფშვინვიერი (ემფატიკური, გლოტალიზებული) თანხმოვნის გამომხატველი ნიშანი, რომელიც თავისი ფონეტიკური თვისებებით ახლოსაა ქართულ /Ⴒ/ თანხმოვანთან. ქართული ანბანი რომ ძველი სემიტური წერითი სისტემებიდან მომდინარეობდეს, ბუნებრივი იქნებოდა, მე-9 ადგილი სწორედ /Ⴒ/-ს გამომხატველ ნიშანს დაეჭირა, მაგრამ ეს ასე არ მოხდა. მიზეზი ისაა, რომ ბერძნულში მე-9 ადგილას ფშვინვიერი /Ⴇ/-ს გამომხატველი ნიშანი გვაქვს. ბერძნულ ანბანში სემიტური გლოტალიზებული თანხმოვნები ფშვინვიერებით არის შენაცვლებული და პირუკუ. ამდენად, ქართული მისდევს ბერძნულს და არა ძველ სემიტურს. თ. გამყრელიძე მიუთითებს, რომ ქართულ ანბანში ყრუ ფშვინვიერ და გლოტალიზებულ თანხმოვანთა გამოხატვის წესი და სათანადო „Ⴔ Ⴇ Ⴕ და Ⴁ Ⴒ Ⴉ ნიშნების ანბანთრიგში

(დასასრული მე-10 გვ.).

### გუნებაზე მოგვიყვანა

მზემ ინება
კვირტის გაშლა,
ლაფიანი
გზებიც გაშრა.
ცა კრიალებს,
არ ქრის ქარი,
ამინდია
საოცარი.
ტყეში ჩიტი
აჭიკჭიკდა,
ნაკადულიც
ალიკლიკდა.
დათბა მიწა
დაზაფრული,
გადამწვანდა
ველი, ყანა...
შემობრძანდა
გაზაფხული,
გუნებაზე
მოგვიყვანა.

### დათვი

ციყვუნიამ მუხის ხისკენ
გაიშვირა ციცქნა თათი,
დაიძახა: დღეს ამ ხიდან,
პარაშუტით ხტება დათვი!
მუხას უმზერს ყველა
მხეცი,
გაინაბა ტყე და ჭალა,
დათვი მოდის როგორც
ტყვია, —
პარაშუტი ვერ გაშალა...
მელაკუდა აქირქილდა:
— დავაყარე თავზე რიყე,
ორი კვირა ვაქეზებდი, —
როგორც იქნა გავაბრიყვე!

### დათვის გასაჭირი

ტყეში თოვლი დამდნარა,
გაზაფხული დამდგარა.
დათუნია დანდალა,
ბუნაგიდან ამდგარა.
დააბოტებს ლასლასით,
მშიერი და ეული.
იმოდენა ძილისგან
ძალაგამოლეული.
ელანდება კურდღელი,
ციკანი და ბატკანი...
ნატრობს: — ნეტავ
შემხვდესო,
რომელიმე მათგანი!..
არ უნახავს არავის
დათვი ასე გამხდარი.
მცირე ჩქამიც აშინებს,
ისე არის წამხდარი.
საკბილოს ვერ შოულობს,
ლამის ტირის საწყალი.
სანამ ხილი შემოვა, —
დიდხანს ელის წანწალი!

### პაპუნა

ცა ღრუბელმა დაფარა,
წამოვიდა შხაპუნა,
სკოლიდან მომავალი
დაასველა პაპუნა...
სახლში შეშა დაჩეხა,
ღუმელი გაახურა,
სუფრა თვითონ გაშალა,
დაჯდა მამაპაპურად.

ავთანდილ მეგრელიშვილი

### მზისკენ მივდივართ

მამამ კისერზე
შემომისვა
და მიხარია.
ნახეთ, ქუჩები
ხალხს და დროშებს
დაუფარია
და მიხარია,
სამფერ დროშას
მეც ვაფრიალებ,
მზისკენ მივდივართ,
ალმა,
ალმა...
ზეცა კრიალებს.
გამაღონივრებს,
დიდს,
დიდს,
სულ დიდს
გამზრდის უფალი,
რომ მეც ვაშენო
საქართველო
თავისუფალი.

ალექსანდრე დიდებაშვილი

### კეთილი სტუმარი

შემოეჩვია ჩვენს ბინას
ჩიტუნა, კისერლაბუა,
საკენკით
ვუმასპინძლდებით
მე, თინიკო და ბაბუა.
რიჟრაჟზე, როცა ცისკარი
გაიხსნის ოქროს საკინძეს,
ფანჯრის რაფაზე დაჯდება
ჩამოგვჭყივლებს და
გვაღვიძებს.

ვიქტორ ლეჟავა

### მელა, ძერა და ვარიები

ელასაო მელასაო,
ზღაპარს გეტყვით
ყველასაო:
ვარიები დაუზრდია,
ერთ დიდ ტყეში მელასაო,
ბაზარში წაუყვანია
უყიდია ძერასაო...

გიორგი მეტრეველი

### საგალობელი

წმიიინდაო ღმეერთო... —
საქართველო გალობს,
ცხრა აპრილში დახოცილ
თავის შვილებს ბრალობს...
დედაო საქართველოვ,
ჩვენ რომ დაგვაწყნარო,
გალობ სიკეთისთვის
გლოვით გულდამწვარო!
ტკბილ ხმებს რომ აგუგუნებ
ღმერთიც მიტომ გწყალობს!
იჩუხჩუხე ივერთავ
უკვდავების წყაროვ!
წმიიინდაო ღმერთო...
საქართველო გალობს,
ცხრა აპრილში დახოცილ
თავის შვილებს ბრალობს!

ლიდა სტვილია

### ლოკოკინას სტუმარი

ეს ვეება ბეჰემოთი,
მართლაც ბოთე ბეჰემოთი,
ვერც ჩანთით და
ვერც უჩანთოდ,
უჩემოდნოდ,
ვერც ჩემოდნით,
ვერ იქნა და ლოკოკინას
სასახლეში ვერ შემოდის!

რამ შეშალა ლოკოკინა!
ნეტავი რამ გააგიჟა,
რას ფიქრობდა, როცა
სახლში
ბეჰემოთი დაპატიჟა!

### დათუჩებს დასცხათ

— ამ სიცხეს ვერ
გადავრჩებით,
როგორ შეცდა მამაჩვენი!
რად გვიყიდა
ტყაპუჭები?! —
აბუზღუნდნენ დათუჩები,
თან პეპელას, სიფრიფანას,
გააყოლეს ხარბად თვალი,
— აფსუს, ერთი ამისთანა
მოხატული სარაფანი!..

მზია ჩხეტიანი

### პატარა დედა

პატარა გოგო, —
ნაზი და სათნო,
პატარა გოგო სულ თოთო ბავშვით,
ხეებს აპრილის სურნელი დასდით,
აპრილი ლაღად ნებივრობს ბაღში.
პატარა დედა,
— ღვთისმშობლის ფრესკა,
ათბობს და ნათობს სიკეთის სხივით,
სიცოცხლეს დიდი ძალა აქვს წესად,
ზეწვდომის, რაღაც ზებუნებრივის.
პატარა დედა — სულ თოთო ბავშვით,
აპრილი — კვირტებდამსკდარი უცებ,
რაღაც მსგავსება იგრძნობა მათში,
სიცოცხლე ერთი გულივით უცემთ.

ზუმრუდ გოდერძიშვილი

### ჭიაკოკონა

ბაღ-ბოსტანი გვეძახის!
ბაღ-ბოსტანი გვეძახის! —
ჩვენ, მებაღე ბიჭებსა
და მებოსტნე გოგონებს,
ჩალა-ბულას ვაგროვებთ
ვანთებთ ჭიაკოკონებს.
დროზე უნდა ვაყრიდეთ
მავნე ჭიას ქოქოლას,
დროზე უნდა ვანთებდეთ
ბაღში ჭიაკოკონას.
ბაღ-ბოსტანი გვეძახის!

გიორგი წერეთელი



კიდევაც დაიზრდებიან... ედუარდ ბიბილაშვილის ფოტო.

### მოვესწრებით, მჯერა...

მამიკოსთან ერთად დადის
მიტინგებზე გელა,
პაწაწინა დროშით ხელში
სხვებთან ერთად ღელავს,
შინ მოდის და ეუბნება
დას, შავთვალა ლელას,
ჯერ აკვანში მწოლიარეს,
გოგოს მტრედის ხელას:
— თავისუფალ
საქართველოს
მოვესწრებით, მჯერა...

### ეკლესიის მშენებლები

ჯურხამ, ლამაზქოჩრიანმა,
შავტუხამ და შავთვალამ,
მოიტანა ქვა და თიხა,
ხისგან ჯვარი გათალა,
მერე ბექაც დაეხმარა
ძმაკაცი კაფანდარა
და წყაროსთან ააშენეს
ეკლესია პატარა.

### ყიპყიპელა

სად მიდის იხვი პატარა,
სახელად ყიპყიპელა?
ღიმილით მისჩერებიან
კახაბერი და ლელა...
მდინარე მონატრებია,
შუადღეა და ცხელა,
მარტო არაა,
თან მიჰყავს
წიწილა, ფოთლისხელა...

ვაჟა ხორნაული

### შემთხვევა გადასასვლელზე

ცეროდენა ბალღები:
ნათია და მინდია,
კოხტად გამოწყობილან
სასეირნოდ მიდიან.
გადასასვლელს მიადგნენ,
წითლად ელავს ფარანი,
გამვლელები იცდიან,
არ გადადის არავინ.
მაგრამ ერთი შეხედეთ
ცუგრუმელა პაწიებს,
ააღერეს თავები,
არხეინად გასწიეს.
და უეცრად ამოჩნდნენ
მანქანების ალყაში,
აირია ქვეყანა,
ატყდა ერთი განგაში.
ჰოდა, კარგად გახსოვდეთ,
მინდია და ნათია:
გზა ხსნილია, როდესაც
მწვანე შუქი ანთია.

### კვლავ გასწვდეს საუკუნეებს...

ამ ბებერ ციხეს
გულგრილად,
ნურვინ ჩაუვლით
გვერდით,
მრავალჯერ მოიგერია
მტერი დუღაბის მკერდით.
ცოცხალი წინაპარია,
მამულს იცავდა ფხიზლად,
მომხდომი დუშმანისაგან
ბევრი სიცოცხლე იხსნა.
უმკურნალებდე, თუ რამ
სჭირს
დავრდომილს ჟამთა
დენით,
კვლავ გასწვდეს
საუკუნეებს
მადლიერების რწმენით.

შოთა ამირანაშვილი

# სისხლი სისხლის წილ...

## მამუკა ლორთქიფანიძე



ამ ბოლო დროს გახშირდა ვაჟა-ფშაველას შვილის — ლევან რაზიკაშვილის დახვრეტასთან დაკავშირებული ეპიზოდის თხრობა სხვადასხვა ხასიათის ნაწერებში. ამ ამბავში ს. ორჯონიკიძის პოზიცია სავსებით გარკვეულია, მაგრამ არსად არ არის მითითებული ლევანის დაღუპვის ზუსტი მოტივი და, რაც მთავარია, თარიღი.

ჩვენს მიერ მიკვლეულ საქართველოს საგანგებო კომისიის განცხადებაში, რომელიც გამოქვეყნდა 1923 წლის 18 თებერვალს, დახვრეტამისჯილ 92 კაცში რიგით სამოცდამეთორმეტე ლევან ლუკას ძე რაზიკაშვილია.

ამ განცხადებას ქვემოთ დავუბრუნდებით, მანამდე კი ვცადოთ წარმოდგენა იმ შინაპოლიტიკური სიტუაციისა, რომელიც შეიქმნა საქართველოში, იმ დროისათვის, ახალი ხელისუფლების არსებობის პირველ წლებში და შევისწავლოთ ზემოაღნიშნული რეპრესიის საფუძველი და გარემოებები, იმ მასალებზე დაყრდნობით, რაც ჩვენს ხელთ არის.

1923 წლის 10 თებერვალს, გურიაში, ოზურგეთსა და ლიხაურს შორის მოკლეს სამოსწავლო საკადრო ათასეულის სამხედრო კომისარი ალექსანდრე (საშა) ობოლაძე, „ძველი ტერორისტი და თავად ყაჩაღი, რომელიც საბჭოთა ხელისუფლების პირველ წლებში შემთხვევით დაწინაურდა“ (აკ. სურგულაძე, „სახ. განათლება“, 5. 07. 89, გვ. 11). იგი ცნობილი იყო თავისი სისასტიკით და კაცთმოძულეობით. „ამხ. ობოლაძე, როგორც საფრთხობელა, ჩვენს მტრებს არ აძლევს მოსვენებას“, — წერს ოზურგეთის მაზრის პოლიტბიუროს უფროსი ს. ორჯონიკიძეს იმავე წლის იანვრის თვეში („სახ. გან.“, 12.07.89. გვ. 41).

„...ობოლაძემ გურიაში მრავალი სოციალ-დემოკრატი გლეხი დააპერინა და დაახვრეტინა. როდესაც ის დღისით ლიხაურიდან, სადაც მრავალ სახლს მისი განკარგულებით ცეცხლი ჰქონდა წაკიდებული, ასი შეიარაღებული მხედრის ამალითურთ ოზურგეთში ბრუნდებოდა, ეტლში შეუვარდა ყოფილი გვარდიელი გოგია ლლონტი, რომელიც ცოლით ტყეში იყო გავარდნილი, მოკლა ობოლაძეც და მის გვერდით მჯდომი ოფიცერიც და უვნებლად მიიმალა“. (გ. ქიქოძე, „თანამედროვის ჩანაწერები“, „მნათობი“ № 1, 1989 წ. გვ. 28).

უფრო დაწვრილებით ამ ამბავს აღწერს ძველი სოციალ-დემოკრატი ვალიკო ჩუბინიძე: „გაყაჩაღებულ ბოლშევიკ მანწკავას წინააღმდეგ გაგზავნილი ჯარი ცნობილი ობოლაძის მეთაურობით, ღვთის რისხვათ ევლინება გურიის მშვიდობიან მოსახლეობას. ტყეებში გაჭრილ ყაჩაღებთან* უძლური ობოლაძე შურს იძიებს ბინადარ, მშრომელ გურიაზე. ეს ჯალათი ხვრეტს გლეხებს და მათ გასისხლიანებულ გვამებს ყვავყორნების და ძაღლების საჯიჯგნათ ჰყრის თვალსაჩინოდ ოზურგეთის შემავალ გზებზე, რათა ასეთი გულშემზარავი სურათით ტერორის ქვეშ დააყენოს მოსახლეობა... ობოლაძე, სხვა მრავალთა შორის, ხწვავს მანწკავას ძმის — ვასილის სახლს და ეს გულქვა სადისტი თავის ხელით ცეცხლის ალში აგდებს და ცოცხლათ ხწვავს სახლის პატრონის 12 წლის ვაჟს. ამ ბარბაროსს, ამ თავშეუკავებელ მხეცს, გასაგები მიზეზით, ჰკლავს მანწკავას ნათესავი და პირადი მეგობარი“. (ვ. ჩუბინიძე, „მოგონება“, წიგნ. II, პარიზი, 1958 წ. „ძელი ჭეშმარიტი“, № 3, 1989 წ.).

საშა ობოლაძესთან ერთად მოკლეს „თუმცა უპარტიო, მაგრამ საბჭოთა რესპუბლიკისათვის თავდადებული მებრძოლი ამხანაგები“, — როგორც წერდა გაზ. „კომუნისტი“ (18. 02. 1923 წ.) — იმავე ათასეულის უფროსი დავით ჩუბინიშვილი და გუნდის უფროსი პოლიკარპე ხანიკიძე.

აღნიშნული მკვლელობის საპასუხოდ ჩატარებულ მასობრივ რეპრესიებს ხელისუფლებამ წინასწარ შეუმზადა ნიადაგი. საერთოდ, პირველ ხანებში, „საქართველოს საბჭოთა მთავრობა ერთხანს მეტყოდა კომპრომისის პოლიტიკასა და მკაცრ ღონისძიებებს შორის“ (გ. ქიქოძე). 1921 წლის აპრილში, „ქუთაისში, პროვოკაციული ბომბის გასროლით შანტაჟისტ გეგეჭკორზე თავდასხმის სიმულიაციის მოწყობით“, (ვ. ჩუბინიძე), ხელისუფლებამ პირველი იერიშები მიიტანა ქართველი ერის უკეთეს ნაწილზე და მაინც, „ამ რეპრესიებს თავდაპირველად ნაკლებ სისტემატური ხასიათი ჰქონდა და თითქო უფრო თავდაცვის ღონისძიებას ჰგავდა“ (გ. ქიქოძე), მაგრამ 1923 წლის თებერვლიდან ხელისუფლება გადამწყვეტ იერიშზე გადადის და ის ამისათვის ოსტატურად იყენებს ჯალათ ობოლაძის მკვლელობას. ერთი მხრივ, იგი ახორციელებს შურისძიების აქტს „მოკლული ამხანაგის ნაცვლად“, მეორე მხრივ, რაც უფრო მთავარი იყო, მას უფლება ეძლევა ოფიციალური რეპრესიის განხორციელებისა.

რეპრესიისათვის ნიადაგის შესამზადებლად ერთ-ერთ მთავარ როლს პრესა ასრულებდა. საჭირო იყო ხალხის შეგნებაში გარკვეული სტერეოტიპის ჩამოყალიბება. ამ ფუნქციას პრესა, გარკვეულწილად, ასრულებდა კიდეც.

„ერთი მთავარი გზა, რომელსაც დაადგნენ ეს, მშრომელთა ბატონობის დამყარებით უკმაყოფილო ელემენტები, არის ბანდიტიზმი“, — აღნიშნავენ ერთ-ერთ სტატიაში. „ამ ელემენტების მოქმედება, — განაგრძობს ავტორი, — არ შეიძლება დახასიათდეს, როგორც ვიწრო სისხლის სამართლის დანაშაული, რამდენადაც მათ ბანდიტურ გამოსვლებს საფუძვლად უდევს შეურიგებლობა მშრომელთა დიქტატურასთან... ეს არის ამავე დროს აშკარა კონტრ-რევოლუცია. ბანდიტიზმის პოლიტიკური კონტრ-რევოლუციონური ხასიათი უფრო ხჩანს მის მჭიდრო კავშირში მენშევიკებთან“ (18. 02. 23).

„თეთრი ტერორი ჩვენი პარტიის და საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ, აი, მენშევიკების ბრძოლის ახალი მეთოდი... გზა უკიდურესი ავანტიურის“ (18.02).

„ისე როგორც სოც.-რევოლუციონერთა პარტია თავისი გახრწნის და განადგურების დღეებში სასტიკ ბრძოლას აწარმოებდა რუსეთში, ისე აქ დრომოჭმული მენშევიზმი, დაქსაქსული, იდეურად განადგურებული ზურგიდან ესხმის მშრომელთა ინტერესების დამცველთ“ (ელიავა, 18. 02).

ეს ციტატები უმცირესი ნაწილია იმ „ნააზრევისა“, რაც იმ მოკლე ხანში გამოქვეყნდა გაზეთ „კომუნისტში“.

აქვე შევნიშნავთ, რომ ხელისუფლების მიერ მენშევიკური პარტიის, როგორც მოწინააღმდეგე კლასების ინტერესების დამცველის ძირითად მტრად გამოცხადება, ქართველ ბოლშევიკებს საშუალებას აძლევდა 1921-24 წწ. არსებული წინააღმდეგობა წმინდა პარტიულ ბრძოლად გამოეცხადებინა და ეს ჩანაფიქრი ამ მოძრაობას ეროვნულ ხასიათს აცილებდა, მითუმეტეს, რომ 1921 წელს „ხელისუფლებამ განაცხადა, რომ საქართველოში მოხდა მხოლოდ ძალაუფლების შეცვლა. ბურჟუაზიის მაგიერ ქვეყნის სათავეში ჩადგნენ ქართველი მუშები და გლეხები, საქართველოს დამოუკიდებლობა კი დარჩა კვლავინდებურადო“ (იასონ ჯავახიშვილი)...

აღსანიშნავია, რომ მკვლელობის შესახებ მენშევიკური პარტიის ცენტრალურ კომიტეტს გამოუშვია პროკლამაცია, რომლითაც იგი უარყოფდა თავის მონაწილეობას ჩადენილ დანაშაულში, მაგრამ ცრუმოწმეების საშუალებით, ეს დანაშაული 1924 წლის აჯანყების მონაწილეებს მიაწერეს, და მაინც, „სოციალ-დემოკრატების დანაშაულობათა“ ანგარიშში მიათვალეს“. (გაზ. „ბრძოლა“, 1925 წ. პარიზი).

სერგო ორჯონიკიძე კი, წითელარმიელთა ცენტრალურ კლუბში გამართულ მოკლულთა სამოქალაქო პანაშვიდზე, 15 თებერვალს აცხადებს, რომ „ასეთი მოქმედებისათვის კონტრ-რევოლუციონური მენშევიკური პარტია და ამ ამხანაგების მკვლელები მოიხდიან ღირსეულ სასჯელს. თუ ჩვენ დღემდის ლმობიერად ვეპყრობოდით მათ, დღე, ამიერიდან იცოდნენ, რომ ჩვენ კონტრ-რევოლუციონერებს გავუსწორდებით მთელის რევოლუციონური სიმკაცრით“ (17. 02).

„ქურდულად გამოსროლილ ბანდიტ-მენშევიკების ტყვიას ჩვენ უპასუხებთ ტყვიით საგანგებო კომისიიდან“, — აკონკრეტებს მ. ორახელაშვილი (18. 02).

„...რა უყოთ! ჩვენ ვლებულობთ გამოწვევას სოციალ-ბანდიტების, რომელთაც სისხლში გაისვარეს თავისი ხელები და რევოლუციონური მათემატიკის თანახმად დავხვრეტთ ერთის მაგიერ ათს, მაგრამ ჩვენ მაინც ურჩევთ ჩვენს მტრებს ნუ შეგვეჯიბრებიან ჩვენ სროლაში“, — ნიშნის მოგებით სჯის ტფილისის კომიტეტის მდივანი რუბენი (14. 02).

„...თითოეული მოკლული ამხანაგის ნაცვლად ჩვენ განვგმირავთ შეუბრალებლად ას მტერის გულს“. — მძვინვარებს შ. ელიავა (18. 02).

სერგო ორჯონიკიძის სიტყვის მოყვანილი ფრაგმენტი მნიშვნელოვანია ჩვენთვის, მოვლენათა განვითარების ობიექტური სურათის აღსადგენად. „თუ ჩვენ დღემდის ლმობიერად ვეპყრობოდით მათ...“ ორჯონიკიძის ეს განცხადება ამტკიცებს, რომ მან დასრულებულად ჩათვალა საბჭოთა ხელისუფლების ქართველ ხალხთან ბრძოლის პირველი ეტაპი, გამოხატული ურიცხვი მსხვერპლის უთავბოლო ელეტაში.

ობოლაძის მკვლელობამ კი, როგორც ვთქვით, ორჯონიკიძეს ხელფეხი გაუხსნა და რეალურად არსებული დახვრეტები დააკანონებინა, ამით იგი ცდილობდა, ყოველგვარი პასუხისმგებლობა თავიდან მოეხსნა.

ახლა კი დავუბრუნდეთ საქართველოს საგანგებო კომისიის ზემოთ აღნიშნულ განცხადებას, რომელიც გვამცნობს, რომ „საქართველოს საგანგებო კომისიამ თავის ა. წ. 13-14 თებერვლის სხდომაზე გაუწია რა ანგარიში ბანდიტების შეუჩერებელ ტერორისტულ მოქმედებებს, მათი მუხანათური საქმიანობისათვის ბოლოს მოღების მიზნით — დაადგინა ქვემოდ ჩამოთვლილ პირებს, როგორც მრავალჯერ აღრიცხულებს და ბანდიტიზმისათვის, მკვლელობებისათვის, ძალადობისათვის, დაწვისათვის და ტყუილებისათვის და სხვა. გასამართლებულებს მიესაჯოთ უმაღლესი სასჯელი — დახვრეტა“.

როგორც აღვნიშნეთ, სიაში 92 კაცია, მათ შორისაა ლევან ლუკას ძე რაზიკაშვილი, რომლის დანაშაული, ფაქტიურად, უცნობია, თუმცა, ამას მაშინ არც ჰქონდა რაიმე მნიშვნელობა გამოძიებისათვის. ეს 92 კაცი ციხეებიდან გაიყვანეს. დახვრეტას შერჩევითი ხასიათი ჰქონდა.

გამოსაკვლევია დახვრეტილთა ვინაობა. მათგან მხოლოდ რამდენიმე პიროვნების დადგენა მოხერხდა, ვალიკო ჩუბინიძის ცნობით: უკრაინაში საქართველოს ყოფილი ელჩი ბებური ბესარიონის ძე ვაჩეიშვილი, ლანჩხუთის გიმნაზიის დირექტორი ილია სტეფანეს ძე თარგამაძე.

სამის სანაცვლოდ 92 ადამიანის შეწირვის შემზარავი განაჩენის შემდეგ აღვირახსნილი ხელისუფლება „რევოლიუციონური“ ტერორის გამოცხადების ფაქტის წინაშე აყენებს მოსახლეობას:

„ამავე დროს საქ. საგანგებო კომისია უკანასკნელად აფრთხილებს ყველა ბოროტმოქმედ-ბანდიტურ ელემენტებს, რომ ყველა ის პირები, რომლებიც დაპატიმრებული არიან ბანდიტიზმისა და კონტრრევოლუციისათვის, გამოცხადებული არიან მძევლებათ და ამგვარი მკვლელობის განმეორების შემთხვევაში ათობით იქნებიან დახვრეტილი“.

სწორედ აქედან იღებს სათავეს ქართველი ერის წინააღმდეგ მიმართული ის ულმობელი ანგარიშსწორება, რომელიც სტალინის გამონათქვამის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, საქართველოში რევოლუციის უსისხლოდ მიღების სანაცვლო ღონისძიება იყო...

განცხადებას ხელს აწერენ საგანგებო კომისიის კოლეგიის წევრები: კვანტალიანი, მიქელაძე, ბერია, პანკრატოვი, ნასარიძე, ქავთარაძე; და მაინც, ყველა ხელმოწერის მიღმა დგას სერგო ორჯონიკიძე, რომელიც უშუალო ხელმძღვანელი იყო ქართველი ერის საუკეთესო ნაწილის ხოცვა-ჟლეტისა 1921-24 წლებში. მაშინ მასზე იყო დამოკიდებული ერის ბედი. ამ მოსაზრებას ამტკიცებს, იმავე წლის ზაფხულში, მიხეილ ჯავახიშვილის განთავისუფლების ფაქტი, როდესაც ს. ორჯონიკიძის კარგ გუნებაზე ყოფნამ, საბედნიეროდ, გადაგვირჩინა დიდი ქართველი მწერალი (ქ. ჯავახიშვილი, „მნათობი“, № 2, 1989 წ. გვ. 125)...

ჯალათი ობოლაძე მოკვდა. დაიღუპა შეწირული მსხვერპლი; რეპრესიები კი ახალ ფაზაში შევიდა: „ბერიას დავალებით ობოლაძის მკვლელთა მიმართ ანგარიშსწორება დაეკისრა ი. ტალახაძეს, რომელიც ობოლაძეზე არანაკლები სიმკაცრით და განუკითხავად ხვრეტდა მკვლელობაში ეჭვმიტანილთ“ (აკ. სურგულაძე).

საქართველოს ისტორიაში ამ უპრეცედენტო კაცისკვლას ისეთი გრანდიოზული ხასიათი ჰქონდა, რომ მას ოფიციალურმა ისტორიოგრაფიამაც ვერ აუარა გვერდი, თუმცა, უდიდესი ცინიზმით აღნიშნა, რომ „საბჭოთა ხელისუფლებამ დამსახურებულად დასაჯა ანტისაბჭოთა გამოსვლის მეთაურები“ (საქ. ისტ. ნარკ. 7, გვ. 192, 193). სინამდვილეში კი, დიდი წარმატებით, გათამაშდა სისხლიანი დრამა. ორი წლის ყოყმანის შემდეგ, საბჭოთა ხელისუფლებამ ოფიციალურად დაიწყო რეპრესიები და მის ერთ-ერთ პირველ მსხვერპლად, დიდი ვაჟას უფროსი შვილი, ლევანი შეიწირა.

1924 წლის აგვისტოს სისხლისღვრამდე მთელი წელიწადნახევარი იყო დარჩენილი.

საქართველო სისხლისგან იცლებოდა...

●

ავტორის სურვილით, ჰონორარი გადაირიცხება 9 აპრილს დაღუპულთა მემორიალის ფონდში.

---

* ყაჩაღური ბანდების წარმოშობის მიზეზი გაშუქებული აქვს აკ. სურგულაძეს წერილში „1924 წლის აჯანყება“ („სახ. გან“. 5. 07. 89. გვ. II), ამიტომ ჩვენ ამ საკითხს არ შევეხებით.

# გახსენება

საქართველოში სტუმრად იმყოფებოდა დასავლეთ გერმანიის ზაარის მხარის დელეგაცია (150 კაცი). სტუმრებს ხვდებოდნენ საქართველოს სამინისტროები, უწყებები. შეხვედრები ჰქონდათ თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის მასწავლებლებთან და სტუდენტებთან, რესპუბლიკის საზოგადოებრიობასთან, ჩატარდა კონცერტები და წარმოდგენები [illegible]ანელ ხელოვანთა მონაწილეობით. სტუმრებმა იმოგზაურეს საქართველოს სხვადასხვა რაიონებში.

ამ დღეებთან დაკავშირებით თბილისის მე-6 გერმანულ სკოლაში ჩატარდა მოსწავლეთა პირველი სამეცნიერო კონფერენცია „გერმანული ლიტერატურა“, რომელიც მიეძღვნა ამ სკოლის ყოფილი დირექტორის, ვაკო დვალიშვილის ხსოვნას. კონფერენციის წამყვანი იყო ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის საზღვარგარეთული ლიტერატურის კათედრისა და მე-6 სკოლის პედაგოგი მაია ფანჯიკიძე.

კონფერენციის თემატიკა მრავალფეროვანი იყო, იგი მოიცავდა გერმანული ლიტერატურის ყველა პერიოდს დასაწყისიდან დღემდე (ჰილდებრანდის სიმღერიდან თანამედროვე მწერლობამდე). წაიკითხეს მოხსენება ქართულ და გერმანულ ენებზე, თარგმანები, როგორც ქართულიდან გერმანულზე, ისე გერმანულიდან ქართულ ენაზე.

არ შეიძლება არ აღინიშნოს მარიკა სიხარულიძის „ბიბლია, მხატვრობა და მარტინ ლუთერი“ (IX კლასი), ქეთევან მეგრელიშვილის „ლესინგის შეხედულებები დრამაზე“ (IX კლასი), დიმიტრი აჯიაშვილის „ნათან ბრძენთან შეხვედრა იერუსალიმში“ (X კლასი), ნიკო ცაგარელის „გოეთეს „ახალგაზრდა ვერთერის ვნებანი“ (IX კლასი), ირაკლი გოგაძის „გოეთეს“ ფაუსტი“ (IX კლასი), ირინე კლდიაშვილის „ჰაინეს ილიასეული თარგმანები“ (VIII კლასი), ირაკლი უშვერიძის თარგმანი — ჰესეს „ნოვალისი“ (X კლასი), ამირან სვიმონიშვილის თარგმანი — რილკეს ლექსები (X კლასი), ივანე მინდაძის „რილკეს კორნეტი“ (XI კლასი), გიორგი გაბაშვილის „ნოვალისი“ (XI კლასი), სოფიკო საყვარელიძის „ჰესეს „ზიდჰარტა“ (IX კლასი), ნინო ლეჟავას „ჰოფმანის ზღაპრების ფანტაზია და სინამდვილე“ (IX კლასი), სანდრო ეგიბერიძის „ჰოფმანის ზღაპრების ფანტაზია და სინამდვილე“ (IX კლასი), VII კლასის მოსწავლეების თარგმანი — გრიგოლ რობაქიძის „გრაალის მცველნის“ ნაწყვეტების მაღალპროფესიული დონე.

კონფერენციას ესწრებოდნენ ზაარლანდის განათლების მინისტრი მარიანე გრაცი და კულტურისა და მეცნიერების მინისტრი; — საქართველოს განათლების მინისტრის მოადგილე კოტე გაბაშვილი, განათლების სამმართველოს უფროსი მიხეილ მინდაძე, ივ. ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტის პროფესორები ნელი ამაშუკელი და გურამ რამიშვილი, ზურაბ აბაშიძე, ვაკო დვალიშვილის მეუღლე ული და ვაჟიშვილი გიორგი დვალიშვილი.

კამათში აქტიური მონაწილეობა მიიღეს სტუმრებმაც.

კონფერენციამ ნათლად წარმოაჩინა, რომ მე-6 სკოლის დამოკიდებულება შემოქმედებითი შრომისადმი მაღალ პროფესიულ დონეზეა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ლონდონი, „ქართველოლოგის დღე“

4 მაისს ლონდონის უნივერსიტეტში ჩატარდა მორიგი, რიგით მესამე, „ქართველოლოგის დღე“.

„ქართველოლოგის დღის“ ჩატარების ინიციატორი და ორგანიზატორი ბრძანდება ლონდონის უნივერსიტეტის აღმოსავლეთისა და აფრიკის შემსწავლელი ინსტიტუტის მეცნიერი თანამშრომელი დოქტორი თამარ დრაგაძე. ქ-ნი თამარ დრაგაძე, წარმოშობით ქართველი, სპეციალობით ეთნოგრაფი, მნიშვნელოვანი გამოკვლევების ავტორია. ის გამოჩენილი ქართველი მეცნიერების ქ-ნ ვერა ბარდაველიძის და ბ-ნ გიორგი ჩიტაიას მოწაფეა, მათი ხელმძღვანელობით ეუფლებოდა მეცნიერების, საკუთრივ ეთნოგრაფიული კვლევის საფუძვლებს. ქ-ნი თამარი საქართველოს ისტორიისა და ქართული კულტურის დიდი პატრიოტი და ერთ-ერთი პოპულარიზატორია უცხოეთში.

„ქართველოლოგის დღე“, რომელიც, ტრადიციისამებრ, ერთ დღეს გრძელდება, ორ სხდომად (დილის და შუადღის) ჩატარდა.

დილის სხდომა გახსნა ქ-ნმა თამარ დრაგაძემ, რომელმაც თავის მოკლე შესავალ სიტყვაში დამსწრეთ შეახსენა ლონდონის უნივერსიტეტში, და საერთოდ ინგლისში, არსებული ქართველოლოგიური კვლევის ტრადიციების შესახებ და იმედი გამოთქვა, რომ ეს ტრადიციები გაგრძელდება და გაფართოვდება.

დილის სხდომას, რომელიც საქართველოს თანამედროვე პრობლემებს მიეძღვნა, თავმჯდომარეობდა ლონდონის უნივერსიტეტის სოვეტოლოგიის ინსტიტუტის პროფესორი ბ-ნი ჯეფრი ჰოსკინსი. მოისმინეს სამი მოხსენება: 1. დ-რ ჯონათან ეივსისა — ოპოზიციური პოლიტიკური ორგანიზაციები საქართველოში (ლონდონის უნივერსიტეტის სოვეტოლოგიის ინსტიტუტის პროფესორი); 2. დ-რ რამაზ კლიმიაშვილისა — მოსკოვის პოლიტიკა საქართველოს წროვნული დამოუკიდებლობისათვის მოძრაობის მიმართ; 3. დ-რ თამარ დრაგაძის მოხსენება მიეძღვნა თანამედროვე საქართველოს სოფლის მეურნეობის, კერძოდ, მესაქონლეობის პრობლემებს რაჭის ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით.

ბ-ნ ჯონათან ეივსის მოხსენებასთან დაკავშირებით დამატებითი ინფორმაციები წარმოადგინა ბი-ბი-სის რუსული გადაცემების რადიოს გადაცემების განყოფილების გამგემ ბ-ნმა რობერტ პარსონსმა, მისი ინფორმაციის თემა იყო: 1990 წლის აპრილი თბილისში.

შუადღის სხდომა საქართველოს ისტორიული წარსულისა და ქართული კულტურის ისტორიის საკითხებისადმი იყო მიძღვნილი. სხდომას თავმჯდომარეობდა ახლო და შუა აღმოსავლეთის დეპარტამენტის ხელმძღვანელი დოქტორი ოუენ რაიტი. მოისმინეს სამი მოხსენება: 1. ოთარ ლორთქიფანიძისა — ანტიკური კოლხეთი. მითი და სინამდვილე (სლაიდების ჩვენებით); 2. მარიამ ლორთქიფანიძის მოხსენება შუა საუკუნეების აფხაზეთის ისტორიის პრობლემებს მიეძღვნა; 3. დევიდ ბარეტის (ოქსფორდის უნივერსიტეტი) მოხსენება მიეძღვნა შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის“ პროლოგის გააზრების პრობლემას.

სხდომებს ესწრებოდნენ და დისკუსიაში აქტიურად მონაწილეობდნენ ლონდონის, ოქსფორდის, კემბრიჯის, ჰარვარდის და სხვა სამეცნიერო ცენტრების წარმომადგენლები, ქართული ემიგრაციის წარმომადგენლები ბ-ნი აკაკი რამიშვილი და ბ-ნი ჯანრი კაშია, ქართულ-ევროპული ინსტიტუტის დირექტორი (პარიზი). დიდი იყო ინტერესი, როგორც თანამედროვეობის რთული პრობლემების, ისე ძველი ისტორიისა და კულტურის საკითხებისადმი. ორივე სხდომაზე, როგორც მოხსენებების შემდეგ, ისე ბოლოს, შემაჯამებელ დისკუსიაზე, მრავალი შეკითხვა დაისვა, გამოითქვა საინტერესო მოსაზრებები, წამოყენებულ იქნა წინადადებები სამეცნიერო კონტაქტების გააქტიურებისათვის.

ვრცელი ინფორმაციით გამოვიდა პროფ. ჯონ ემერსონი, გამგე ჰარვარდის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის ქართველოლოგიური განყოფილებისა, სადაც ქართული არქივი და ქართული წიგნებია დაცული. მან დამსწრეთ მოუთხრო ქართული მასალის კატალოგიზაციაზე მუშაობასა და ამ მუშაობასთან დაკავშირებულ სიძნელეებზე.

დამსწრე საზოგადოება სათანადოდ იყო ინფორმირებული როგორც თანამედროვე საქართველოში მიმდინარე პროცესების, ისე ისტორიული წარსულის შესახებ, რაც შეკითხვებსა და გამოსვლებში გამომჟღავნდა, აინტერესებთ: ძველი კოლხური კულტურის, „ვეფხისტყაოსნის“ შესწავლისა და თარგმანების. ერთაშორისო, საკუთრივ ქართულ-აფხაზური ისტორიული და თანამედროვე ურთიერთობის პრობლემები. დისკუსიაში მონაწილეობდნენ ისტორიკოსები, ფილოლოგები, სოვეტოლოგები, პოლიტოლოგები.

ორივე სხდომის თავმჯდომარეებმა შემაჯამებელ გამოსვლებში მაღალი შეფასება მისცეს როგორც მოხსენებებს, ისე დისკუსიას.

სხვადასხვა საზოგადოებრივი გაერთიანებების, ინფორმაციის საშუალებათა წარმომადგენლებმა გამოთქვეს სურვილი, რომ საქართველოში მიმდინარე პროცესებზე დროული და ამომწურავი, ობიექტური ინფორმაცია მოდიოდეს თვითონ საქართველოდან, რათა თავიდან იქნეს აცილებული ზოგიერთი გაუგებრობა, რომელთაც, სამწუხაროდ, ჯერ კიდევ აქვთ ადგილი. დროული ინფორმაციის მიწოდების აუცილებლობა „ქართველოლოგის დღეზე“ გამართულმა დისკუსიამაც დაადასტურა.

დისკუსიის დამთავრების შემდეგ დამსწრეებმა გამოხატეს თავიანთი დამოკიდებულება „ქართველოლოგის დღისადმი“. გამომსვლელთაგან ზოგმა სასურველად ჩათვალა, რომ ქართველოლოგიური პრობლემებისადმი მიძღვნილი სხდომები გაფართოვდეს, რათა გამოვიტანოთ მეტი მოხსენებები და ნუ შევიზღუდებით ერთი დღით. ამ „დღის“ მნიშვნელობაზე საგანგებოდ იმსჯელეს კემბრიჯის უნივერსიტეტის ანთროპოლოგიის კათედრის გამგემ პროფ. ერნესტ გელნერმა, საბჭოთა კავშირ-ბრიტანეთის ასოციაციის წევრმა პიტერ კულმა, ბ-ნმა აკაკი რამიშვილმა, ქართველოლოგმა ქეთრინ ვივიენ აშთონმა, სულხან-საბა ორბელიანის „სიბრძნე სიცრუისა“-ს და სხვა თხზულებათა ინგლისურად მთარგმნელმა. ჩვენი საზოგადოებისათვის, ალბათ, საინტერესოა, რომ ქ-ნმა ქეთრინ აშთონმა ინგლისურად თარგმნა „ქართლის ცხოვრების“ კრებულში შესული ზოგი თხზულება და ე. წ. ლაშა გიორგის დროინდელი მემატიანეს თხზულების მისი თარგმანი შეტანილია ამსტერდამის ადოლფ ჰაკერის გამოცემის საგამომცემლო გეგმაში. ეს გამომცემლობა სცემს ბერძნულ და ლათინურ წერილობით წყაროებს, გამოკვლევებს ანტიკური, ბიზანტიის ისტორიის, არქეოლოგიის დარგებში.

სასურველია [illegible], რომ „ქართველოლოგის დღეს“ ესწრებოდნენ ჩვენი ტექნიკური უნივერსიტეტის ასპირანტები, რომელნიც მივლინებული არიან დიდი ბრიტანეთის სხვადასხვა სამეცნიერო ცენტრებში.

ჩვენმა ლონდონელმა თანამემამულეებმა ქ-ნმა თამარ დრაგაძემ, ბ-ნმა აკაკი რამიშვილმა, ბ-ნმა რამაზ კლიმიაშვილმა საგანგებოდ იზრუნეს, რათა 4 მაისს ლონდონის უნივერსიტეტში ქართული განწყობილება შეექმნათ.

იმ აუდიტორიის წინ, სადაც სხდომები მიმდინარეობდა, ფოიეში მოწყობილი იყო მცირე ქართული გამოფენა. გამოფენა იხსნებოდა საგანგებოდ „ქართველოლოგის დღისთვის“ შექმნილი ამ დღის ემბლემით, (წმინდა გიორგის გამოსახულება ცისფერ ფონზე). ბ-ნმა აკაკი რამიშვილმა, რომელსაც კარგი ბიბლიოთეკა და შესანიშნავი ფოტოები აქვს, აქ გამოფინა ქართული კულტურის ძეგლების მშვენიერი ფერადი ფოტოები, ქართული დოკუმენტების, წარწერების ასლები, გამოფენილი იყო, აგრეთვე, ბოლო ორი წლის მანძილზე ქართული კულტურის ისტორიისადმი მიძღვნილი რამდენიმე წიგნი.

სხდომების დამთავრების შემდეგ, ტექნიკური უნივერსიტეტის ასპირანტებმა, იქ მყოფ იმ უცხოელებთან ერთად, რომელნიც კარგად იცნობენ ქართულ კულტურას, განსაკუთრებით ქართულ ხალხურ სიმღერებს, თა მღერიან კიდეც, შეასრულეს რამდენიმე ქართული ხალხური სიმღერა, რამაც „ქართველოლოგის დღის“ მონაწილეთა ინტერესი და მოწონება დაიმსახურა და დაამშვენა ჩვენი დღე ლონდონის უნივერსიტეტში.

ვფიქრობ, რომ ლონდონის უნივერსიტეტში უკვე კარგ ტრადიციად დამკვიდრებული „ქართველოლოგის დღე“ მომავალში ქართველი საზოგადოებისა და სათანადო უწყებების მეტ თანაგრძნობასა და მხარდაჭერას ჰპოვებს, რაც გაუადვილებს ჩვენს ლონდონელ კოლეგებს ზოგი დაბრკოლების გადალახვას და შესაძლებლობას მისცემს მათ უფრო ფართო მასშტაბით ჩაატარონ საქართველოს ისტორიის, მისი კულტურისათვის ესოდენ მნიშვნელოვანი საქმე.

**მარიამ ლორთქიფანიძე**

# „კათოლიკოსი“

ბატონი რევაზ ჯაფარიძე მართებულად აღნიშნავს („ლიტერატურული საქართველო“, 1990 წ. 16 თებერვალი), რომ როგორც ქართულ ხალხურ ტრადიციაში, ასევე ისტორიულ წყაროებში, კერძოდ „ქართლის ცხოვრებაში“, დასტურდება ტერმინი „კათალიკოსი“ და არა „კათოლიკოსი“. ამის საილუსტრაციო მასალა უხვად მოჰყავს მწერალს, რის გამოც ჩვენ აღარ მივუთითებთ მათ. გვინდა შევნიშნოთ ოღონდ, რომ „კათოლიკოსი“ სრულიადაც არ არის „გადაპრანჭული ნეოლოგიზმი“ და არც „უხეში შეცდომა“.

ცნობილია, რომ „კათოლიკოსი“, ან „კათალიკოსი“ იმ აღმოსავლეთის ეკლესიის მეთაურთა ტიტულია, რომელნიც გამოეყვნენ ანტიოქიის მართლმადიდებელ ეკლესიას, ან, უფრო სწორად, ანტიოქიის ეკლესიისაგან მიიღეს ავტოკეფალია, ანუ თავისთავადობა, თვითმმართველობა. ასეთებია: საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია, სომხეთის ეკლესია, რომელიც იმ დროისათვის ჯერ კიდევ არ იყო გრიგორიანული აღმსარებლობისა და ნესტორიანელთა ეკლესია.

ტერმინი „კათოლიკოსი“ მომდინარეობს ბერძნული სიტყვიდან, უფრო ზუსტად, სამბოლოკიდურიანი ზედსართავი სახელიდან — „კათოლიკოს“, კათოლიკე, კათოლიკონ“, რაც ნიშნავს „საყოველთაოს“, „საზოგადოს“.

ბერძნულ ენაში ყოველ ზედსართავ სახელს არტიკლის დართვის შემთხვევაში აქვს არსებითი სახელის ფუნქცია. აქედან გამომდინარე „ო კათოლიკოს“, ანუ „კათოლიკოსი“ არის უმთავრესი აღმოსავლეთის ავტოკეფალურ ეკლესიაში შემავალ მღვდელმთავრებს შორის, ამ ეკლესიის მეთაური.

მოგვიანებით, ამავე ზედსართავი სახელის საშუალო სქესის ფორმის გაარსებითების შედეგად მივიღეთ ტერმინი „ტო კათოლიკონ“, რაც ნიშნავს მთავარ ტაძარს. ათონის წმიდა მთაზე ყველა მონასტერში სხვადასხვა წმინდანთა სახელზე აგებულ ეკლესიათა შორის არსებობს მთავარი ტაძარი, რომელსაც „ტო კათოლიკონ“ — „კათოლიკონი“ ეწოდება, ხოლო სხვა დანარჩენს — „პარეკლისი“ ანუ მიმდებარე ეკლესია. კათოლიკონში სწირავენ დიდი დღესასწაულების დროს.

„კათოლიკე“ (დიდი ეკლესიის მნიშვნელობით იხსენიება უძველეს ქართულ ლიტურგიკულ ძეგლებში. მაგ. VII საუკუნის იერუსალიმურ განჩინებაში (К. Кекелидзе, Иерусалимский Канонарь VII века (грузинская версия), Тифлис, 1912, გვ. 199-200). აღნიშნულია, რომ დიდი მარხვის მესამე, მეოთხე და მეხუთე კვირას, აგრეთვე, დიდ ხუთშაბათსა და აღდგომას ღმრთისმსახურება სრულდება კათოლიკე ეკლესიაში, ანუ კათოლიკონში („კათოლიკეს კრებაი“). ამ შემთხვევაში კათოლიკედ იგულისხმება იერუსალიმის ბაზილიკა, რომელიც აგებული იყო კონსტანტინე იმპერატორის მიერ გოლგოთის მთაზე, უფლის ჯვარცმის ადგილას.

კათოლიკე ეკლესიად მოიხსენიებოდა სხვა მნიშვნელოვანი ტაძრებიც. ქართულ სინამდვილეში მცხეთის სვეტიცხოველი. სვეტიცხოვლობის დღესასწაულის ერთ-ერთი საგალობელი ტროპარი იწყება ასე: „კათოლიკე ეკლესიისა დღესასწაული, სვეტისა წმიდისა და კვართისა საუფლოჲსა“...

რაც შეეხება „კათოლიკოს“ ტერმინის მდედრობითი სქესის ფორმას — „კათოლიკე“, იგი დღესაც ცოცხალია ქართულში. ასე მაგ. მრწამსში ვამბობთ: „მწამს... ერთი წმიდა კათოლიკე და სამოციქულო ეკლესია“... ე. ი. მწამს ერთი წმიდა საყოველთაო და სამოციქულო ეკლესია. ცნობილია, აგრეთვე, „კათოლიკე ეპისტოლენი“ „ახალი აღთქმიდან“, მართალია, ამ ეპისტოლეთ თავიანთი ადრესატი ჰყავთ, რომელიმე ეკლესიის ან პიროვნების სახით, მაგრამ ვინაიდან ისინი განკუთვნილნი მთელი საქრისტიანოსათვის, ამიტომ მათ „კათოლიკე“ ანუ „საყოველთაო“ ეპისტოლენი ეწოდება.

გვინდა მოგახსენოთ, აგრეთვე, რომ XI-XII საუკუნეების ძველ ქართულ ხელნაწერებში (S 143, S 384, S1696, A 65) გვხვდება როგორც „კათალიკოსი“, ასევე „კათოლიკოს“ ფორმაც.

ასე, რომ ტერმინ „კათოლიკოსის“ ხშირი ხმარება და ერთგვარი დამკვიდრებაც კი ამ ბოლო დროს „საყოველთაო განუკითხაობის“ ბრალი კი არ არის, არამედ სწორი ფორმის აღდგენაა. ხოლო ეკლესიის მესვეურთა და ჩვენი ისტორიკოსების დუმილი, ჩვენი აზრით, იმით აიხსნება, რომ მათთვის ცნობილია ამ ტერმინის ეტიმოლოგია და ამიტომაც არ ცდილან მის გასწორებას.

გამოსაკვლევი და დასადგენი ტერმინ „კათალიკოსის“ წარმომავლობაა. რამ განაპირობა მისი ამ ფორმით დამკვიდრება ქართულ ისტორიულ წყაროებსა და ლიტერატურაში?

ამასთან დაკავშირებით გვსურს გაგიზიაროთ ჩვენი მოსაზრება, რომლის უეჭველობა შესაძლოა სადავოც იყოს.

ფორმა „კათალიკოსი“ ფონეტიკური ასიმილაციის გზითაა მიღებული. უძველეს ხელნაწერებში, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ერთმანეთს ენაცვლებიან ფორმები: „კათოლიკოსი“ და „კათალიკოსი“. იქნებ მოგვიანებით, მას შემდეგ, რაც ქრისტიანობა გაითიშა აღმოსავლეთისა და დასავლეთის, ანუ მართლმადიდებელ და კათოლიკურ ეკლესიებად (1054 წ.), უპირატესობა მიენიჭა „კათალიკოს“ ფორმას და იგი უფრო დაამკვიდრეს ჩვენმა წინაპრებმა, რათა თავიდან აეცილებინათ ის გაუგებრობა, რომელიც „კათოლიკოსის“ „კათოლიკესთან“ ესოდენი მსგავსების შედეგად შეიძლებოდა მომხდარიყო. რაც შეეხება „ქართლის ცხოვრებას“, მისი უძველესი ნუსხები ხომ XV-XVIII საუკუნეებს განეკუთვნება.

ამრიგად, სწორი ფორმა გახლავთ „კათოლიკოსი“, მაგრამ „კათალიკოს“ დაწერილობას ჩვენში ისეთი დიდი და ძლიერი ტრადიცია აქვს, რომ ისიც ინარჩუნებს არსებობის უფლებას.

**თამარ მეხი**

# თამაზ წივწივაძეს

1990 წლის 12 მაისს გაზეთ „თბილისის“ რედაქციამ გამოაქვეყნა თქვენი ინტერვიუ ჟურნალისტ იოსებ ჭუმბურიძესთან. თქვენ მაშინ ბრძანეთ, რომ „ძველი ვალების“ გასასტუმრებლად ორიოდე წერილი დაგრჩათ გამოსაქვეყნებელი და შემდგომ თავს ანებებთ კრიტიკულ მოღვაწეობას.

ჩვენ არ ვიცით, როგორ შეხვდება თქვენს ამ განცხადებას ქართული მწერლობა და ქართველი მკითხველი საერთოდ, მაგრამ გულწრფელად რომ გითხრათ, ჩვენ, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის თანამშრომლებს, ძალიან დაგვწყვიტა გული თქვენმა განცხადებამ.

გული დაგვწყვიტა, რადგანაც ჩვენ ყოველთვის გვხიბლავს თქვენი ნიჭიერება, პირუთვნელობა, ხალასი იუმორი, მახვილგონიერება და ქედმოუდრეკელობა „ავტორიტეტთა“ მიმართ.

თქვენმა შესანიშნავმა წერილებმა, ობიექტურობამ, წერის მანერამ თქვენი პიროვნების მიმართ ღრმა პატივისცემითა და სიყვარულით განგვაწყო.

ჩვენს საზოგადოებაში თქვენ, ბატონო თამაზ, უნიჭობასთან მებრძოლ რაინდად გხახავთ და, ღმერთმა ნუ ქნას, რომ რაიმე შემთხვევამ ან მოვლენამ აზრი შეგვაცვლევინოს როდესმე.

ჩვენ შორსა ვართ იმ აზრისაგან, რომ შესაძლებელია ჩვენმა ამ პირადმა პატარა ბარათმა შეძლოს გადაწყვეტილება შეგაცვლევინოთ, მაგრამ თქვენთვის, სულით-ხორცამდე ქართველი კაცისთვის, არ უნდა იყოს ალბათ, მთლად უმნიშვნელო, როგორ აღიქვამს, როგორ აფასებს და როგორ ელის თქვენი ყოველი ახალი პუბლიკაციის გამოჩენას პრესის ფურცლებზე უბრალო ქართველი მკითხველი.

არ იფიქროთ, ბატონო თამაზ, რომ ჩვენ რომელიმე ქართველი მწერლის ან მოღვაწის გაკილვა გვანიჭებდეს დიდ სიამოვნებას, მაგრამ ჩვენს გაუკუღმართებულ ცხოვრებაში სადაც სიყალბის, უნიჭობის, არაკომპეტენტურობის ასეთი დიდი მოძალებაა, თქვენ, ვისაც ღმერთმა მოგამადლათ მახვილი კალამი, ბრწყინვალე იუმორი, არაფრით არ იქნება გამართლებული, უარი თქვათ თქვენს კრიტიკულ მოღვაწეობაზე.

ჩვენ, ბატონი კონსტანტინეს სიტყვებით რომ ვთქვათ, „ქართული სიტყვის მეაბჯრედ და მეხოტბედ“ გვეგულებით ყოველთვის.

ჩვენი თხოვნაა, დარჩეთ ისეთი, როგორსაც გიცნობდით დღემდე: ობიექტური, პირდაპირი, უშიშარი, ქედმოუხრელი, მართალი ქართული მწერლობის, ქართული სიტყვისა და ქართველი ხალხის წინაშე.

გისურვებთ ჯანმრთელობას, სულის სიმხნევეს და, ღმერთმა ქნას, თქვენს მკითხველს არ მოშლოდეს მომავალში თქვენი კრიტიკული წერილების მარილიანი სტრიქონები.

ღმერთი იყოს თქვენი მფარველი.

ულრმესი პატივისცემით — საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის თანამშრომლები:

**ვალტერ ქანთარია, თამაზ ბოლქვაძე, ბექან ზერგელაშვილი, გურამ ბამყრელიძე, ბივი ბაბნიძე, ვახტანგ ოქმელაშვილი, მალხაზ ნიკოლაძე.**

(დასასრული)

განლაგება მთლიანად და ცალკეულ დეტალებში მისდევს ბერძნული ანბანის წყობას და ასახავს იმ გადაწყვეტას ფონეტიკურ მნიშვნელობებში, რომლებიც ბერძნულ ანბანში განხორციელდა სემიტურ წერით სისტემასთან შედარებით. ეს არის უტყუარი ნიშანი იმისა, რომ ქართული ანბანთსისტემა ბერძნულის მიხედვით გაიწყო, რომ ქართული ანბანი ბერძნულის წყობას ითვალისწინებს და არა სემიტურისას“ (გვ. 139). ხოლო „ქართული დამწერლობის სემიტური სისტემიდან მომდინარეობის შემთხვევაში, ე. ი. სემიტური წერითი ნიმუშის მიხედვით ქართული ანბანის გაწყობისას, მოსალოდნელი იქნებოდა ქართულ ხშულ თანხმოვანთა განსხვავებული წყობა ანბანთრიგში“ (გვ. 139-140). კერძოდ, ქართული ფშვინვიერების გამომხატველი ნიშნები ფ თ ქ იქნებოდა იმ ადგილას, სადაც სემიტურში არის ფშვინვიერ ხშულთა გამომხატველი ნიშნები, ხოლო ტ და პ მკვეთრი თანხმოვნები სემიტური მკვეთრების ადგილს დაიკავებდნენ. ამდენად, თ მოთავსდებოდა ტ-ს, ქ-ს, პ-ს ადგილას და პირუკუ...

თ. გამყრელიძე დაწვრილებით განიხილავს ძველი ქართული ასომთავრული დამწერლობის პარადიგმატიკას ბერძნულ და სემიტურ სისტემებთან შედარებით (გვ. 134-149) და დამაჯერებლად აჩვენებს, რომ ქართული ანბანის ძირითადი ნაწილი შეპირობებულია ბერძნულის ზეგავლენით. ჩვენთვის სავსებით გასაზიარებელია ავტორის დებულება: „ქართული ანბანის შექმნისას წერით ნიმუშად სემიტური სისტემის აღების შემთხვევაში ქართულ ანბანს სულ სხვა წყობა და სტრუქტურა ექნებოდა, ანბანის „ძირითადი“ და „დამატებითი“ ნაწილები სულ სხვაგვარი შედგენილობისა იქნებოდა, ვიდრე ეს ძველ ქართულ დამწერლობაშია დადასტურებული“ (გვ. 132). ქართული ანბანის ბერძნულზე დამოკიდებულება ჩანს იმითაც, რომ ქართულ ასოთა რიგი და რიცხვითი მნიშვნელობანი ბერძნულს მისდევს. ავტორის აზრით, ბერძნულის მიხედვით არის დალაგებული ქართული ასოები ანიდან შინამდე (გვ. 149, 150, 151).

ქართული ანბანის დანართ ნაწილში შედის იმ ბგერითი ერთეულების ამსახველი ნიშნები, რომლებიც ქართული ენის ფონეტიკური სისტემისათვის სპეციფიკურია ბერძნულთან მიმართებით. ესენია: ღ ყ შ ჩ ც ძ წ ჭ ხ ჴ ჯ ჰ (გვ. 155). ამ დანართი ნიშნების პარადიგმატიკა, თ. გამყრელიძის აზრით, „არ ემყარება რომელიმე კონკრეტულ წერით პროტოტიპს, იგი, საფიქრებელია, უფრო გარკვეული ფონეტიკური პრინციპის მიხედვით განლაგებულ ბგერათა წყობით განისაზღვრება“ (გვ. 154-155). კერძოდ, ავტორი მიუთითებს ერთ მეტად მნიშვნელოვან გარემოებაზე: „ქართული ანბანის“ დანართი ნაწილის ცენტრალურ წევრს წარმოადგენს მჟღერი /ძ/ აფრიკატი, რომლის მარცხნივ და მარჯვნივ (resp. ზემოთ და ქვემოთ) მოთავსებულია სიმეტრიულად განლაგებული ბგერები, შესაბამისად ყრუ (ფშვინვიერი) და (ყრუ) გლოტალიზებული აფრიკატები“ (გვ. 155).

ქართული დამწერლობის პროტოტიპად სემიტური წერითი სისტემა რომ აელოთ, „დანართ“ ნაწილში არ მოხვდებოდა /ყ/ /შ/ /წ/ თანხმოვანთა გამომხატველი ნიშნები.

თ. გამყრელიძე სპეციალურ პარაგრაფს უძღვნის ასომთავრული ანბანის სიმბოლოთა გრაფიკულ ანალიზს (გვ. 159-169). ჯერ კიდევ ივ. ჯავახიშვილი მიუთითებდა, რომ ქართული ასოები ბადეს ქმნიან („ქართული პალეოგრაფია“, გვ. 106). ეს იმას ნიშნავს, რომ მას სავსებით ჰქონდა გაცნობიერებული, რომ ქართული ანბანი აგებულია გეომეტრიული პრინციპის მიხედვით. უკანასკნელ ხანებში ამ საკითხის შესახებ ბევრი დაიწერა (ე. მაჭავარიანი, რ. პატარიძე, თ. ჩხენკელი... განსაკუთრებით უნდა გამოვყოთ ვინფრიდ ბოედერის მშვენიერი გამოკვლევა). თ. გამყრელიძე დეტალურად აანალიზებს ქართულ ასოთა აგების პრინციპებს: გვაძლევს თითოეული გრაფემის შექმნის წესს.

ძველი ქართული ასო-ნიშნები, ავტორის აზრით, ძირითადად ქართველი შემოქმედის ორიგინალური ნახელავია. „ძველი ქართული ასომთავრული დამწერლობის ასო-ნიშანთა შედარებითი გრაფემული ანალიზი სემიტური და ბერძნული წრის დამწერლობებთან ავლენს ქართული დამწერლობის ორიგინალობას... ძველი ქართული ასომთავრული დამწერლობის გრაფიკა ვერ დაიყვანება მთლიანად რომელიმე კონკრეტულ ისტორიულად ცნობილ გრაფიკულ სისტემაზე“ (გვ. 169), „თუმცა, ცალკეულ ქართულ ასომთავრულ ნიშნებს შეიძლება დაეძებნოს სხვადასხვა ხასიათის გრაფიკული ანალოგები სხვადასხვა წერით სისტემებში (როგორიცაა, მაგალითად, ფინიკიურ-ბერძნული, არამეული, ფალაური, პალმირული და სხვა გრაფიკული სისტემები). ეს არაფერს მეტყველებს ქართული დამწერლობის გრაფიკული პროტოტიპის შესახებ, თუ რომელი კონკრეტული წერითი სისტემის გრაფიკულ ნიშანთა მიხედვით უნდა შექმნილიყო ძველი ქართული მრგვლოვანი დამწერლობის ასო-ნიშანთა მოხაზულობა, და მით უმეტეს, ვერ ავლენს იმას, თუ რომელი სისტემის გრაფიკულ განვითარებას, ევოლუციას შეიძლება წარმოადგენდეს უძველესი ქართული ასომთავრული ნიშნები“ (გვ. 170).

გრაფიკულ მსგავსებას ქართული დამწერლობა ბერძნულთან იჩენს. „ძველი ქართული ასომთავრული დამწერლობა ასახავს ბერძნულ გრაფიკას... თავისი ზოგადი მონუმენტურობით და გრაფემათა გეომეტრიული ხასიათით“ (გვ. 171). ზოგ შემთხვევაში ქართული ასო-ნიშნები შეიძლება დაუკავშირდეს სემიტურ სიმბოლოებს. გარკვეული ნიშნები (ჰარი, ჯანი), ჩანს, აკროფონიური პრინციპის მიხედვითაა შეთხზული (გვ. 179).

თავისთავად კი „ასო-ნიშანთა გარეგნულ მსგავსებას სხვა სისტემის სიმბოლოებთან მხოლოდ მაშინ აქვს გარკვეული ღირებულება და მნიშვნელობა, თუ მოცემული დამწერლობის ამ სისტემიდან მომდინარეობა სხვა, უფრო არსებითი მონაცემების საფუძველზე ივარაუდება“ (გვ. 180). ბერძნულის დაშვება შესაძლო პროტოტიპად ქართული გრაფიკისათვის ემყარება იმას, რომ „ქართული წერითი სისტემა არსებითად ემთხვევა სწორედ ბერძნულ სისტემას (და არა სემიტურს ან რომელიმე სხვა სისტემას) მთელი რიგი შინაგანი სტრუქტურული მახასიათებლების მიხედვით, და ამდენად, უფრო სავარაუდებელია ძველი ქართული დამწერლობის ნიშნებისათვის“ (გვ. 180).

თ. გამყრელიძის თვალსაზრისით, ქართულ ანბანს საფუძვლად დაედო „ძველი ბერძნული ანბანი იმ გრაფიკული და ფონეტიკური ცვლილებების გათვალისწინებით, რომლებიც ბერძნულ წერილობით სისტემაში მომდევნო პერიოდში წარმოიქმნა“. (გვ. 182). აქედან კეთდება დასკვნა, რომ ქართული ასომთავრულის სიმბოლოები შეიქმნა ხელოვნურად, „ნიმუშად აღებული ბერძნული სისტემის გარდაქმნისა და სტილიზაციის შედეგად“ (გვ. 182). ძველი ქართული ანბანის შემოქმედმა შეგნებულად შეცვალა ბერძნულ სიმბოლოთა მოხაზულობა, რითაც დააცილა იგი თავის პროტოტიპს. „ძველი ქართული ასომთავრული ანბანის შემდგენელი ქმნის ეროვნულ დამწერლობას ეროვნულ ენაზე ტექსტების ჩასაწერად, ხოლო ეროვნული დამწერლობა დამოუკიდებელი უნდა იყოს. ამგვარი წარმოდგენის მიხედვით, ყოველი სხვა დამწერლობისაგან, არ უნდა იმეორებდეს რომელიმე სხვა დამწერლობის გრაფიკულ ფორმას“ (გვ. 183). ეს პოზიცია სხვა ანბანების მაგალითითაც არის ცნობილი (სომხური, „გლაგოლიცა“). თ. გამყრელიძის აზრით, „ამგვარი ნაციონალური ტენდენციები დამახასიათებელი უნდა ყოფილიყო აღმოსავლური ქრისტიანობისათვის, რომელიც აცხადებს ღვთისმსახურების თვალსაზრისით ენათა თანასწორუფლებიანობის პრინციპს და მიისწრაფვის ახალი ქრისტიანული კულტურის შექმნისაკენ ეროვნული ენისა და ეროვნული დამწერლობის საფუძველზე“ (გვ. 185).

რადგანაც ქრისტიანობის ოფიციალურ რელიგიად გამოცხადება „გულისხმობდა ამავე დროს ფართო მუშაობის გაშლას ეროვნულ ენაზე საღმრთო წიგნების სათარგმნელად სპეციალურად ამ მიზნებისათვის ახლად შექმნილი ეროვნული დამწერლობის საშუალებით“ (გვ. 185). ამ მიზნით შეიქმნა კოპტური, გოთური, სომხური და სლავური დამწერლობანი. „ეგევე უნდა გამხდარიყო საფუძველი — ძველი ქართული ასომთავრული დამწერლობის შექმნისა“, — წერს თ. გამყრელიძე, იგი იზიარებს იმ აზრს, რომ ქართული დამწერლობა შექმნილია IV საუკუნეში „როდესაც ქრისტიანობა საქართველოში სახელმწიფო სარწმუნოებად იქნა გამოცხადებული“ (გვ. 198).

ამასთან დაკავშირებით, უნდა შევნიშნოთ, რომ ქართლის გაქრისტიანების პროცესი ისე დაწვრილებით არის აღწერილი ქართულ საისტორიო წყაროებში, რომ შეუძლებელია გამორჩენოდათ ისეთი მნიშვნელოვანი მოვლენა, როგორიცაა ეროვნული დამწერლობის შემოღება (ამ გარემოებაზე პირველად ე. ხინთიბიძემ მიუთითა). ვფიქრობთ, რომ ქართული ასომთავრული დამწერლობის შექმნა უკავშირდება იმ ქრისტიანულ თემებს, რომლებიც უთუოდ არსებობდნენ II-III საუკუნეთა საქართველოში (ტიპოლოგიისათვის შეიძლება დავიმოწმოთ საბერძნეთი). სწორედ მათი საჭიროებისათვის უნდა შემოეღოთ ანბანი და ლიტურგიისათვის აუცილებელი წიგნებიც ეთარგმნათ, ქრისტიანობის ოფიციალურ რელიგიად გამოცხადებამ კი დიდად შეუწყო ხელი ქართული მწერლობის განვითარებას ეროვნული ანბანის საფუძველზე.

აქვე უნდა ითქვას, თ. გამყრელიძემ ნათელყო, რომ „გლაგოლიცის“ დანართი ჯგუფის პარადიგმატიკა შეპირობებულია ძველი ქართული ასომთავრული ანბანის ზეგავლენით (გვ. 192).

თ. გამყრელიძე მკვეთრად ემიჯნება ქართული ანბანის სომხურიდან მომდინარეობის თეორიას. იგი მიუთითებს, რომ მესროპ მაშტოცმა არ იცოდა ქართული, რაც თავისთავად გამორიცხავს მის მონაწილეობას ქართული ანბანის შექმნის პროცესში. „ახალი დამწერლობის შექმნა, როგორც ნაჩვენები გვქონდა, ახალი გრაფიკული სიმბოლოების გამოგონება-შეთხზვას კი არ ნიშნავს მხოლოდ; იგი გულისხმობს, უწინარეს ყოვლისა, ენის ღრმა ლინგვისტური ანალიზის ჩატარებას, ენის ფონეტიკური სისტემის დანაწევრებას ცალკეულ ბგერით ერთეულებად, რომლებიც უნდა გამოიხატოს სათანადო გრაფიკული ნიშნებით. ეს არის სწორედ ახალი დამწერლობის შექმნის პროცესში ლოგიკურად პირველი და ძირითადი ეტაპი, რასაც არსებითად ემყარება მთელი შემდგომი პროცედურა ბგერათა გრაფიკული გამოხატვისა და მათი ანბანთრიგში გაწყობის. ყოველივე ეს შეუძლებელს ხდის კონკრეტული ენისათვის დამწერლობის შექმნას ისეთი პირის მიერ, რომელიც ამ ენას ღრმად არ არის დაუფლებული, რომელსაც წინასწარ ამ ენის თავისებური ლინგვისტური ანალიზი არ ჩაუტარებია“ (გვ. 195). თ. გამყრელიძე ვარაუდობს, რომ ქართულ ანბანს გარკვეული ზეგავლენა უნდა მოეხდინა სომხურზე, კერძოდ, სომხური ჲ ნიშნის სახელწოდება (ჲნ) ქართულიდან ჩანს შეთვისებული (გვ. 158).

როგორც აღვნიშნეთ, ასომთავრული ანბანი თ. გამყრელიძეს ქართული ქრისტიანობის ოფიციალურ რელიგიად გამოცხადებასთან დაკავშირებით შემოღებულად მიაჩნია, მაგრამ იგი არ გამორიცხავს სხვა ქართული წერითი სისტემის არსებობას უფრო ადრეულ ხანაშიც (გვ. 198-199).

„ქრისტიანული რწმენა იმხანად, — წერს თ. გამყრელიძე, — როგორც მშობლიური ენა და კულტურა დღეს, იყო ერთ-ერთი ძირითადი კომპონენტი ეროვნული თვითდამკვიდრებისა. სარწმუნოება იმ ეპოქაში, და განსაკუთრებით აღმოსავლურ-ქრისტიანული სარწმუნოება თავისი მოწამებრივი იდეოლოგიით, თავისი ეროვნული ენითა და ორიგინალური დამწერლობით, ხდება მძლავრი ფაქტორი ეთნიკური და ეროვნული ერთიანობის შეგნებისა, რასაც არაერთგზის გადაურჩენია ქართველობა თავისი ისტორიული არსებობის მანძილზე სრული ეროვნული გადაგვარებისაგან“ (გვ. 206).

ავტორის აზრით, ამ საუკუნის ბოლომდე უნდა აღვნიშნოთ ძველი ქართული დამწერლობისა და ადრექრისტიანული ქართული კულტურის შექმნის საიუბილეო თარიღი. „ეს იქნება დიდმნიშვნელოვანი კულტურული მოვლენა და ზეიმი მთელი ცივილიზებული ქრისტიანული სამყაროსათვის დასავლეთსა თუ აღმოსავლეთში“ (გვ. 206).

თ. გამყრელიძის ნაშრომი უთუოდ დაიკავებს საპატიო ადგილს ქართული კულტურის კვლევის ისტორიაში. ჩვენი აზრით, ავტორმა დამაჯერებლად დაასაბუთა ქართული დამწერლობის ბერძნულიდან მომდინარეობა.

თ. გამყრელიძეს ახასიათებს მსჯელობის უაღრესად ლოგიკური, — ამავე დროს ნათელი სტილი. მისი დებულებები ყოველთვის ღრმად არგუმენტირებულია და დამყარებული მრავალრიცხოვან ტიპოლოგიურ პარალელზე. ქართული ანბანის წარმატებით კვლევა ხელეწიფება მხოლოდ ისეთ სწავლულს, რომლისთვისაც ადვილად ხელმისაწვდომია, ერთი მხრივ, ქართული, მეორე მხრივ, სემიტური და ინდოევროპული კულტურული სამყაროს — მონაცემები. თ. გამყრელიძე სწორედ ასეთი მკვლევარია. ამიტომაც წარმოადგენს მისი ფუნდამენტური მონოგრაფია ახალ, თვისობრივად მაღალ საფეხურს ქართული დამწერლობის კვლევის საქმეში. აკაკი შანიძე ნაშრომის წინასიტყვაობაში მიუთითებს: „დღეს, როდესაც სხვადასხვა „თეორიებს“ თხზავენ ქართული ანბანის წარმოშობის შესახებ, თ. გამყრელიძის გამოკვლევა, სათანადო მეცნიერულ მეთოდზე დამყარებული და ფართო შედარებით-ტიპოლოგიური მასალით განმტკიცებული, განსაკუთრებულ მნიშვნელობასა და მეცნიერულ ღირებულებას იძენს“ (გვ. 21).

ეს უაღრესად მნიშვნელოვანი წიგნი შესანიშნავად არის გამოცემული, რაც ერთი მხრივ, უნივერსიტეტის გამომცემლობის დამსახურებაა, მეორე მხრივ, — საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ხელშეწყობისა. დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ იგი იმ იშვიათ ბედნიერ შემთხვევას წარმოადგენს, როცა წიგნის შინაარსი და გარეგნული გაფორმება ერთმანეთს ზუსტად შეესატყვისება.

# მურმან ლებანიძის შემოქმედებითი საღამო

საოცრად თბილი და სადა ატმოსფერო სუფევდა 17 მაისს ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში, სადაც მურმან ლებანიძის შემოქმედებით საღამოს აწყობდა სრულიად საქართველოს დავით აღმაშენებლის საზოგადოება. ბატონი მურმანის პოეზიის თაყვანისცემლებს თავი მოეყარათ უკვე მრავალჯერ განცდილის ხელახლა განსაცდელად, ახალი ლექსის მოსმენით მოგვრილი სიამოვნების მოლოდინით იყო სავსე დარბაზი.

საღამოს შემდეგ დავით აღმაშენებლის საზოგადოების თავმჯდომარემ გურამ ფანჯიკიძემ ჩვენთან საუბარში განაცხადა: ბატონი მურმანი წინააღმდეგი იყო თავისი შემოქმედებითი საღამოს გამართვისა. დიდი დრო დაგვჭირდა პოეტის დასაყაბულებლად. იგი თავს იკავებდა ორი მიზეზის გამო: ჯერ ერთი, მას საერთოდ არ უყვარს საჯაროდ გამოსვლა, მეორე და უმთავრესი მიზეზი კი ის გახლდათ, რომ ყოყმანობდა — სცალია კი დღეს ქართველ ხალხს პოეზიის საღამოებისთვისო? საბოლოოდ მაინც გაიზიარა ჩვენი მოსაზრება, რომ სწორედ ეროვნული მოძრაობის აღმავლობის დროსაა საჭირო ხელოვნების, კერძოდ, პოეზიის, დიდი, შთამაგონებელი და გამაკეთილშობილებელი ძალა. თან ისიც გაითვალისწინა, რომ საღამო საქველმოქმედო გახლდათ. მშვენიერი საღამო გამოვიდა, პოეტსა და აუდიტორიას შორის საოცრად უშუალო და თბილი კონტაქტი დამყარდა.

პოეტმა ფილარმონიის დიდ დარბაზში წასაკითხი ლექსები ათ ციკლად დაჰყო: „დღეის დღე“, „პოეზია უპირველეს ყოვლისა“; „ხეობის წიგნი“, „ქალბატონები“, „ოჯახი“, „სიკვდილი“, „ძვირფასი მიცვალებულები“, „ომი“, „ლექსი და ცენზურა“, „ეპილოგი“. ცალკეულ ციკლებს შორის შერჩეულ ლექსებს კითხულობდნენ და პოეტის ლექსებზე შექმნილ სიმღერებს ასრულებდნენ მსახიობები და მომღერლები: ზინა კვერენჩხილაძე, გიზო სიხარულიძე, ავთანდილ მიქაძე, ელდინო საღარაძე, დალი ლოხიშვილი, რობერტ ბარძიმაშვილი, დები ჰოხონელიძეები, ირმა სოხაძე, ჯემალ სეფიაშვილი და ვოკალურ-ინსტრუმენტული ანსამბლი „პირამიდა“.

ისეთი კეთილშობილური თვისება, როგორიცაა ქველმოქმედება, წლების მანძილზე ლამის მივიწყებული იყო ჩვენს ქვეყანაში, მაგრამ აი, გამოღვიძებულმა ხალხმა მოვალეობა და პასუხისმგებლობაც გაიხსენა და უშურველად ესწრაფვის სიკეთის ქმნას. ამას მოწმობს, კერძოდ, დავით აღმაშენებლის საზოგადოებაც.

— დიდი მადლობა მინდა მოვახსენო ფილარმონიის დირექტორს დორიან კიტიას იმ დიდი სითბოსა და ყურადღებისათვის, რომელსაც იგი დავით აღმაშენებლის საზოგადოებისადმი იჩენს, — თქვა ბატონმა გურამ ფანჯიკიძემ, — დიდ მადლობას მოვახსენებ ფილარმონიის ლიტერატურული ნაწილის გამგეს ცირა ქიტიაშვილს, ყველა მსახიობსა და მუსიკოსს, რომლებიც ასეთი ხალისით თანხმდებიან მონაწილეობა მიიღონ ჩვენს მიერ გამართულ საღამოებში.

...გვიან ღამით ფილარმონიის დარბაზიდან გამოსულებს უამრავი სატკივარით დამძიმებულ ყოველდღიურობაში დაბრუნება აღარ უმძიმდათ. თავიანთი დარდი თითქოს ლექსებს ამოაყოლეს და ნათელი მომავლის რწმენაც უფრო გაუმტკიცდათ.

მაია გაგუნია

მკითხველს ვთავაზობთ დამოუკიდებელი საქართველოს გენერალური შტაბის უფროსის გენერალ ალექსანდრე ზაქარიაძის (1884-1957) მოგონებათა წიგნს „საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა. 1917-1921 წ. წ.“, რომელიც დღემდე გამოუქვეყნებელი იყო.

გენერალი ალ. ზაქარიაძე საქართველოს გასაბჭოების შემდეგ, ემიგრაციაში გაიხიზნა, დიდხანს ცხოვრობდა პოლონეთში, გარდაიცვალა 1957 წელს, დასაფლავებულია საფრანგეთში, ლევილის ქართულ სასაფლაოზე.

საინტერესოა ა. ზაქარიაძის მოგონებების ხელნაწერის ბედი: იგი მას დაუტოვებია საფრანგეთში მცხოვრები ცნობილი ქართველი პოლიტიკური მოღვაწის — ვალიკო ჩუბინიძისათვის. ამ უკანასკნელს, სიკვდილის წინ, 1988 წლის 26 მაისს, პარიზში, ალ. ზაქარიაძის მიერ ნაანდერძევი მოგონებების ავტოგრაფი გადაუცია მიუნხენში მოღვაწე ქართველი მკვლევარისა და ჟურნალისტის — კარლო ინასარიძისათვის. მიმდინარე წლის თებერვალ-მარტში, მიუნხენში სამეცნიერო მივლინებით ყოფნის დროს, ბ-ნმა კარლო ინასარიძემ ალ. ზაქარიაძის მოგონებათა ხელნაწერი მე მიბოძა გამოსაქვეყნებლად.

მკითხველი თვითონ დარწმუნდება, თუ რა იშვიათ და ძვირფას პირველწყაროსთან გვაქვს საქმე. მასში გადმოცემული ამბები უშუალო თვითმხილველისა და მონაწილის მიერ არის შესაშური მიუდგომლობით აღწერილი და გაანალიზებული, ხოლო ზოგიერთი რამ, პირველად სწორედ ამ შრომაში არის ისტორიისთვის სამუდამოდ უკვდავყოფილი.

ვიწყებთ გენერალ ალ. ზაქარიაძის მოგონებათა წიგნის პუბლიკაციას. შესავალი ნაწილი, რომელიც აქ შემოკლებით იბეჭდება, სრული სახით შევა ცალკე წიგნად გამოცემისას.

**გურამ შარაძე**

# საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა (1917—1921 წ. წ.)

## ალექსანდრე ზაქარიაძე

### ავტორიდან

ეს შრომა-მოგონებანი დაწერილი იყო ჩემ მიერ 1921-1925 წლებში ჩემი კონსტანტინოპოლში და ვარშავაში ყოფნის დროს. მის გამოქვეყნებას ხელს უშლიდა ჩემი მაშინდელი მდგომარეობა. 1939 წელში ვარშავაში იძულებული გავხთი ნაწერები დამეწვა. ხოლოთ 1945-1948 წლებში გერმანიაში, ყოფილ სამხედრო ტყვეთა ბანაკში, ინგლისელების საოკუპაციო ზონაში ყოფნის დროს ის აღვადგინე; ბევრი რამ შევასწორე და შევავსე იმ მდგომარეობის მიხედვით, რომელიც შეიქმნა მეორე საყოველთაო ომის შემდეგ.

ვემყარები რა ჩემ გამოცდილებაზე 1917-21 წლებში, როდესაც არარაობიდან რაღაც უნდა შეგვექნა, ვაძლევ ჩემ თავს ნებას გამოვთქვა ჩემი აზრი ზოგიერთ საკითხებზე ქართველი ერის მომავალზე. პირადი გამოცდილებიდან შემიძლია აღვნიშნო, რომ ახეთი რამ, თუ არ გამოაღვიძებს, ყოველ შემთხვევაში ხელს მაინც არ შეუშლის მათ, ვინც სამშობლოს და ქართველი ერის ბედით დაინტერესდება.

შესაძლებელია, ბევრ რამეზე, ჩემ მიერ დაწერილზე თქვან: „ეს რა არი, ყველასთვის ცნობილ, წვრიმალ და უბრალო საკითხებზე წერსო“.

ამაზე შემიძლია უპასუხო: წვრიმალ და ვითომდა თავისთავად ცხად საკითხებიდან შესდგება დიდი საქმეები და საკითხები. სამწუხაროდ, ადამიანი ამ ვითომდა წვრიმალ და უბრალო საკითხებს ხშირად ივიწყებს და ამით დიდ საქმეს აფუჭებს. თუ ღრმად შევისწავლით გენიოსთა მოქმედებას, უსათუოდ დავრწმუნდებით, რომ ასინი ნამდვილად წვრიმალ საკითხებს აქცევდნენ განსაკუთრებულ ყურადღებას და ყველაფერს ითვალისწინებდნენ.

როდესაც ნაპოლეონ-ბონაპარტს გენიოსი უწოდეს, მან სიცილით აღიარა: „აი, ეს ბრიყვნი! ის კი არ იციან, ანდა ივიწყებენ, რომ ყველა ბრძოლების წინა ღამეს, როდესაც ჩემ მარშლებს და ჯარს, ჩემივე ბრძანების თანახმად, მაგრად სძინავთ, მე ჩემ ოთახში გადარეულივით მთელი ღამე კუთხიდან კუთხემდი დავრბივარ და იმაზე ვფიქრობ, თუ რა ხერხით და საქციელით ბრძოლის დროს მტერს შეუძლია მე ხელი შემიშალოს გამარჯვებაში და რომ ეს არ მოხდეს, რანაირი პასუხი მე მას უნდა გავცე. ბრძოლის დროს, რაც არ უნდა ჩაიდინოს ჩემმა მოწინააღმდეგემ, მე ის უკვე გათვალისწინებული და გადაფიქრებული მაქვს; ამიტომ პასუხსაც დაუყოვნებლივ ვცემ მას. ალბად ამას თვლიან ჩემ გენიოსობად“.

ქვემოყვანილ სტრიქონების წერის დროს, მუდამ თვალწინ მიდგნენ ჩვენი გმირთა-გმირნი, რომელნმაც სიცოცხლე შესწირეს საქართველოს და ქართველი ერის თავისუფლება-ბედნიერებას დამოუკიდებლობამდი, დამოუკიდებლობის დროს თუ მის შემდეგ. მათი რიცხვი ათიათასობით უნდა დავთვალოთ ცნობილნი და უცნობნი.

პირადად ნაცნობებთა შორის, რომლებთანაც მქონდა ბედი თანამშრომლობისა, არ შემიძლია არ დავასახელო: ნოე რამიშვილი, კონსტანტინე აბხაზი, ნოე ხომერიკი, ვალიკო ჯუღელი, ბენიამინ ჩხიკვიშვილი, ლენ. ვარდენ წულუკიძე, ლენ. ალექსანდრე ანდრონიკაშვილი, პოლკ. როსტ. მუსხელიშვილი, პოლკ. გიორგი ხიმშიაშვილი, მათი უნეტარეს-უწმინდესობა სრულიად საქართველოს პატრიარქ-კათალიკოსნი ლეონიდე II და ამბროსი და გრიგოლ გიორგაძე, ყოფილი სამხედრო მინისტრი, რომელნმაც ხაპყრობილეში ან მის შედეგად სიცოცხლე დალიეს და აგრეთვე, ყველა ისინი, ვინც ემიგრანტულ მძიმე პირობებში უდროვოდ გადაიცვალენ.

ქება-დიდება მათ ყველას: ცნობილს და უცნობს;. ქართველი ერი მათ არასდროს არ დაივიწყებს!

### წინასიტყვაობა

ყველასათვის, ვინც კი ღრმად დაუკვირდება იმას, თუ რა ხდება ჩვენ ირგვლივ, ცხადზე უცხადესია, რომ არსებობს რაღაც უზენაესი ძალა, რომელიც ყველაფერს განაგებს. უწოდებთ ამ ძალას ღმერთს, განგებას თუ ბუნებას, ეს სულერთია. ეს ძალა განაგებს და ხელმძღვანელობს ყველაფერს ცაზე და დედამიწაზე. მანვე შექმნა ადამიანი, როგორც უგონიერესი სულიერი დედამიწაზე და უბრძანა მას ოფლითა თვისითა მოიპოვოს პური თვისი. ამისთვის მის განკარგულებაშია ცა და ქვეყანა, მზე, ვარსკვლავნი, მთვარე, მიწა, წყალი, ცხოველნი, მფრინველნი და მცენარენი. აქედან აშკარა ხდება ადამიანის პიროვნების მნიშვნელობა, მისი ჭკუა-გონება, ჯანმრთელობა, ენერგია და ცოდნა-გამოცდილება; ამასთან ერთად, და შეიძლება ეს უმთავრესიც იყოს, მისი მორალური თვისებები. ოჯახი, საზოგადოება, ერი თუ სახელმწიფო ისეთია, როგორც არიან მათი შემადგენელნი წევრნი — ადამიანნი. აქედან ცხადზე-უცხადესი ხდება თუ რა მნიშვნელობა აქვს თვითეულ ადამიანის პიროვნებას, მის მორალს, ჯანმრთელობას და აღზრდა-გაწვრთნას.

ოჯახი, ოჯახთა შორის ნათესაობა, ერთ მიწა-წყალზე ცხოვრება, ერთ ენაზე ლაპარაკი, აქედან ცალკე ერების და სახელმწიფოების დაარსება — ეს ბუნებრივი მოვლენაა. ხოლოთ მათ შორის კეთილმეზობლობის და ერთიმეორისადმი პატივცემის დამყარება, ეს კი ადამიანთა ხელშია; აქეთკენ უნდა იყვნენ მიმართული მოწინავე კაცობრიობის მისწრაფებანი.

ხაბედნიეროდ, უკვე შევედით იმ ხანაში, როდესაც მოწინავე ძლიერი ერები და სახელმწიფოები ამ მიზნებისთვის მუშაობას დღიურ წესრიგში სვამენ. ყველას მოვალეობაა მათ მხარი დაუჭიროს და თავის წვლილი ამ ძალიან ძნელ მუშაობაში შეიტანოს. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაძლებელია, კაცობრიობა დაიღუპოს.

ვინც ცოტათი მაინც გაცნობილია ქართველი ერის სხვადასხვა დარგის ისტორიას და იცნობს ქართველ ხალხს, მან არ შეიძლება არ მიაქციოს ყურადღება, რომ ცალკე პიროვნების თვისებებს, მის აღზრდა-განათლებას და ჯანმრთელობას მუდამ ექცეოდა და ექცევა განსაკუთრებული ყურადღება. მეზობლებისადმი და ერთიმეორისადმი პატივისცემა და ლოიალობა ჩვენ ხალხში მუდამ იყო და არის. ჩვენმა ისტორიამ კიდო ქრისტეს დაბადებამდი იცოდა ერების კონფედერაციის საფუძველზე შეერთება. იყო ხანა, როდესაც ოცდათხი ერი — სახელმწიფო იყვნენ შეერთებული ამ ფორმებით საქართველოსთან. სიმართლეს და სამართლიანობას მუდამ ქართველი ერი ეძებდა, ანხორციელებდა. ალბათ, ამით აიხსნება, რომ ქართველ ხალხში ასე ღრმად გამჯდარი იყო და არი ქრისტიანული იდეალები, ე. ი. — სიმართლე და სამართლიანობა; ადამიანთა შორის სიყვარულის და ერთიმეორის პატივისცემის დამყარება, ამ იდეალებისთვის თავდადება. ალბად ამითვე აიხსნება, რომ ქართველ ხალხში სოციალ-დემოკრატიამ ასე ღრმა ფესვები გაიდგ. ალბად, ამითვე უნდა ავხსნათ ის გარემოება, რომ ბოლშევიზმი ქართველ ხალხში ნიადაგს ვერ პოულობს.

ეხლა სულ სხვა მდგომარეობაა: დღეს ამ იდეალებისთვის მთელი მოწინავე კაცობრიობა იბრძვის და შორს აღარ არი ის დღე, როდესაც ისინი გაიმარჯვებენ. ამიტომ ქართველმა ერმა ცოტა კიდო უნდა მოითმინოს და ყოველნაირი საშვალებებით თავისი ფიზიკური არსებობა შეინარჩუნოს. ეს რასაკვირველია, არ უნდა ნიშნავდეს ხელებ-დაკრეფილ ხხდომას.

ბანაკი „ვილაბადესენი“.
15-XI-47 წ. ალ. ზაქარიაძე

### 1801—1917 წ.

ქართველი ერი, თავის სამი ათასი წლის სახელმწიფოებრივი ტრადიციით, ცხადია, ვერ შეურიგდებოდა მის დამოუკიდებლობის მოსპობას. დასავლეთ საქართველომ კიდო ათი წელიწადი იბრძოლა: იქ რუსეთი გაბატონდა მხოლოდ 1811 წ. ამას თან მოყვა ქართული (ივერიის) ეკლესიის ავტოკეფალიის მოსპობა და მის სათავეში ეგზარხოსის დანიშვნა რუსის ეროვნებით. რუსებმა არა ერთხელ სცადეს ქართულ ეკლესიაში სლავიანური ენის შემოღება, მაგრამ უშედეგოდ. არა ერთი ქართველი მღვდელმთავარი შეიწირა ამ საკითხმა.

მთელი რიგი აჯანყებების ცეცხლით და მახვილით ჩააქრო რუსეთმა. ცნობილია ქართველების როლი შამილის გვერდით მის ომებში რუსეთის წინააღმდეგ. ყველაფერი ამის შედეგი იყო გავლენიან ქართველების გადასახლება-მოსპობა და გაფართოება ხალხში გამარუსებელი პოლიტიკის.

სიტყვა „საქართველო“ ამოშლილ იქმნა რუსეთის ოფიციალურ ლექსიკონიდან. მეფის ფართო ტიტულში ნათქვამი იყო „მეფე ივერიის მიწების“ და არა საქართველოსი. ქართული თავად-აზნაურობა დაყოფილ იქნა თფილისის და ქუთაისის გუბერნიების თავად-აზნაურებად.

1811-17 წლებში რუსეთმა გაიტანა მხოლოდ საქართველოს ეკლესიებიდან და მონასტრებიდან 41 მილ. მანეთის ქონება. აღსანიშნავია, რომ იმ დროს მთელი რუსეთის წლიური ბიუჯეტი უდრიდა 25 მილ.

ერთად-ერთი, სადაც დარჩა სიტყვა „საქართველო“ — ეს იყო საქართველოს ეგზარხოსი. ამ თანამდებობაზე მუდამ ინიშნებოდა რუსი არქიეპისკოპოსი. თოთხმეტი საუკუნის განმავლობაში საქართველოს ეკლესიას სათავეში უდგა პატრიარქ-კათალიკოსი.

აქ თუ დატოვეს სიტყვა „საქართველო“, მხოლოდ იმიტომ, რომ საქართველოს ეკლესიას უდიდესი საერთაშორისო მნიშვნელობა და აუტორიტეტი ქონდა. ეხლა მისი აუტორიტეტით უნდოდა ესარგებლა რუსეთის ეკლესიის სინოდს.

შამილის დამარცხების შემდეგ ქართული საზოგადოება დარწმუნდა, რომ იარაღით ხელში ფონს ვერ გავა. ამიტომ ადებულ იქნა გეზი ოპოზიციონურ-რევოლუციონურ მოქმედებისა რუსებთან ერთად, იმ იმედით, რომ მოსპობა რუსეთში თვითმპყრობელობის და იქ თავისუფლების დამყარება საქართველოსაც მიცემდა თავისუფლებას და სრული დამოუკიდებლობისთვის ბრძოლის საშუალებას.

ცნობილია ქართველების როლი 1860 წლების ლიბერალურ და 1880 წლების „ნაროდოვოლცების“ მოძრაობებში. უმთავრესი ცენტრები ამ მოძრაობების საქართველოში იყვნენ: მწერლობა, სამღვდელოება, ქართული თეატრი და საზოგადოდ მთელი ინტელიგენცია.

1890 წლებში საქართველოში გაჩნდა სოციალიზმი, „მესამე დასის“ სახელწოდებით. მისი პირველი და მთავარი მოციქული იყო ნ. ჟორდანია. ჩვენში სოციალიზმი უშუალოდ ევროპიდან შამოვიდა და მხოლოდ შემდეგ გადაება რუსეთის სოციალიზმს პლეხანოვის საშვალებით.

ქართველმა ხალხმა დაინახა სოციალიზმში საუკეთესო გზა თავის ხსნისა. ჩვენში სოციალიზმის დროშაზე წარწერილი იყო: „სამშობლო და უცხოეთი, საქართველო და ევროპა, ქართველობა და ევროპიელობა“. 80% ქართველი ხალხისა მას მიეკედლა, განურჩევლად წოდებისა თუ საზოგადოებრივ მდგომარეობისა.

როგორც ვიცით, 1903 წ. რუსეთის სოც.-დემ. პარტიას გამოეყო ჯგუფი, ე. წ. ბოლშევიკების, ლენინის (ულიანოვის) მეთაურობით. ამ ჯგუფმა მიზნად დაისახა დიქტატურის დამყარება, ვითომ და პროლეტარიატის, ფაქტიურად კი ინტელიგენციის გადარჩეულ პატარა ჯგუფის, რაც, ცხადია, უნდა დამთავრებულიყო პიროვნების დიქტატორობით და ეს კიდევაც გამართლდა.

რუსეთის სოც.-დემ. პარტია, მენშევიკებად წოდებული, პლეხანოვის მეთაურობით, დაადგა წმინდა დემოკრატიულ, ევროპიულ სოციალიზმის გზას. საქართველოს სოც.-დემ. პარტია ამათ მიეკედლა. ბოლშევიკების რიცხვი ქართველებისა არ აღემატებოდა რამდენიმე ასეულს. ამათ რიცხვში იყო სტალინი (იოსებ ბესარიონის ძე ჯუღაშვილი).

1905 წ. მოხდა რუსეთში პირველი რევოლუცია. დასავლეთ საქართველომ აჩქარებით გამოაცხადა დამოუკიდებლობა. ამის შედეგი იყო, რომ იგი ცეცხლით და მახვილით მიწასთან იქნა გასწორებული. აუარებელი საუკეთესო ქართველები ციხეებში და ციმბირში დაიღუპნენ.

დადგა ხანა სასტიკი რეაქციის. ყველაზე უფრო უსასტიკესად დევნილი იყო სეპარატიზმი, რუსდემოკრატების მიერაც კი.

საჭირო გახდა დიდი სიფრთხილე, რომ ხალხი ფიზიკურად არ მოსპობილიყო.

დაიწყო ბრძოლები სახელმწიფო სათათბიროში (დუმა). ქართველები დეპუტატებად მუდამ ირჩევდენ სოციალ-დემოკრატებს. სათათბიროს სოც.-დემოკრატიული ფრაქციის ლიდერად ქართველი იყო*).

ცნობილია სათათბიროში გამოსვლები და საქმიანობანი ქართველ დეპუტატების: კაკი წერეთლის, აკაკი ჩხენკელის, ევგენი გეგეჭკორის, ისიდორე რამიშვილის და სხვ.

1906 წელში ქართველმა ბერმა მოკლა საქართველოს ეგზარხოსი — რუსი. ამ ფაქტმა გამოიწვია დიდი აღშფოთება რუსეთის მთავრობაში და ტახტის ირგვლივ. ერთმა უდიდეს ქართველთაგანმა პოეტმა ილია ჭავჭავაძემ, რომელიც იმ დროს სახელმწიფო საბჭოს წევრი იყო, დასვა საკითხი საქართველოს (ივერიის) და რუსეთის ეკლესიების უფლებრივი დამოუკიდებლობის. უნდა დანიშნულიყო სპეციალური კომისია. მაგრამ 1907 წელში ილია ჭავჭავაძე მოკლულ იქნა რუსეთის პროვოკატორების მიერ. ამით ეს საკითხი ამოიწურა.

1915 წელში გარდაიცვალა მეორე უდიდესი ქართველი, პოეტი აკაკი წერეთელი. მის დასაფლავების დღეს თფილისში ქართველებმა მოაწყეს დიდი ეროვნული დემონსტრაცია. ომის გამო, რუსეთის ძალაუფლებას არ მიუქცევია დიდი ყურადღება ამ ფაქტისათვის.

საქართველოში ამ დროს იყო ჩამოყალიბებული ოთხი პოლიტიკური პარტია: 1) სოციალ-დემოკრატიული (მენშევიკები), 2) სოციალ-ფედერალისტური, 3) ეროვნულ-დემოკრატიული და 4) სოციალ-რევოლუციონური. დამოუკიდებლობის დროს (1917-1921 წ.) თავისუფალ არჩევნების შედეგად, მათ ყავდათ დამფუძნებელ კრებაში: სოც.-დემოკრატებს — 103 დეპუტატი, სოც.-ფედერალისტებს — 12, ეროვნულ-დემოკრატებს — 10 და სოც.-რევოლუციონერებს — 5. ამრიგად, ბატონ-პატრონი საქმის ვითარების დამოუკიდებელ საქართველოში იყო სოციალ-დემოკრატიული პარტია (მენშევიკები).

ზემოაღნიშნულ რეაქციის გამო, ქართველი ხალხი არ იყო საკმარისად მომზადებული დამოუკიდებელი სახელმწიფოს აშენებისთვის. ამას კიდო ხელს უშლიდა ის გარემოება, რომ სოციალ-დემოკრატიული პარტია, 1905 წლის გამოცდილების შემდეგ, ეროვნულ საკითხს არ აჩქარებდა. არც მეზობლებთან იყო საკითხი მოწესრიგებული. ყველა გრძნობდა, რომ ამიერკავკასია, ამა თუ იმ ფორმით, უნდა ყოფილიყო მთლიანი. აზერბაიჯანელები, როგორც მუსულმანები, იცქირებოდენ ოსმალეთისკენ, სომხები კი — რუსეთისკენ. როგორც ქვემოდ დავინახავთ, ეს გარემოება გახდა ერთ მთავარ მიზეზად ამიერკავკასიის რესპუბლიკების სისუსტისა დამოუკიდებლობის დროს.

დასასრულ ამ თავისა, საჭიროდ მიმაჩნია უპასუხო შემდეგ კითხვას: რა ქონდა მიზნად დასახული ასეთ მკაცრ ოპოზიციონურ-რევოლუციონურ მოქმედებას ქართველი ხალხისა? — დემოკრატიზმი და არა დიქტატურა, დემოკრატია კეთილ-სინდისიერი და არ უგნურთა და ქურდ-მცარცველთა-კრატია, და ამით სიმართლის და სამართლიანობის დამყარება, რომ თავის ეროვნული „მე“ შეენარჩუნებია, რომ თავის თავის ბატონ-პატრონი თვითონვე ყოფილიყო, რომ მუდამ და ყველგან თარჯიმანი დაჭირდომოდა, რომ წოდებისთვის თუ გვარისთვის, თუ კი იგი ძე-ზე ან შვილზე თავდებოდა, დევნილი არ ყოფილიყო, რომ ექიმთან თუ აფთიაქში ოცი ვერსი არ ევლო, რომ მის შვილს სოფლის სკოლამდი ყოველ დღე 10-15 ვერსის ფეხშიშველს სიარული არ ეხაჭიროებოდა, რომ თავის პატიოსანი შრომით ოჯახი გამოეკვება.

ერთი სიტყვით, რომ ქართველობის აშკარად აღიარება არ ყოფილიყო არც საშიში და არც სამარცხვინო.

ასეთ პირობებში მოულოდნელად იფეთქა 1917 წ. თებერვალ-მარტში რუსეთის პირველმა რევოლუციამ.

---

* პირველ სათათბიროში იყო ნ. ჟორდანია სოც. პარტიის ფრაქციის თავმჯდომარე, შემდეგში ირაკლი წერეთელი, ნიკოლოზ (კარლო) ჩხეიძე...

●

დედნის სტილი და ორთოგრაფია დაცულია.

(გაგრძელება იქნება).

# საინგილო — ცრემლია საქართველოსი

**ნინო კიკილაშვილი**

„...შესასვლელი იბერიიდან ალბანიაში არს უწყლო და ოლროჩოლრო კამბიზენეზე, რომელიც მდინარე ალაზანიოსიდან არის“...

**სტრაბონი**

გზა საინგილოდან...

თითქოს ცა ჩამოსულა ძირს, ისე ცისფრად იფერება მთების კალთები მდინარის გაღმა...

ამ მდინარეს ქურმუხის წყალს ეძახიან საინგილოში და ჩვენც ამ მდინარეს მივუყვებით აღმა, სათავისაკენ...

მოდის და მოიქოჩრება ალბანეთ-ჰერეთის უძველეს მიწაზე ქურმუხის წყალი და მახსენდება: ძველი ჰერეთი ქართულ წყაროებში ალბანეთ-ჰერეთის სახელით რომ იყო ცნობილი და ჯერ კიდევ ჩვენს წელთაღრიცხვამდე პირველ საუკუნეში მცხოვრები ბერძენი სწავლული სტრაბონი თავის გეოგრაფიაში მოგვითხრობდა, რომ ჰერები-ალბანელები ცხოვრობდნენ იბერებსა და კასპიის ზღვას შორის, აღმოსავლეთით ისაზღვრებოდნენ ზღვით, ხოლო დასავლეთით ემეზობლებოდნენ იბერებს, ჩრდილოეთით კავკასიონის მთები იცავდათ, ხოლო სამხრეთით ესაზღვრებოდნენ სომხეთს...

ჰერეთი ბერძნულ და ლათინურ წყაროებში ალბანეთადაა ცნობილი, ხოლო სომხურში „ალვანად“ („ალვანქ“).

„ალბანეთი“ ბალკანეთის ნახევარკუნძულზეც გვხვდება, „შკიპერია“ — ასე უწოდებს ადგილობრივი მოსახლეობა მას, რაც ალბანურად „არწივების ქვეყანას“ ნიშნავს და უნებურად ასეთი კითხვა გვიჩნდება:

— საიდან გაჩნდა ბალკანეთის ნახევარკუნძულზე ალბანეთის სახელი. დასავლეთისაკენ ლტოლვილებმა ხომ არ წაიღეს ეს ეთნონიმური სახელი?

ალბანურ-ჰერულ ეთნონიმებს ჩვენსკენაც ვხვდებით დღეს, აქაც მთისკენ (ალვანეთი — ზემო და ქვემო ალვანი...)

ანტიკურ ხანაში კავკასიის ალბანეთი შედგებოდა 26 ენაზე მოლაპარაკე სხვადასხვა ტომისაგან და გაერთიანებული იყო ერთ გეოგრაფიულ ერთეულად.

აქ სახლობდა ხალხმრავალი უძველესი ტომი, რომელთაც კასპიებს (კასპიანეს) უწოდებდნენ. ახლა ეს ტომი აღარ არსებობს, დღეს მათ არსებობას ეთნოგრაფიული სახელები შეგვახსენებენ მხოლოდ (კასპიის ზღვა, კასპი...).

ალბანეთის (ალვანეთის) ტერიტორიის მთისა და ბარის ზონებში მოსახლეობდნენ სხვა ეთნიკური ჯგუფებიც: გარგარები, უტიები, იგივე უტები (უთიები — უდინები), ლეკები, ლაზგები, გელები, პილბები და სხვა (მათ ოდესღაც არსებობას ქართული გვარებიც შეგვახსენებენ).

ყველაზე თვალსაჩინო ადგილი გარგარებს ეკავათ (ყველაზე მრავალრიცხოვანი ტომი ალბანურ ტომთა შორის).

„გარგარი“ ისეთივე ქართული სახელია, როგორიც — გაგარი, გოგარი (გოგარენი — ქვემო ქართლის ერთ-ერთი მხარე), გომარი.

ესენი იცავდნენ საქართველოს გარეშე მტერთა შემოსევებისაგან სამხრეთ-აღმოსავლეთის მხრიდან (დ. ჯანაშვილი).

„გარგარენი“ — გარეშე მყოფს, გარეგანს, ანუ გარეთ მცხოვრებს ნიშნავს.

ვერხვიანში, ვართაშენსა და მუშაბაშში, ინგილოთა მეზობლად, უდიები სახლობენ.

უდიები კახეთშიც ცხოვრობენ დღეს, ყვარლის რაიონში, სოფელ ოქტომბერში (ზინობიანი).

უდინებს გარდა ძველი ჰერეთის მიწაზე მოსახლე მეორე ცოცხალი ეთნონიმიც გვხვდება, — „ინგილოები“, ალბანეთ-ჰერეთის ერთ-ერთი მცირე ეთნიკური ჯგუფის, ჰერების, შთამომავალნი...

— „ქართველთა შორეულ წინაპარს თარგამოსს რვა შვილი ჰყოლია. ერთ-ერთს ჰეროს ერქვა. თარგამოსმა შვილებს გაუყო ადგილი, ჰეროსს მისცა ქვეყანა მტკურისა ჩრდილო, მცირე ალაზნის შესართავითგან ვიდრე ტყეტბამდე“.

დღევანდელი საინგილოს ტერიტორიაზე ძველთაგანვე მოსახლე ქართული ტომი, ე. წ. ჰერები დღესდღეობით სამ რაიონში — ბელაქნის, ზაქათალისა და კახის რაიონებში სახლობს.

ინგილოები, ძველი ჰერების შთამომავალნი, ქრისტიან და მაჰმადიან ქართველებად იყოფიან. ქრისტიანი ინგილოები დღეისათვის კახის რაიონის სოფლებში: კახისთავში, ალათემურში, ალიბეგლოში, შოთავარში, ალიაბადში, ქოთოქლოსა და მეშაბაშში ცხოვრობენ და ჩვენი ექსპედიციის წევრთა უმეტესობაც კახის რაიონიდან, სოფელ ალიბეგლოდანაა.

სოფელი ალიბეგლო ერთ-ერთი უძველესი და დიდი სოფელია კახის რაიონში.

თავდაპირველად ქათმის ხევი რქმევია, სოფლის მიმდებარე ოდესღაც ტყით დაბურული მიდამო ველური ტყის ქათმის სამფლობელო ყოფილა, ალბათ, ამიტომაც. XVII საუკუნიდან შაჰაბასის ერთგულ და ქართველთა მოღალატე ალიბეგს ანუ ვინმე ვახვახიშვილს მიეკუთვნა ეს სოფელი და მაშინ ეცვალა თავდაპირველი სახელიც, როგორც ამ ხალხმრავალ სოფელს, ასევე კუთხესაც. XVII ს-დან ქართულ წყაროებში ეთნონიმი-ჰერეთი ქრება, რჩება მხოლოდ ტოპონიმურ მასალებსა და ადგილობრივ სოფელთა სახელებში. მის ადგილს იკავებს — ენგილ-ინგილო, რაც შაჰის მიერ დამორჩილებულს, დაპყრობილს ნიშნავს...

ამ რამდენიმე წლის წინათ თბილისიდან საინგილოში რომ ჩასულიყავი, ამ სოფლის მიმანიშნებელ ქართულენოვან აბრას შენიშნავდი; ახლა კი, სპეციალურად, ქართული მიწისგან ზურგით, უკუღმა დგას სოფლის მიმანიშნებელი არაქართული აბრა, აზერბაიჯანულად წერია, ვერ წაიკითხავ, გასცდები ქართულ სოფლებს, გზა აგებნევა...

ქურმუხი კი მიდის, იტოტება, მერე ისევ ერთდება, რამდენიმე შენაკადი ალიბეგლოსკენაც იკარგება...

ახალგაზრდა ინგილო დედა ძველად აკვანს წყალში დგამდა და ისე არწევდა თურმე პატარას (მტერს რომ არ გაეგონა აკვნის რწევის ხმა) და ჩუმად უნანავებდა:

დაიძინ, შვილო, დაი...
ჩემო გულო, დაი...
დაიქენ, თოლო, დაი...
შენ შემოგევლე, დაი...
ტკბილად დაიძინ, დაი...
ვაჟკაც გაზდი, დაი...
საქმე ბევრი გაქ, დაი...
შენი ჭირიმე, დაი...
შენ რომ გაიზრდები, დაი...
ხანჯალს მოგცემ, დაი...
დუშმან ბევრი გყავ, დაი...
მამულს მოუკვლენ, დაი...
დაი, დაი, დაი...
დაიძინ, შვილო, დაი...

ეს სიმღერა კი არა, ერთი გრძელი მოთქმაა, კვნესაა. — „ჩვენს კაცს დრომ სიმღერა დაავიწყა, ქართული სიმღერა...“ — ხშირად გაიგონებ აქაურებისაგან. ალბათ, ამიტომაც, იშვიათად თუ შეხვდები სადმე ინგილოურ სიმღერას, მელოდიას, ისიც მაჰმადიანურ სამყაროსთან ჭიდილში დაკნინებულს, დამცირებულს, ძველეშხდაკარგულს...

●

ვუცქერი ქურმუხის წყალს და ბორის შიოშვილის (პატარა ბორია) კეთილი ბებოს ინგილოური ნანა და მისი ნაამბობი ძველი თქმულებები ჩამესმის საინგილოზე.

თითქოს ყველაფერი გუშინ იყო, თითქოს გუშინ ჩამოვედი „არალეგალურად“ საინგილოში შემოქმედებით ჯგუფთან ერთად.

სოფლის ცენტრში დგას ჩვენი მანქანა, ფანჯარას ფრთხილად ვალებ და მეშინია: ვაითუ, ვერ გავიგონო ქართული ერთი სიტყვაც იქვე მდგომი ინგილოებისაგან.

უეცრად წინა საუკუნეების ქართული მეტყველება შემოიჭრა ღია ფანჯარაში, ქართული სახელები:

—გიორგი, სტუმრებ ჩამოსულ საქართველოდან...

— მალხაზ, გაიქ სახლში...

— მირიან...

და ჩვენ სიხარულისაგან ვტიროთ...

●

პატარა ემზარი მაფხიზლებს, თავის კურტაკს იხდის და ძალით მაცმევს.

— „ვერც გაიგებ, ისე გაცივდები“ — ჩემს დაჟინებულ უარს ყურსაც არ უგდებს, მერე ჩემს ზურგჩანთასაც ზურგზე იკიდებს, ღიმილით მიქნევს ხელს და წინ მიდის:

— დამეშურეთ, ხალხო, ულელტეხილამდე გაცილებთ!

— ულელტეხილამდე?! — უკვირთ დანარჩენებს, — ბარემ წამოსულიყავი...

— მერე როგორ გადავურჩები ანზორს, ჯერ გენერალური რეპეტიცია აქვს.

— დუბლი ხომ გყავს?

— დუბლი კი, მაგრამ თბილისშია გაპარული, ვერ ჩამოასწრებს.

— კოტე, შენც ულალატე ანზორს?

— ამ სპექტაკლზე არა ვარ დაკავებული და...

●

ალბათ, ბევრს გახსოვთ თბილისის თეატრალური ინსტიტუტის სარეჟისორო ფაკულტეტის სტუდენტების მანანა კვირკველიას, მზია მჭედლიშვილისა და ანზორ დოლენჯაშვილის საინგილოში ათიოდე წლის წინ დაწყებული კეთილი მისია.

ანზორმა სიზიფესაც სძლია...

ინსტიტუტის შემდეგ საინგილოში დაფუძნდა, აქაური ქუდი დაიხურა, აქაური ქალი მოიყვანა, სამი შვილი — დიდი პრობლემაა ახალგაზრდა ოჯახისათვის, თანამედროვე პირობებში მათი გაზრდა არც ისე იოლია, მით·უმეტეს, თეატრის რეჟისორის ჯიბე ხშირადაა ცარიელი...

— ყველაზე დიდი საფიცარი რა არის შენთვის? — ვკითხე ანზორს რამდენიმე წლის წინ, ჯერ კიდევ სტუდენტს, საინგილოში საშეფო კონცერტის ერთ-ერთ მონაწილეს.

იმ დღეს იქაურ ახალგაზრდებს ზეიმი ჰქონდათ. სტუმრის გამოჩენა სოფელში ხომ ათიოდე წლის წინ და ადრე მართლა დღესასწაულად ექცეოდათ ხოლმე ალიბეგლოელებს.

ანზორი ნასმური იყო და, ალბათ ამიტომ, გულწრფელიც.

— საინგილო... საქართველო... ერთ ცნებაში წარმოსახული.

— და ოცნება?

— რომ საინგილოში ქართული სახალხო თეატრის დაარსებას მოსწრებოდეს ქართველი კაცი. ქართული სიტყვა, ქართული ლაპარაკი არ წაშლილიყოს ამ უძველეს ქართულ მიწაზე.

ორიოდე წელია, რაც ძველ ქართულ მიწაზე ილიას სახელობის ქართული სახალხო თეატრი დაფუძნდა...

წმინდა ილია... მართალი...

მისი ნათელი ადგას თეატრის მომავალი შენობის კაპიტელს.

მისი ნათელი ხსოვნისაა და მარადი მოწიწების ნიშანი, —ტრადიციული ილიაობა, — სახალხო დღესასწაული, ზეიმი ალიბეგლოელთა — მათი ცხოვრების ერთი დიდი დღესასწაული.

სასწაული... სასწაულადქცეული დღე...

ამ დღეს საქართველოსია საინგილო და საინგილოსია საქართველო.

ამ დღეს ხომ საქართველო ერთიანდება, დაქუცმაცებულ-დასახიჩრებული ნაწილები ერთდება, ერთიანდება ქართული მიწა.

გოლგოთაგამოვლილი რეჟისორი მორიგ პრემიერაზე სამუშაოდ მეორე დღისათვის ამაოდ ელოდა დასის წევრებს. გამოპარული დასის წევრები დალესტნისაკენ მიმავალ გზას ადგნენ...

●

ჰერეთი ძველთაგან უამრავი შარა-გზითა და შიდა სამიმოსვლო გზებით ყოფილა დაქსელილი. ჩვენ ერთ-ერთ უძველეს შიდა სამიმოსვლო გზას ვადგევართ, გზას წუქეთისას, რომელიც ალაზნის ველიდან იწყება, მდინარე ქურმუხის წყალს მიუყვება და კახის, ელისენისა და სარუბაშის გზით წახურის ხეობაში გადადის.

გზა წუქეთისა...

წახურამდე კი ჯერ ისევ შორია, ჩვენ წინ ქართული ნასოფლარებია და ქურმუხის წყალი.

თითქოს და მართლა მიიცრემლება ქურმუხი. მისი ზოგიერთი შენაკადი მართლა ცრემლსა ჰგავს, ისე ციდა მოდის, ზოგი კი. ...ვეებერთელა ჩქერადქცეული, ისე უეცრად გადაგეღობება წინ, დაგაბნევს კიდეც, შიშსაც გაგიჩენს.

●

ამ რამდენიმე წლის წინათ, კახის ზემოთ, მისი რამდენიმე შენაკადის გადალახვა მოგვიწია. „პატარა ბორიამ“ და ანატოლი ბარისაშვილმა ჭოკით გადახვლა შემოგვთავაზეს. მე, რა თქმა უნდა, „გადამიტანეს“ ნაპირზე, ნიკა წულაძემ (კინორეჟისორი) რამდენჯერაც სცადა ჭოკით გადახტომა, იმდენჯერვე ჩავარდა შუა წყალში.

მდინარის გაღმა კი ტყეში ჩაკარგული ნასოფლარი გველოდა, ნაცრადქცეული, დამიწებული სოფელი, ხავსმოდებული საგოდებელი, ალბანურწარწერებიანი ქვებით, ახალგაზრდა კინორეჟისორი ნიკა წულაძის ახლა გახმაურებულ ფილმ „ზღვარზე“ მუშაობის დაძაბული, მაგრამ სასიამოვნო წუთები. (ამ ფილმის პირველი ვარიანტი, სამწუხაროდ, დაიკარგა, მასზე დარჩა მხოლოდ მოგონება და ნიკას რამდენიმე წლის შემდეგ მეორედ მოუწია ფილმისათვის საჭირო მასალების გადაღება)...

ნიკა რეჟისორის თვალით ზვერავდა მიდამოს, მე კი გამწარებული ვუკირკიტებდი ხმის ჩამწერ აპარატს და ვერ გამეგო, რატომ არ წერდა ფირზე არაფერს. ტიროლს არაფერი მეკლდა, ვერაფერს ვწერდი ნიკას ფილმისათვის...

— ალბათ, დაგვისველდა, მდინარეზე გადასვლისას დაინესტა.— ამბობდა „პატარა ბორია“.

მკაცრად მიყურებდა ნიკა, ხმას არ იღებდა მხოლოდ და გადასაღებად ამზადებდა კინოაპარატს. ჩვენ კი ხამივე ცალ-ცალკე ვუკირკიტებდით ჩამწერს, რომელსაც არაფერი შველოდა. გაბეზრებულმა თავი მივანებე ყველაფერს და ფერდობზე ავირბინე, რომლის თავზეც კედლებმორღვეული ბაზილიკა დამხვდა, ნასოფლარი, ძველი საფლავის ქვები, ბაზილიკის კედლიდან ტყეში ჩაკარგული მკლავის სისქე გამხმარი ვაზი.

აქ ალბათ სოფელი იყო ოდესღაც, აქ ალბათ, სიცოცხლის ქარი ნავარდობდა, აკვნები ირწეოდა. ქურმუხის გაღმა-გამოღმა სიყვარულით აშენებდა ქართველი კაცი ეზო-კარს, ვაზს ახარებდა.

აქ, ალბათ, სოფელი იყო ოდესღაც, ნეტა რა ერქვა?

რამდენი ბაზილიკა აღიგავა პირისაგან მიწისა, რამდენი ხალხცავი, რამდენი ქალაქი იქცა ნაქალაქარად, ნაოხრად. რა იქნა ზაგემი, რა იქნა ყუმი, [illegible] ალა იქნა, აჯინოურის ველზე განფენილი?!

●

წახურეთისაკენ მივდივართ და მეჩვენება, ჩვენს მიერ გაღვიძებული ნასოფლარებიდან დიდი ამბის სათქმელად მოგვყვებიან თან გარდასულთა აჩრდილები. არც ისე ბევრნი ვართ ჯგუფში. სულ ცხრანი ვართ: ორი—თბილისელი, დანარჩენები — ინგილოები.

ქურმუხის ხეობაში ქურმუხის ტაძრის სილუეტი გამოჩნდა.

ეს ტაძარი წმინდა გიორგის სახელობისაა და ქართულ მატიანეში მამათა მონასტრის სახელითაა ცნობილი. დიდი სამონასტრო კომპლექსის უტყუარი ნაშთი ტაძრის ირგვლივ განფენილ ტყეთა მასივებიდან ახლაც მოჩანს. საინტერესოა ერთი საგულისხმო ფაქტი: XIII ს-ის დასასრულსა და XIV ს-ის დამდეგს ქურმუხის ტაძარში საქართველოს კათალიკოსს დაქვემდებარებული მთავარეპისკოპოსი მჯდარა და მის განმგებლობაში მთიულეთისა და დალესტნის (წახურის) ეკლესიებიც შედიოდა. ალბათ ამიტომაც, ტაძარს დღემდის არა მარტო ქრისტიანი და მაჰმადიანი ქართველები, არამედ არაქართველი მუსლიმანებიც სცემენ თაყვანს, ყოველ გიორგობას ამოდიან ტაძართან, სანთლებს ანთებენ და სარიტუალო წესებსაც ასრულებენ.

1968 წ. 10 აპრილს ღამით ამ ძეგლის მშვენება კონუსური ფორმის მაღალი გუმბათი მთლიანად ჩამოინგრა და, სამწუხაროდ, არც ერთი საინტერესო ელემენტი აღარ შერჩა.

ამბობენ, თავისით არ დანგრეულა, ძალით დაანგრიეს საქართველოს კულტურის მტრებმაო. მიუხედავად ამისა, მის აღდგენაზე ზრუნვას ინგილოები მაშინვე შესდგომიან. ისინი თავიანთი სახსრებით აპირებდნენ წმინდა გიორგის ტაძრის გუმბათის აღდგენას, მაგრამ აზერბაიჯანის ძეგლთა დაცვის მესვეურებმა გუმბათი „თვითონ აღადგინეს“.

„გუმბათი ამჟამად „მორგებულ“ ქოლგასავით ადგას ტაძარს, მართალია, წყალი არ ჩამოდის, მაგრამ საშინლად დამახინჯებულია, შორიდან უგუმბათო ჩანს, დაბალია, „აღდგენილი“ გუმბათი შორიდან არ იკითხება“. (ი. ადამია)

●

პირველად ექვსიოდე წლის წინ გიორგობაზე ვინახულე ტაძარი.

ეს ის წლები იყო კინოფილმ „ზღვარზე“ მუშაობისას რომ ვსტუმრობდი საინგილოს. შემოქმედებითი მისიით ჩამოსულნი მის შემოგარენში „პარტიზანულად“ (სრული ამ სიტყვის მნიშვნელობით) ვიღებდით მასალებს.

ქურმუხის ტაძრის ჩამოფლეთილ კედელთან ზურგჩანთაში დამალული აპარატით ვიწერდი დიალოგს ახალგაზრდა ინგილო ღვთისმსახურთან ილარიონ ჭეჭაშვილთან, რომელიც ტაძრის ახალი სიცოცხლის დაწყებას ნატრობდა და იხსენებდა აგერ ორიოდე წლის წინ ზაგემის ღვთისმშობლის ეკლესიის ტრაგედიას.

ზაგემის ღვთისმშობლის ეკლესია ზაქათალის რ-ში სოფელ ბახთალაში, უძველესი ქალაქის ზაგემის, იგივე ბაზრის, ნაქალაქარის ტერიტორიაზე მდებარეობს.

ეს ადგილი, როგორც ცნობილია, საინგილოს უძველესი სავაჭრო ცენტრი იყო.

ეკლესიის ინტერიერი მდიდრულად ყოფილა მოხატული, რაც დროს გაუნადგურებია. ჩვენს საუკუნემდე მოაღწია დასახიჩრებულმა ფრესკებმა. 1969 წლამდე ეს იყო საინგილოს ტერიტორიაზე ერთ-ერთი ყველაზე კარგად შემონახული მაღალყელიანი გუმბათოვანი ქართული ეკლესია და ეს ტაძარიც ჩვენს თვალწინ „მოგვიკლეს“. უნიკალური ეკლესია დღეისათვის აღარ არსებობს, 1971 წ. 10 ივლისს გაქრა. XV ს-ის ძეგლი თავმორღვეული, შემუსვრილი, ხმას მღაღადებლისასა ჰგავს უდაბნოსა შინა...

ზაგემმა სხვა ტაძრები და საქართველოდან ჩამოსულ უნივერსიტეტის სტუდენტთა შარშანდელი სარესტავრაციო სამუშაოები გამახსენა.

ალბათ რამხელა ტრაგედია, დაცინვაა ჩვენი ერის კულტურისა, საინგილოში ჩადიოდე ლექართისა და ყუმის, კასრის საყდრისა და სხვა უძველეს ძეგლთა საპატრონოდ, საშველად და მაგიერად აზერბაიჯანელი „კულტურის მუშაკნი" საქართველოს გამყიდველის სერგო ორჯონიკიძის ძეგლზე სამუშაო ხარახოზე გაყენებდნენ. ქურმუხისა და კახის, ნინოწმინდის, გიშის, ლექართისაკენ მისასვლელ გზებს კი გიკეტავდნენ?! აკი ასეც დაემართათ შარშან უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტის სტუდენტებს?! ქართულ ძეგლებთან არა თუ სარესტავრაციოდ, დასათვალიერებლადაც კი არ მიუშვეს.

ალბათ ძველი ცივილიზებული ხალხების ერთ-ერთი დიდი ტრაგედიაა ის, როდესაც მაღალი ცივილიზაციის ნაყოფს სხვა გენი, გარემო ვერ შეითვისებს, ვერ დაინახავს, მისგან საუკეთესოს კი არ მიითვლის, ისე, როგორც რომაელებმა ბერძნებისაგან, არამედ შურით აღვსილი გაანადგურებს, მოსპობს, რათა მასზე ძლიერის, მასზე დიდის ნაშთიც არ დარჩეს, რათა თვითონ იბატონოს, ყოველ წუთს არ გაახსენოს ძლიერმა კულტურამ თავი, ყოველ წუთს არ გაახსენდეს ის მიწა, ერთ დროს სხვისი რომ იყო.

საქართველოში ისე ძალიან არსად არ უჭირს ქართულ სიძველეს, როგორც აქეთ, სადაც დღისით, მზისით ყველას თვალწინ ილუპება მატერიალური კულტურა.

კახის წმ. გიორგის ძველი საყდრის ადგილზე ძველი გალავნის შიგნით ეზოში 40-50 წლების წინათ წარწერებიანი დიდი ქვები ეყარა, რომელზეც ხანდაზმული ინგილოები ამბობდნენ, რომ ეს ქვები ძველი საყდრის ნანგრევებიდანაა გადარჩენილიო. ამ ქვებს ქრისტიანი მოსახლეობა თაყვანს სცემდა, სანთლებს ანთებდა, „თეთრსაც" სწირავდა, შემდეგ კი უკვალოდ გამქრალა. (დღევანდელი ეკლესია XVIII ს. I ნახევარშია აგებული).

ქურმუხი კი მიდის და მეჩვენება, სადაცაა იქცევა სისხლის მდინარედ...

●

ამ რამდენიმე წლის წინ საქართველოს ტელევიზიის გადამღებმა ჯგუფმა აზერბაიჯანის ტელერადიოკომიტეტთან შეთანხმების საფუძველზე (შეთანხმების მიზანი — გადასაღები გადაცემისათვის ერთობლივი მუშაობა) საინგილოში თეატრის პრემიერის გადასაღებად ჩასვლა გადავწყვიტეთ. პარტიის კახის რაიკომის მეორე მდივანმა თავი შეიკავა ბაქოდან კახის რაიონში ჩასული შემოქმედებითი ჯგუფისათვის დახმარების აღმოსაჩენად. პირიქით, ყველანაირად ცდილობდა ხელის შეშლას, საინგილოში მცხოვრებ ქართველებს რომ არ შევხვედროდით, რათა არ გადაგვეღო ალიბეგლოელთა თეატრალური დასი, ბაქოსა და თბილისის ტელერადიოკომიტეტში ვითარების გასარკვევად დარეკვაზე დახმარება რომ ვთხოვეთ, ცივი უარი გვითხრა და სასწრაფოდ მოითხოვა ჩვენი წასვლაც. ამის გარდა კინოოპერატორს რამდენიმე საათის ბრძოლა დასჭირდა მივლინების ბარათების დასამოწმებლად, რაც შეეხება აზერბაიჯანის ტელერადიოკომიტეტიდან მივლინებულ კოლეგას, იგი დაუმოწმებელი სამივლინებო ბარათით დაბრუნდა ბაქოში. ჩვენი თბილისში გამგზავრებაც პრობლემად გვექცა, რადგან დღის მეორე ნახევარში არავითარი ტრანსპორტი აღარ მოძრაობდა საქართველოსაკენ. სოფელ ალიბეგლოში დიდი გაჭირვებით ჩასულები სოფლის კლუბში შევხვდით თეატრის რეჟისორს, იქაურ ახალგაზრდებს, რომელთაც არაფერი იცოდნენ ჩვენი ჩამოსვლის შესახებ, თბილისიდან ადრე გამოგზავნილ ბარათებს ვერ ჩამოეღწია სოფლამდე, პარტიის რაიკომიდან გაფრთხილებული ფოსტისა თუ სასტუმროს მუშაკები არაფრით არ გვაკავშირებდნენ სოფელთან. არც სოფელში მოგვასვენა მეორე მდივანმა, კატეგორიულად მოითხოვდა ჩვენი ჯგუფის გამგზავრებას. ყოველგვარ სიკეთესთან ერთად ერთ-ერთ ინგილოურ სახლში თავშეფარებულებს, მისი ინიციატივით, შინაგან საქმეთა განყოფილების თანამშრომლები დაგვეცნენ, წაგვართვეს გადაუღებელი ფირი „კასეტიანად" (აპარატიდან გაუხსნელი „კასეტა" ამოვიღეთ მათ თვალწინ, შემდეგ რომ არ დაგვბრალებოდა ფირის განგებ გაშუქება) და საქართველოს დღევანდელ საზღვრებამდე ჩამოგვაცილეს.

მას შემდეგ რამდენიმე წელია გასული, პასუხი კი იმის შესახებ, თუ რა ნახეს იმ ფირზე, რომელიც წაგვართვეს, დღემდე არ ისმის.

საქართველოში გაოგნებულნი დავბრუნდით.

ეს ყველაფერი არც ისე დიდი ხნის წინ მოხდა, ანალოგიები კი დღესაც გრძელდება.

●

რაოდენ სამწუხაროა, რომ საბჭოთა კავშირში ასე გაუნათლებელი ხალხი კიდევ არსებობს.

ჩვენ ხომ მათთან შემოქმედებითი მისიით ჩავედით, ეს გადაცემა, თეატრის პრემიერა, მათთვისაც ხომ ასევე საინტერესო იქნებოდა?!

შემოქმედებას რომ თავი დავანებოთ, სტუმარ-მასპინძლობაც დავიწყება მაინც რა იყო, ღამის 12 საათის შემდეგ „სახლიდან გამოგდება"...

შემოქმედებითი მისიითა და კეთილი საქმის განსახორციელებლად მივლინებულ ჟურნალისტებს ალბათ ამის შემდგომ უფრო უარეს მდგომარეობაში მოუწევთ სამივლინებო დღეების გატარება საინგილოში, თუ შესაბამისი ზომები არ იქნება მიღებული. საინტერესოა, ჩვენს მიერ გადასაღებ პატარა თეატრალურ დასს რა საშიშროების წინაშე უნდა დაეყენებინა ზოგიერთი აზერბაიჯანელი ამხანაგი?

ვინ იცის, საქართველოდან საინგილოში ოფიციალურად ჩასული რამდენი „კეთილი მისიონერი" გაუბრუნებიათ საზღვრიდან, რამდენჯერ გაუტანებიათ ინგილოებისთვის საჩუქრად ჩამოტანილი ქართული წიგნები უკან, რამდენი არქიტექტორისათვის დაუმტვრევიათ კულტურის ძეგლთა ასაზომი ხელსაწყოები, ქართულ ძეგლთა საშველად ჩასულ არქეოლოგებისა და ისტორიკოსებისათვის რამდენჯერ ჩაუკეტიათ კულტურის ძეგლებისაკენ მისასვლელი გზა... ფიზიკურადაც დაუშავებიათ... რატომ აშინებთ ასე საინგილოში კინო თუ ფოტო აპარატისა და ჟურნალისტის გამოჩენა აზერბაიჯანის მესვეურთ?

...როცა ყოველ საღამოს სატელევიზიო გადაცემა „ვრემიას" ჟურნალისტები მთელი მსოფლიოს ყოველი კუნჭულის ჭორმართალს გადასცემენ... თურმე კამპუჩიასა და ავსტრალიაში, ლიბანსა თუ ისრაელში უფრო მარტივად ახერხებს ჩვენი ჟურნალისტი სასწრაფო სიუჟეტის მომზადებას, ვიდრე აქეთ, ჩვენსავე ქართულ მიწაზე...

სხვაგან არსად ისე არ სჭირდება ქართველ კაცს ქართულ სიძველეთა დაცვა, როგორც აქეთ, სადაც კალიასავით მოსდებია ურჯუკის ხელი. მტერი არასოდეს აკლდა ქართველს, მაგრამ მისი გამკლავებაც იცოდნენ ჩვენმა წინაპრებმა, თუ არა, როგორ მოვატანდით აქამდის ეს რიცხობრივად მცირე, მაგრამ არა მცირე ერი.

ჩვენი გადარჩენა ერთიანობაშია, მხოლოდ, ერთ სუნთქვადქცეულ საქართველოში.

— „ფინიკიელები ვაჭრები იყვნენ, — გვჯობდნენ მოხერხებით, დაილუპნენ, ჩვენ — დავრჩით, ძლიერნი იყვნენ ჯარში რომაელნი, — გვძლიეს; მაგრამ ჩვენ დავრჩით. სილამაზის მარად მსახურნი ბერძენნი გადაშენდნენ, ჩვენ კი ვართ, როგორც ჭადარი სხვა ხეთა შორის... ჩვენ ვაჭრებიც ვართ, მეომარნიც და ქურუმნიც მშვენიერებისა, მაგრამ არაფერში ვაჭარბებთ.. ჩვენი დღეც დადგება ოდესმე, უეჭველია, მაგრამ განგებას ჯერ არ გადაუწყვეტია..." (ნ. ლორთქიფანიძე).

ჩვენ ერთ-ერთი უძველესი ხალხი ვართ... უჭკვიანესი გენია ჩვენში, ის არ უნდა გაქრეს...

ჩვენ იქამდე ვიქნებით, ვიდრემდის ერთი ქართველიც კი იარსებებს ამ მიწაზე...

**1989 წლის აპრილი.**

## გზას წმინდა გიორგი დაგვილოცავს

მსოფლიოს ერთ-ერთი ყველაზე მსხვილი ფინანსური ცენტრის, ლონდონ-სიტის (რომელიც განთქმულია არა მარტო სიმდიდრითა და ძალაუფლებით, არამედ შესანიშნავი არქიტექტურული ძეგლებითაც), ცენტრალურ ქუჩაზე კენონ-სტრიტზე, კორპორაცია „სპეიჰოუკ პაბლიკ ლამიტედის" ახალი შენობის წინ დაიდგა ბრინჯაოს ორმეტრიანი სკულპტურული კომპოზიცია. „ეს თავისთავად მნიშვნელოვანი ამბავია კონსერვატული ტრადიციებით თავმომწონე ლონდონ-სიტისათვის, ამას თუ დავუმატებთ, რომ სკულპტურული კომპოზიციის ავტორი უცხოელი, ქართველი მოქანდაკე ზურაბ წერეთელია, ადვილი წარმოსადგენია ამ ფაქტის სენსაციური ჟღერადობა — წერს 20 მაისის „იზვესტიაში" გაზეთის ლონდონელი კორესპონდენტი ა. კრივოპალოვი.

— ვეძებდით ხელოვანს, რომელიც შეძლებდა ჩვენი ახალი შენობის ფასადისთვის შეექმნა სკულპტურული კომპოზიცია. ჩვენთვის ცნობილი გახდა ქართველი მხატვრის ზურაბ წერეთლის ოსტატობა. შარშან დავუკავშირდით ხელოვანს და აი, დღეს, მისი მშვენიერი ნამუშევარი ამშვენებს ჩვენი ახალი ოფისის ფასადს — განაცხადა კომპანია „სპეიჰოუკის" პრეზიდენტმა ტრევორ ოსბორნმა.

თითქოს კლდის პიტალო კედლები გაარღვია ზეცისკენ ხელებაპყრობილმა გამარჯვებულმა ჭაბუკმა — ასე აღიქმება ზ. წერეთლის ახალი ნაწარმოები, რომელსაც ავტორმა უწოდა „უხდობლობის კედლები ინგრევა". სპილენძის დაფაზე აღნიშნულია: „შეკვეთილია „სპეიჰოუკის" კომპანიის მიერ 1989 წელს. გახსნა ინგლისის პარლამენტის საპატიო წევრმა, კულტურის მინისტრმა რიჩარდ ლუისმა 1990 წლის 17 მაისს. შესრულებულია ზ. წერეთლის მიერ".

ბრიტანეთის კულტურის მინისტრმა რიჩარდ ლუისმა თქვა: „ეს შესანიშნავი სკულპტურა ძალიან ბევრ პრობლემაზე მიგვანიშნებს, ეს ნაწარმოები იქნება დასავლეთსა და აღმოსავლეთს შორის მეგობრობისა და ნდობის სიმბოლო..."

ოფიციალურ ცერემონიალზე სიტყვა წარმოთქვა საბჭოთა კავშირის ელჩმა ბრიტანეთში ლ. მ. ზამიატინმა: „ეს ადგილი ლონდონ-სიტის „ქართული კუთხე" იქნება". მან მხატვარს გადასცა საბჭოთა კავშირის პრეზიდენტ მ. გორბაჩოვისა და საგარეო საქმეთა მინისტრ ე. შევარდნაძის მილოცვები...".

რამდენიმე დღის წინ ზურაბ წერეთელი დაბრუნდა სამშობლოში. ჩვენი კორესპონდენტი ნათელა კობიაშვილი შეხვდა მხატვარს და ესაუბრა.

●

— ბატონო ზურაბ, ჩვენი გაზეთის მკითხველების სახელით გილოცავთ ამ დიდ გამარჯვებას. თქვენ პირველი ქართველი მოქანდაკე ბრძანდებით, რომლის სკულპტურაც ბრიტანეთის მიწაზე დაიდგა; დღეს, როდესაც საქართველოზე უცხოეთში ამდენი საუბარია, ამ ფაქტს საკმაოდ ოპტიმისტური პოლიტიკური ჟღერადობა აქვს. გვიამბეთ, რა საგულისხმო და მნიშვნელოვანი მოხდა ინგლისში ძეგლის გახსნის ცერემონიალზე.

**— ჩვენმა წინაპრებმა მუდამ იცოდნენ, რომ ინგლისელ ხალხთან შეიძლებოდა ჭეშმარიტი მეგობრობა, ამის დამადასტურებელი ფაქტები არსებობს ისტორიაში. ახლა, როდესაც საშუალება მოგვეცა ჩვენ თვითონ ამოვირჩიოთ მეგობრები, წინაპრების განვლილი გზა არ უნდა დავივიწყოთ. ისინი ხომ ინგლისსა და გერმანიას განსაკუთრებულ პატივს მიაგებდნენ.**

**არც ის უნდა დავივიწყოთ, რომ ინგლისი მსოფლიო აზროვნების კრიტერიუმია. მას უდიდესი როლი შეუძლია შეასრულოს მსოფლიო საზოგადოებრივი აზრის შექმნაში, რაც დღეს ჩვენს ქვეყანას ასე ძალიან ესაჭიროება.**

**რაც შეეხება ჩემს ნამუშევარს, გახსნაზე მე განვაცხადე, რომ ამ სკულპტურას ვუძღვნი საქართველოს სახელმწიფოებრივი აღდგენის დღეს — 26 მაისს. ბრიტანეთის კულტურის მინისტრმა რიჩარდ ლუისმა, რომელიც ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრს მარგარეტ ტეტჩერს ახლდა საქართველოში, დამსწრეთ მოუთხრო ჩვენს ქვეყანაზე, ტრადიციებსა და კულტურაზე, „ქართველი ხალხი განსაკუთრებული ნიჭიერებით გამოირჩევა, მათ აქვთ გმირული ისტორია, უდიდესი ხელოვნება. მე მინდა იმედი ვიქონიო, რომ კულტურული ურთიერთობა ჩვენს ხალხებს შორის აუცილებლად გაგრძელდება". მაშვე გადმომცა მარგარეტ ტეტჩერის წერილი: „გილოცავთ, გმადლობთ. დიდი მოკითხვა ქართველ ხალხს".**

**გახსნის ცერემონიალზე ნოდარ მეძმარიაშვილმა (რომელსაც ხუმრობით საქართველოს ელჩი უწოდეს), ინგლისის პრემიერ-მინისტრის კაბინეტის წარმომადგენლობას გადასცა გივი გუმბარიძის მადლობა-მილოცვა, სადაც ლაპარაკი იყო ქართველი და ინგლისელი ხალხის მომავალ მეგობრობაზე, კონტაქტების გზებსა და საშუალებებზე.**

**გახსნაზე ინგლისელებს ბევრი სტუმრები ჰყავდათ მოპატიჟებული საფრანგეთიდან, გერმანიიდან, მოსკოვიდან... ანდრეი ვოზნესენსკიმ ლექსი წაიკითხა საქართველოზე...**

— რაზე მუშაობთ ამჟამად?

**— ბოლო დროს, როგორც არასდროს, მსოფლიოში გაისმის მოწოდებები „ყველა ერი უნდა იყოს თავისუფალი, მსოფლიოში სხვადასხვა ერები უნდა ცხოვრობდნენ ურთიერთნდობისა და მეგობრობის ატმოსფეროში"... რამდენად ჰუმანური იყო ჩვენი ერის ისტორია, ჩვენი ერის ცხოვრების დედააზრი! თავისუფლება, ნდობა, მეგობრობა და სიყვარული. რამდენი სხვა ეროვნების გაჭირვებული ხალხი შევიფარეთ ჩვენი ისტორიის მანძილზე, დღემდე განა მეგობრულად არ ვცხოვრობთ მათთან? ქართველმა ხალხმა მთელი თავისი ისტორიის მანძილზე იცხოვრა ამ მოწოდებით. სექტემბერში გაერთიანებული ერების ორგანიზაციას, იუბილესთან დაკავშირებით, საქართველოს მთავრობა ქართველი ერის სახელით უძღვნის ჩემს 16 მეტრიან სივრცობრივ კომპოზიციას წმინდა გიორგის, რომელსაც ჰქვია „ბოროტსა სძლია კეთილმან". იგი გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ეზოში აღიმართება. მსოფლიოს ხალხს ვთავაზობ ჩემი ერის ცხოვრების ისტორიულ დედააზრს: თავისუფლება, ნდობა, მეგობრობა და სიყვარული. ეს იქნება ჩვენი ფაქტიური შესვლა ამ ორგანიზაციის ეზოში და შენობაში, შესასვლელ გზას კი წმინდა გიორგი დაგვილოცავს...**

## რეპლიკა
# „ამოდის, ნათდება!"

ასე ეწოდება ვაჟა-ფშაველას ერთ პატარა მოთხრობას, რომელიც ქართული პროზის მშვენებაა, ნამდვილი შედევრია. ეს სათაური მოთხრობის პერსონაჟთა გამაფრთხილებელი წამოძახილია და იმთავითვე გარკვეული შინაარსით არის დატვირთული.

მე არ ვაპირებ მოთხრობის მხატვრულ ანალიზს, მინდა მხოლოდ ერთ საკითხზე გავამახვილო მკითხველის ყურადღება.

ბოლო ხანებში ზოგიერთი ჩვენი მწერლის თუ ჟურნალისტის პუბლიცისტურ წერილებსა თუ საჯარო გამოსვლებში ვაჟა-ფშაველას ამ მოთხრობის სათაურმა რამდენჯერმე გაიელვა, როგორც მეტაფორულმა შეძახილმა, იმედის მომცემმა მოწოდებამ: „ამოდის, ნათდება!"-ო, თანაც ფრაზა ისეთი კონტექსტით იყო დამუხტული, რომ ძალაუნებურად იგულისხმებოდა: ახალი დრო დგება, ე. ი. თენდება, მზე ამოდის და სულ მალე გვეშველებაო. მე მიმაჩნია „ამოდის, ნათდება!"-ს ამ მნიშვნელობის ხმარება, შეცდომა თუ არა, ყოველ შემთხვევაში, გაუგებრობაა.

ვინ დაუშვა პირველად შეცდომა, ამის გარკვევას, ალბათ, აზრი არა აქვს, უკვე იმდენჯერ წავიკითხე და მოვისმინე „ამოდის, ნათდება!"-ო, რომ სათვალავი ამერია. თანაც პირველმთქმელის პრიორიტეტი, ჩემი აზრით, სახარბიელოდ და შესაშურად არ გამოიყურება.

ვაჟა-ფშაველა გენიალური მწერალი იყო და ძალიან კარგად, ზედმიწევნით იცოდა, რას წერდა. „ამოდის, ნათდება!"-ში არ თენდება, ღამის წყვდიადში ამოდის მთვარე. მოთხრობის პერსონაჟებს არ კი უხარიათ მთვარის ამოსვლა, არამედ თავზარსა სცემთ მისი სინათლე.

ალბათ უკეთესი იქნება, თუ მკითხველს მოკლედ შევახსენებ მოთხრობის შინაარსს: ზამთრის ვარსკვლავებით მოჭედილ ბნელ ღამეში მშიერი მგლები შეგროვდებიან, გადაწყვეტილი აქვთ სოფელს თავს დაესხნენ, თუ საქონელს ვერა, ძაღლს მაინც გაჰკრან კბილი, იქნებ ამით ოდნავ მაინც მოიკლან შიმშილის გრძნობა, მგლები იმდენად არიან დამშეულები, რომ უმნიშვნელო მიზეზს ეძებენ, ეს მიზეზი თუ მიეცათ, ერთმანეთსაც არ დაინდობენ — თანამებრძოლს უმალვე გაიმეტებენ შესაჭმელად.

მგლები სოფლისაკენ დაიძრნენ; „აიშალნენ იმ იმედით, რომ გაძღებოდნენ, დაეშვნენ თავქვე, წინ ჩაუძღვათ ტოტია, წალიკი დაჰკრეს გორის პირს, ჩამომწკრივდნენ. იმედი ულვივოდათ გულში, მაგრამ დახეთ, რომ ბედმა უმუხთლა! რასაც არ მოელოდნენ, ის მოხდა: მოხდა ის, რითაც იმათი საქმე ფუჭდებოდა, იშლებოდა, წელი მოსწყდათ. რა მოხდა განა ასეთი? ამათ სიბნელის იმედი ჰქონდათ ხომ, მაგრამ ცოტათ შენიშნეს, რომ აღმოსავლეთით ცის პირი ნათდებოდა, ყველანი შეჯგუფდნენ ერთად და მიაპყრეს იქით თვალები. ცოტა ხნის შემდეგ მთვარემ წვერი ამოყო. ამოვიდა მთვარე და გაანათა ტყე, მთა, ბნელი კუნჭულები; გაანათა ჯურღმული. შეჯგუფებული მგლები ბრაზმორეული იძახდნენ: „ამოდის, ამოდის, ნათდება!" მთვარისკენ მიპყრობილ მგლების თვალებიდან ზიზღის, სიძულვილის, სისხლის ძიების ისრები იყო გაძაფული. როგორ სწყევლიდნენ მის ამოსვლას!".

როგორც ვხედავთ, მთვარის ამოსვლამ მგლებს თავზარი დასცა, სინათლის მიმართ ზიზღით აავსო და უფრო მეტად გააბოროტა, რადგან მთვარით განათებულ სოფელზე თავდასხმა უკვე დამარცხებას ნიშნავდა. მგლები დიდხანს არ დაფიქრებულან, მოხუც წინამძღოლს, ტოტიას შარი მოსდეს, მთვარის ამოსვლა შენი ბრალიაო და იქვე გაჰკრეს კბილი, ისე გადასანსალეს, თოვლზე ბეწვიც კი არ დაუტოვებიათ. შემდეგ კი მიმოიფანტნენ, ყოველ მათგანს ეშინოდა, მეც არ შემჭამონო.

მე მგონი, იმ მთვარის ამოსვლასავით ნათელია, რისთვისაა ეს მოთხრობა დაწერილი. მგლები მოთხრობაში ბნელეთის ბინადრები არიან, სოფლის მაოხრებლები, დამწიოკებლები, რომლებსაც სინათლის ეშინიათ, სინათლეს გაურბიან, თუ გაუჭირდათ, ერთმანეთსაც არ ინდობენ, სპობენ და ანადგურებენ, ჭამენ თანამოძმეებს. მთვარე სინათლის, სიკეთის სიმბოლოა და არა გათენების ან ახალი დღის დადგომის. ხოლო „ამოდის, ნათდება!" მგლის ლოზუნგია, მგლების მოწოდებაა: არიქა, სანამ განათდება, თავს ვუშველოთო. ასე რომ არ იყოს, ვაჟა-ფშაველა ამ სიტყვებს მგელს არ ათქმევინებდა.

თუ ჩვენთვის დღევანდელი დღის შესაფერისი ლოზუნგია საჭირო და თანაც უსათუოდ კლასიკოსი გვსურს მხარში ამოვიყენოთ, სხვა მოწოდება, სხვა სულისკვეთებით გამსჭვალული ლოზუნგი უნდა მოვძებნოთ. თუ სინათლის გვეშინია და ერთმანეთის შეჭმასაც ვაპირებთ, კი ბატონო, მაშინ ვწეროთ და ვიყმუვლოთ მგლებივით „ამოდის, ნათდება!"

**არჩილ სულაკაური**

# შტრიხები მეგობრის პორტრეტისათვის



ძნელია მეგობრის პორტრეტის მონახაზის გაკეთება იმის გამოც, რომ ღრმად პიროვნულ დამოკიდებულებაზე საჯარო საუბარი უნებურ უხერხულობას ბადებს. მაგრამ კიდევ უფრო უხერხულია უარი თქვა ამ განზრახვაზე, რადგან, ვისი პორტრეტის მოხაზვასაც აპირებ, მიჩნეულია ქართული ფილოსოფიური ტრადიციის ერთ-ერთ გამგრძელებლად და გამაღრმავებლად, თანაც მას ხულ ახლახან შეუსრულდა სამოცი წელი.

ეს ადამიანი თამაზ ბუაჩიძეა — დიდი ნიჭით, ფილოსოფიური კულტურითა და ერუდიციით გამორჩეული მოაზროვნე, მოქალაქე და პატრიოტი. იგი ძველ ქართველ ინტელიგენტთა იმ წრიდანაა, ვინც „ახალი ტიპის ადამიანებად" ვერ გადააკეთეს და სწორედ ამის გამო მათ ოჯახებს განსაკუთრებული სისასტიკით დაატეხეს თავს რეპრესიები. შვიდი წლის იყო თამაზ ბუაჩიძე, როცა მავნებლად გამოუცხადეს და დაუხვრიტეს მამა (ცნობილი პროფესორი, სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის რექტორი), გადაუსახლეს დედა და თოთხმეტი წლის ძმა, რომელიც პატიმრობაში დაიღუპა, ხოლო თვითონ დასთან ერთად საკუთარი ბინიდან ქუჩაში გამოაგდეს.

დღესაც კი ძნელი წარმოსადგენია, თუ რაოდენ შეზღუდული იყო თავისუფალი არჩევანის შესაძლებლობა ჩვენი თაობის ადამიანებისთვის, განსაკუთრებით კი „ხალხის მტრების" შვილებისათვის, რამდენი რამ იყო მათთვის იმთავითვე აკრძალული და გამორიცხული, რამდენი რამ სახიფათო — სიცოცხლისათვის. მაგრამ ადამიანს, რა დროშიც არ უნდა დაიბადოს, რა იარლიყიც არ უნდა მიაკრან, მაინც უდგება პრინციპული გადაწყვეტილების მიღების მომენტები, რომლებიც სრულად წარმოგვიჩენენ მის პიროვნებას და ხშირად განაპირობებენ კიდეც მის შემდგომ ცხოვრებას. ერთ-ერთი ასეთი არჩევანის წინაშე თამაზ ბუაჩიძეც აღმოჩნდა მომავალი პროფესიის განსაზღვრისას. მანაც უყოყმანოდ აირჩია ნამდვილი ფილოსოფია, ე. ი. თავისი ნებით გადაწყვიტა იმ ქართველ ფილოსოფოსთა მოწაფეობა, რომელთაც მტრულად უყურებდნენ, ბურჟუაზიული იდეოლოგიის შემთხვევით გადარჩენილ, ცოცხალ მატარებლებს უწოდებდნენ და ფიზიკური მოსპობითაც კი ემუქრებოდნენ ტოტალიტარიზმის სამსახურში მყოფი ოფიციალური ფილოსოფიის დამცველები, რომლებიც კ. ბაქრაძემ „მეტევაზე გადმოსულ უვიცებად" მონათლა.

ამ არჩევანმა განსაზღვრა თამაზ ბუაჩიძის ფილოსოფიური გემოვნებაც და მისი მეცნიერული კვლევა-ძიების სფეროც. ფილოსოფიურ მედიტაციებს ის ჩვეულებრივ მოკრძალებული ამოცანის დასახვით იწყებს, რომელიც თითქოსდა პერიფერიულ საკითხებს უკავშირდება. მაგრამ თუ მას გაჰყვები, ამ პერიფერიულ ფენებში სათცარი სიადვილითა და სიცხადით თანდათან მთელი სიგრძე-სიგანითა და სიღრმით დაინახავ ყოფიერების ურთულეს და უძირითადეს სტრუქტურებს. აზროვნების სტილის სინათლე და ლოგიკური დამაჯერებლობა, შერწყმული დახვეწილ ინტელიგენტობასა და უტყუარ ღირებულებით ორიენტაციასთან, განსაკუთრებულ მომხიბვლელობას სძენს თამაზ ბუაჩიძის ინდივიდუალობას.

თამაზ ბუაჩიძემ სამეცნიერო მოღვაწეობა დაიწყო უნივერსალიების იდეალურ-რეალური არსებობის სტატუსისა და ჭეშმარიტების ბუნების კვლევით იმ დროს, როცა ადამიანები გამოათაყვანეს კლასთა ბრძოლის დაუსრულებელი გამწვავებისა და ბაზისით ზედნაშენის განსაზღვრულობის ქადაგებით. ამას მოჰყვა მისი განსაკუთრებული დაინტერესება ჰეგელის ფილოსოფიით და, თავისი მასწავლებლების მსგავსად, მან აქაც გააღრმავა ჩვენი ფილოსოფიური ტრადიცია: თუკი კ. ბაქრაძემ და ს. წერეთელმა მეთოდისა და სისტემის ურთიერთობასთან დაკავშირებული ახალი მხარეები წამოსწიეს ჰეგელის ფილოსოფიის ინტერპრეტაციაში, თამაზ ბუაჩიძემ ჰეგელის ნააზრევში გვაპოვნინა სულ სხვა ფენა — აბსოლუტური გონებით ადამიანის განსაზღვრულობისა და თავისუფლების მიმართებისა, დაგვანახა ჰეგელის ფილოსოფიის ჩვენთვის უცნობი სიცოცხლისუნარიანი მხარეები.

გონების ძლიერების, ავტონომიურობის რწმენამ, სხვა უფრო მაღალი ინსტანციების საჭიროებაზე უარის თქმამ ჰეგელის სისტემაში აბსოლუტური გამოხატულება ჰპოვა. და როცა ცხოვრებამ ეს რწმენა შეარყია, ეპოქის ფილოსოფიურმა აზროვნებამ ახალი, რადიკალურად განსხვავებული ტენდენციების დასახვა სცადა. წარმოიშვა საბუნებისმეტყველო მეცნიერებაზე ორიენტირებული მიმართულებები, რომელთა თანახმად ფილოსოფია მხოლოდ მეცნიერების შედეგების განზოგადებაა, ნეოკანტიანური ფილოსოფია, რომელმაც ძირითადი ყურადღება ცოდნის დაფუძნებისა და ღირებულების პრობლემებზე გადაიტანა, ბოლოს — „სიცოცხლის ფილოსოფია" და ექსისტენციალიზმი ორიენტაციის ჰუმანიტარული ღირებულებების კენ მკვეთრი შემობრუნებით და კულტურის რადიკალური კრიზისის გააზრებითა და განცდით. უკვე გასულ საუკუნეში ეპოქის სულიერი კრიზისი მძაფრად და ღრმად ახაზეს ა. შოპენჰაუერმა, ფ. ნიცშემ და ს. კირკეგორმა. მათი მსოფლმხედველობის ანალიზსა და ინტერპრეტაციას თამაზ ბუაჩიძემ უძღვნა სპეციალური მონოგრაფია, რომელიც გამოსვლისთანავე ბიბლიოგრაფიულ იშვიათობად იქცა.

ფილოსოფიის ჰუმანიტარულმა ორიენტაციამ დღის წესრიგში დააყენა ადამიანის ფილოსოფიური პრობლემა. ჩვენში პირველი ზ. კაკაბაძე იყო, ვინც ამ პრობლემის ნამდვილი მნიშვნელობა გაგვააზრებინა. დღეს ამ ტენდენციის საუკეთესო გამომხატველი ქართულ ფილოსოფიაში თამაზ ბუაჩიძეა. ჩვენი ეპოქა, რომელშიც მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარებამ არნახულ სიმაღლეებს მიაღწია, საუბედუროდ, მეტად ხელშემწყობ პირობებს ქმნის ადამიანის სულიერი, გონითი გაღარიბებისათვის, გასაქანს აძლევს ვიწრო პრაქტიციზმს, ცხოვრებისა და ბუნებისადმი მომხმარებლურ დამოკიდებულებას და სხვ. იქ, სადაც გონითი საწყისი იკარგება ანდა სუსტდება, ზედმეტი ხდება ნამდვილი ხელოვნებაც, ნამდვილი ზნეობრივი ღირებულებებიც, ნამდვილი ფილოსოფიაც. ადამიანის ბუნებისათვის არსებითი ეს სამი შრე ცხოვრებაში მჭიდროდაა ერთმანეთთან გადაწნული და, ალბათ, ამიტომაც არის შესატყვისი სამი მოტივის ერთიანობა, ძირითადი თამაზ ბუაჩიძის ფილოსოფოსობის წესის, მოდუსისათვის. ამასვე თვლის ის ფილოსოფიის ძირითად საგნადაც. რომლის რაობის გარკვევას მან რამდენიმე საყურადღებო ნაშრომი მიუძღვნა.

თამაზ ბუაჩიძე აგრძელებს კ. ბაქრაძისა და ზ. კაკაბაძის ტრადიციას პედაგოგიურ საქმიანობაშიც. ის გონებრივი შუამავალია თანამედროვე დასავლურ ფილოსოფიასა და ჩვენს ახალგაზრდობას შორის, დღეს, როდესაც ათწლეულობით გაბატონებული დოგმატიზმის წინააღმდეგ პროტესტის გრძნობა, ემოციებთან გადაჯაჭვული პოლიტიკური ინტერესები ახალგაზრდებს ქუჩაში — მიტინგებსა და მანიფესტაციებზე ერეკება, როდესაც ისინი „კარის" მეზობელთა წიგნებზე მუშაობას ფორმალური და არაფორმალური პრესის კითხვას ამჯობინებენ, ბევრი მასწავლებელი გაოგნებული შესცქერის დაცარიელებული აუდიტორიების კედლებს, თამაზ ბუაჩიძის ლექციებზე კი კვლავ მსმენელთა სიმრავლეა. მათ სტუდენტების გარდა სხვებიც ესწრებიან. და ეს ხდება არა მხოლოდ იმის გამო, რომ თამაზ ბუაჩიძე ქართველი ახალგაზრდობისათვის ხელმისაწვდომს ხდის თანამედროვე დასავლეთის ფილოსოფიური აზროვნების მონაპოვარს, რასაც ყველგან ვერ შეიძენ. აქ განსაკუთრებულ როლს თამაშობს მისი ლექციების პუბლიცისტური პათოსი, მისი უნარი გადოს ხიდი ჩვენი ცხოვრების საჭირბოროტო პრობლემებსა და თანამედროვე ფილოსოფიის ულრმეს და ურთულეს ფენებს შორის. ბოლო პერიოდის საჯარო გამოსვლებში თამაზ ბუაჩიძე ანვითარებს ფილოსოფიურად კარგად დაფუძნებულ კონცეფციას ერის რაობაზე, რომლის ერთ-ერთ ძირითად განმსაზღვრელ მომენტად მიჩნეულია პიროვნების მიერ ხალხის ისტორიისა და ბედის საკუთარ ისტორიად და ბედად განცდა.

თ. ბუაჩიძე ჭეშმარიტი ფილოსოფოსია თავისი ცხოვრების წესითაც, პრესტიჟული მოტივებით ადამიანთა ფუსფუსის კომიკურობის ხედვით, სხვებისთვის სისუსტეთა მიტევების იშვიათი უნარით, თავისი ყოველი ნაბიჯის მაღალ ზნეობრივ პრინციპებთან შეთანხმებით. შორი ნაცნობებისთვისაც თვალში საცემია მისი ერთგულება მაქსიმისადმი: „ცხოვრებისაგან აიღე უფრო ნაკლები, ვიდრე გეკუთვნის, თავად კი გაეცი უფრო მეტი, ვიდრე მოგეთხოვება!". და მართლაც, ამ ძნელად შესასრულებელ პრინციპთან სრულ თანხმობაში მყოფი, იგი უცებ გაუჩინარდება, გაქრება ხოლმე, როგორც კი თავისთვის ოდნავი შეღავათის მიღების „საშიშროებას" იგრძნობს, იქ კი პირველი გაჩნდება, სადაც მის მეგობრებს, თანამოაზრეებს ანდა ფილოსოფიის ინსტიტუტს (ოც წელზე მეტია იგი ამ ინსტიტუტის დირექტორის მოადგილეა სამეცნიერო ნაწილში) ხიფათი ელოდება. ასეთი შემთხვევაც არაერთი ყოფილა. ალბათ, ამ პრინციპებთან ერთგულებითვეა გაპირობებული სხვათა მიმართ მისი უსაზღვრო კეთილი განწყობილება და ტაქტი, რაც მხოლოდ დიდი ნიჭისა და ბუნების ადამიანებს ახასიათებს თუკი ისინი თ. ბუაჩიძესავით მახვილი თვალით და ირონიით გამოირჩევიან, მისი ირონია სოკრატულია — საკუთარ თავზეც თანაბრად მიმართული.

ყოველივე ეს ერთად არის მიზეზი იმისა, რომ ახალგაზრდები და უფროსებიც, განსაკუთრებით ისინი, ვისაც მოსვენებას არ აძლევს ნამდვილი ფილოსოფიური კითხვები, მუდამ ეძიებენ თამაზ ბუაჩიძესთან საუბრის შესაძლებლობას, კონტაქტსა და სიახლოვეს.

ახლა თამაზ ბუაჩიძე შემოქმედებითი სიმწიფის პერიოდშია და, ვულოცავთ რა სამოცი წლის მიჯნის გადაბიჯებას, მასთან ყოველი შეხვედრის სიამოვნებასთან ერთად ველით მის ახალ ფილოსოფიურ გამოკვლევებსა და პუბლიცისტურ წერილებს.

**ნიკო ჭავჭავაძე, გურამ თევზაძე, რევაზ თვარაძე, ლერი მჭედლიშვილი, ნუგზარ ივანიძე, მიხეილ ბეჟანიშვილი.**

ჩვენი მილოცვა

## ნოდარ შამანაძე — 60



დაბადებიდან 60 წელი შეუსრულდა ცნობილ ქართველ მწერალსა და ფოლკლორისტს ნოდარ შამანაძეს. ამასთან დაკავშირებით საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობამ იუბილარს მისალმება გაუგზავნა. მისალმებაში ნათქვამია:

ძვირფასო ნოდარ!

საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობა გულითადად მოგესალმებათ და გილოცავთ დაბადების 60 წლისთავს.

თქვენი სახით თანამედროვე ქართულ მწერლობას მრავალმხრივი შემოქმედი ჰყავს. ერთნაირი ძალმოსილებით ილწვით პოეზიის, პროზის, საბავშვო ლიტერატურის, იუმორის ჟანრებში და თქვენი წვლილიც შეგაქვთ ქართული მწერლობის განვითარებაში.

ქართველი მკითხველი მოწონებით შეხვდა თქვენს ისეთ პოეტურ კრებულებს, როგორიცაა „სიჭაბუკის გზაზე", „სულმა სულში ჩაიხედა", „იმედის თეთრო ყვავილო", „შენთან ვიქნები", „აქედანა და თქვენამდის". ამ კრებულებში შესული ლექსები, რომლებიც სამშობლოს, მის წარსულსა და მომავალს, სამშობლოსათვის თავდადებულ გმირებს ეძღვნება, დამუხტულია დიდი ადამიანური სიკეთითა და სითბოთი და მკითხველს უკეთესი მერმისის რწმენით განაწყობს.

მკითხველთა დაინტერესება გამოიწვია თქვენმა პროზაულმა კრებულებმა („სამახსოვრო", „მაღალი კოშკი",, ხე მრუდე და ხე მართალი", „იმედის მთვარე"...), რომლებშიც ჩვენი ყოფის მრავალი საჭირბოროტო საკითხი აისახა.

ქართველი ბავშვების საყვარელი პოეტი ხართ. „შორეთს სიმღერა", „ეს ქვეყანა თქვენია", „დედა გაუხარებია", „რთველი ტყეში", „წითელი ვაშლი ვის უნდა" — ეს ის კრებულებია, რომლებითაც ჩვენი პატარები სწავლობენ სამშობლოს სიყვარულს, სიკეთისა და პატიოსნების ფასს, იზრდებიან ქვეყნის მართალ მოქალაქეებად.

ნაყოფიერად მოღვაწეობთ ფოლკლორისტიკაში. თქვენი მონოგრაფიები „ფოლკლორული ეტიუდები", „ქართული ხალხური ლეგენდები", „ხალხური პროზის ზოგიერთი საკითხი", „ქართული წეს-ჩვეულებანი", „ხალხური დრამის საკითხები" ქართული ფოლკლორისტიკის მნიშვნელოვან შენაძენს წარმოადგენს.

აქტიური საზოგადოებრივი ცხოვრებით ცხოვრობთ. მწერალთა კავშირის საბავშვო ლიტერატურის სექციის ბიუროს თავმჯდომარე ბრძანდებით და დიდი წვლილი შეგაქვთ საყმაწვილო მწერლობის განვითარებაში, ახალგაზრდა შემოქმედთა პროფესიულ დაოსტატებაში.

ადამიანური სითბო, სისპეტაკე, ულალატო გული; უშურველობა გამოგარჩევთ მუდამ, ჩვენო ძვირფასო ძმაო.

კიდევ ერთხელ გილოცავთ საიუბილეო თარიღს, გისურვებთ დიდხანს სიცოცხლეს, ჯანმრთელობასა და ახალ შემოქმედებით წარმატებებს.

საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობა

## ორიოდე სიტყვა ერთ კაი კაცზე

თბილისში, ე. წ. თემქის დასახლებაში, ერთი თანამედროვე შენობის მეშვიდე სართულზე, ცასთან ახლოს, ცხოვრობს ერთი კაი კაცი.

ამ კაცს აივანზე უდგას ხის დიდი ყუთი.

ყუთში მიწაა.

მიწაში ქვევრი, —

ხან სავსე, ხან ნაკლული, —

არა წყლითა,

ღვინით.

აი, კაცი! —

ცაშიაც კი ვერ გაუძლია უმიწოდ, უმარნოდ, ულვინოდ...

ვერ გაუძლია იმ მიწის და იმ ღვინის გარეშე, რომელმაც შვა იგი, შთაბერა პოეტური სული და აისროლა ცაში.

ღმერთმა ნუმცა ქნას, რომ ოდესმე მიწას მოსწყდეს ეს კაცი, ვინაიდან სწორედ მიწაა ამ კაცის ლექსის დვრიტა, — ქართულ კრიალა ცასთან შეზელილი ნოყიერი ქართული მიწა.

ქართველი მკითხველი უკვე კარგა ხანია იცნობს ამ კაცის ჭეშმარიტი ხალხურობით აღბეჭდილ შემოქმედებას.

პირადად მე, მისი ლექსია, მოთხრობაა თუ საქციელი, იმიტომ მომწონს რომ, — ნაძალადევი არაა! — ნაღდია!

ეს კაცი ვახლავთ ჩემი კარგი მეგობარი, — ამჟამად უკვე სამოცი წლის ქართველი პოეტი, მეცნიერი და ბელეტრისტი ნოდარ შამანაძე.

გულით ვულოცავ მას დაბადების დღეს!

ვუსურვებ: ეცოცხლოს დიდხანს, ეწეროს ბევრი და კუბოს კარამდე ყოფილიყოს ასეთი, როგორიცაა ახლა!

**მუხრან მაჭავარიანი**




გამოვიდა ახალგაზრდა კრიტიკოსისა და პუბლიცისტის ნოდარ გრიგალაშვილის წიგნი „სამწუხარო პარალელები, აი, ვინ გვარცხვენს! კეისარს კეისრისა". როგორც სათაურიდანაც ჩანს, წიგნი სამი განყოფილებისაგან შედგება. პირველი — „სამწუხარო პარალელები" პუბლიცისტურ წერილებს აერთიანებს, მეორე — კრიტიკულ წერილებს, ხოლო მესამეში — ჩვენი სახელოვანი მწერლებისა და მოღვაწეების პორტრეტებია შესული.

ეს საკმაოდ საინტერესო და ორიგინალურად გაფორმებული წიგნი გამოსცა თეატრის მოღვაწეთა კავშირის გამომცემლობამ, იყიდება „მერანის" საფირმო მაღაზია-სალონში.



დავით კასრაძე 1888-1965 წლების ქართული ეროვნული ინტელიგენციის იმ წრეს ეკუთვნის, რომელიც საუკუნის დასაწყისში გამოვიდა სამოღვაწეო ასპარეზზე და მოვალეობად დაისახა მე-19 საუკუნის მამულიშვილთა სახელოვანი ტრადიციების ერთგულება.

უაღრესად მრავალფეროვანია დავით კასრაძის ლიტერატურული მემკვიდრეობა. მის კალამს ეკუთვნის პოეტური, პროზაული, დრამატული, პუბლიცისტური ნაწარმოებები, აგრეთვე უცხოური ლიტერატურის თარგმანები. მას გამოცემული აქვს თექვსმეტი რომანი. მათ შორის — „თეთრი ზამბახი“, „იბერიის დედოფალი“, „კეთრი“, „როსკიპი“, „ალა მაჰმად ხან“, „ერეკლეს ხმალი“, „განთიადამდე“, „გორის ციხე“, „უიალქნონი“ და სხვა. რვა პიესა; მონოგრაფიები ილია ჭავაჭვაძის, ვაჟა-ფშაველას, აკაკი წერეთლის, იაკობ გოგებაშვილის, დიმიტრი არაყიშვილის, მიხეილ ჯავახიშვილის, გალაკტიონისა და სხვა ქართველ მოღვაწეთა შესახებ. თარგმნილი აქვს ანატოლ ფრანსის „თაისი“, გოგოლის „მკვდარი სულები“, უაილდის „პადუის დედოფალი“, მოლიერის „მიზანთროპი“, ვერჰარნის „რიყრაყები“, როსტანის „სირანო დე ბერჟერაკი“, ნიცშეს „ასე იტყოდა ზარათუშთრა“ (რამდენიმე თავი) და სხვ.

დავით კასრაძე წერდა: „რაც კი დამიწერია და შემიქნია, მივუძღვენი ქართველის ერის მომავალ თაობებს, იმ შორეულ ყმაწვილებს, რომლებიც იცხოვრებენ გაცილებით უკეთესად, ვიდრე მათ წინაპართ უცხოვრიათ“.

ქართულ პერიოდიკაში სისტემატურად იბეჭდებოდა დავით კასრაძის ასობით პუბლიცისტურ-კრიტიკული სტატიები, რომლებშიც მახვილი თვალით იყო დანახული თანადროული ცხოვრების რთული საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოვლენები. მისი მახვილი კალმის ერთ-ერთი საყურადღებო ნაყოფია სატირული ეტიუდი „პარტიული თუთიყუშები“, რომელიც ჟურნალ „კლდის“ 1914 წლის 22-ე ნომერში დაიბეჭდა. ეს ნაწარმოები იმითაცაა საინტერესო, რომ მნიშვნელოვან სადღეისო პრობლემას ეხმაურება.

# პარტიული თუთიყუშები

გაგიგონიათ ოდესმე ერთი საბრალო თუთიყუშის ამბავი? ან იქნებ კიდეც გაიგონეთ, მაგრამ დაგავიწყდათ? თუ ასეა, კარგი, მე გაგახსენებ, მკითხველო:

ერთ ინდოელ მოგზაურს ჰყავდა გაწვრთნილი თუთიყუში, რომელსაც თუნდა ჩვენებურ სახელ „მათიკოთი“ მოვნათლავ. ამ თუთიყუშს უთავბოლო უბედობის დროს განსაკუთრებით უყვარდა ერთი ფრაზის განმეორება: „მათიკო ბედნიერია... მათიკო ბედნიერია...“ მართლაც, ბედნიერი იყო უდარდელი მათიკო, რადგან ასეთი უბედობისათვის პატრონი ჯილდოდ აძლევდა ხან თხილს, ხან შაქარს, ან სხვა რამ ტკბილეულს. მაგრამ რომელი ბედნიერებაა დაუსრულებელი? ინდოელის თუთიყუშსაც, ერთხელაცაა უნდა უბედურება ეწვეოდა! მართლაც, ეს ასე მოხდა: ერთ საღამოს ჩვენს მოგზაურს ღამის თევა მოუხდა ერთი გლეხის სახლში (შესაძლებელია, თავადის სახლშიც, მაგრამ თქმულება გლეხს ასხენებს). თუთიყუში მიაბინავა, შემდეგ ივახშმა და დაიძინა. არ ვიცი, რატომ, (ამას ისევ იგივე თქმულება ამბობს) თუთიყუშს რატომღაც არაფრად ესიამოვნა ნაადრევად ძილი, წამობაჯბაჯდა, სარიხიდან გადაფრინდ-გადმოფრინდა და თავისებურად მოშყვა უბედობით თავის შექცევას. მაგრამ შეხედეთ მის პირქუშ ბედს! უცაბედად სანათს ფრთა შემოჰკრა და ცეცხლი მოეკიდა. შემფრთხალმა მათიკომ იგრძნო საშინელება და გამწარებით დაიწყო ძახილი: „მათიკო ბედნიერია... მათიკო ბედნიერია...!“ მოგზაურს ყურიც არ გაუბერტყნია: შეჩვეული იყო მის ამგვარს უბედობას და ამიტომაც უდარდელად ძილს განაგრძობდა. ამასობაში კი საბრალო თუთიყუში საცოდავად დაფართხალობდა და უკანასკნელ სულის ამოსვლამდე არ შეუწყვეტია ძახილი: „მათიკო ბედნიერია.. მათიკო ბედნიერია...!“

ნეტარ არიან მორწმუნენი...

მაგრამ მკითხველო, ჩვენ კარგად გვესმის, რამდენად „ბედნიერი“ იყო ინდოელის თუთიყუში! იღიმებით, განა? მაგრამ აჩქარდით! მოითმინეთ, პატარა მოითმინეთ, თვალი გადაავლეთ ჩვენს თანამედროვე სოციალ-პოლიტიკურ ცხოვრების მიმდინარეობას, რამდენ თუთიყუშს მოჰკრავთ თვალსა, რამდენი პარტიული თუთიყუშია თავით ბოლომდე ცეცხლის ალში გახვეული! მართალია, ხომ?! თქვენი ღიმილი შეიცვალა... შუბლი ანაოჰდა... ღრუბელი გეფინებათ... ეს სიზმარია... რაღაცა დაუჯერებელი სანახაობა... საშინელებათა საშინელება... თქვენ ოფლს იწურავთ... ფანტასმაგორიად გეჩვენებათ ეს სინამდვილე!.. აგერ, სასოწარკვეთილებამაც კი მოგიცვათ და რუსთაველის შემკრთალ ვეზირის მოწიწებით მოასხენებთ როსტევანს — საქართველოს ბედს; დიახ, მართალია, მართალი:

„...მზე აღარ მზეობს ჩვენთვისა, დარი არ დარობს დარულად..!“

მართლაც, რომელ მზეს შეუძლია გაუცინოს იმ ქვეყანას, სადაც მამულიშვილთა წმიდა საფლავებზე მათი შვილები დავლურს უვლიან?

რომელ მზეს შეუძლია დარი ახაროს იმ ქვეყანას, სადაც ერის დიდებას თვითვე ჰკლავენ, სადაც აღარ არსებობს სინიდისის მხილება, პატიოსნება? რომელ მზეს შეუძლია იმ ქვეყნის აღორძინება და გახსივოსნება, სადაც უგუნური გატაცებით ლეგა ღრუბლებში დავქანაობთ იკაროსის ფრთებით და გვავიწყდება სინამდვილე, თუ აქ... დაბლა... სამშობლოს გულში როგორ ჰლახავენ ჩვენს ეროვნულს თავმოყვარეობას!..

რომ აქ... დაბლა... სამშობლო გულში ჰიდი, შიმშილი მძვინვარებით როგორ ჰშლის ფრთებსა!..

რომ აქ... დაბლა... სამშობლო გულში როგორ ერეკებიან ჩვენს სოფლებს... ხდება დარბევა...

თუ აქ... დაბლა სამშობლო გულში...

მაგრამ რა სამშობლო, რის სამშობლოს გული?

საქმეა ქვეყნიერებაა!.. მსოფლიო!

საქმე საერთაშორისო სამშობლოა...

Omni patria.

თუ არ ვუშველეთ, დაიღუპება საფრანგეთი... მას გერმანია მიჰყვება... ინგლისი... შორს — ამერიკა...

აზურიანი... ტირიფონა კი, ეს საუკეთესო ეტაპებია!... უკეთ, სინონიმები ჩვენი... გაპროლეტარებისა... საერთაშორისო გათქვეფისა...

საერთაშორისო გაქრობისა...

მაშ რის სამშობლო, რის ტირიფონა?

ვიბრძოლოთ გარეულებისთვის...

ვიბრძოლოთ შორეულებისთვის...

იქ... შორეულ ალმოსავლეთში...

იქ... აფრიკის გულში...

იქ... თეთრ-შავ-წითელ-კანიანებისთვის...

იქ... ტუნდრებში... ტაიგაში...

ვიბრძოლოთ ჩუვაშებ-სამოედ-მნაცაკანიანცებისთვის...

უჩვენოთ ვერ იარსებებს ჩინეთის რესპუბლიკა...

ფრანგთა პარლამენტი...

ლორდთა პალატა...

მაშ რის ქართველობა, რა ქართველობა!

რომელი სამშობლო.

რომელი ილია!

რომელი ყიფიანი?...

საქმე პროლეტარიატია...

საქმე გათქვეფაა...

უსაზღვრო საზღვა...

უსახელო სახელწოდება...

ან რომელი ილია და დიმიტრი ყიფიანი წარუდგება გუშინდელ მოკლულს ან ციხეში ამომწყვდეულ ამხანაგ გოგიელას, მოთარეშე სედრაკას, ბრუციან არშაკას, მათგან ჩვენი ხალხის რბევასა და ქელვას...

შორეულისთვის...

ერთმანეთში ათქვეფისთვის...

ბედნიერები ვართ... ბედნიერები!...

აი, ჩვენებურ თუთიყუშების ყოველდღიური façon de parler!

აი, მათი ყოველ დღიური façon d'agir ამ საზოგადო ცეცხლის მოკიდების დროს!!!

მაშ, რომელი მზე გაგვათბობს. რომელი მზე?..

ჩემო სამშობლო, შენს ტურფა კიდეებზე შორიდან ვჭვრეტ ზევსური სიდარბაისლით მოდუდუნე მტკვარს, ალაზანს, რიონს თუ გიჟურად მოთამაშე არაგვის ზვირთებს, მაგრამ რა, ეშა, სად კმარა, სად მათი ზვირთები, თუნდა სულ მთლად შენანების ცრემლად ვაქციოთ, რომ ჩამოვირეცხოთ ის სირცხვილი, რომელსაც დიდი ხანია ჩვენი პოლიტიკური პარტიული თუთიყუშებისაგან განვიცდით! მაგრამ იქნებ განგებ აუცილებელიც იყოს ეს დანტესებური ჯოჯოხეთის კარის ბჭის გავლა, რომ შენი სამოთხის მშვენიერება უფრო მეტად მოგვწყურდეს! იქნებ ამგვარ თუთიყუშებმა უფრო დაგვაშურონ შენი შვილნი შენს თავისუფლების საძიებლად.

იქნებ... იქნებ..!

**ᲓᲐᲕᲘᲗ ᲙᲐᲡᲠᲐᲫᲔ.**

# წერილი შოტლანდიიდან

შოტლანდიაში ნაყოფიერად მოღვაწეობს ქართველი ხალხის მეგობარი, ძველი ქართული ლიტერატურის მკვლევარი და მთარგმნელი, ინგლისელი ქართველოლოგი — პროფესორი რობერტ სტივენსონი, რომელსაც შემოქმედებითი კონტაქტები აქვს დამყარებული ქართველ მეცნიერებთან (ალექსანდრე ბარამიძე, შოთა ძიძიგური, გიორგი ჯიბლაძე, იოსებ მეგრელიძე, ალექსანდრე გვახარია, სერგო თურნავა და სხვ.).

ბატონ რობერტ სტივენსონს გაუგია ლონდონის უნივერსიტეტის პროფესორის ჯორჯ ჰიუიტის ცილისმწამებლური წერილის შესახებ. აი, რას წერს იგი 1989 წლის 2 სექტემბრის წერილში:

„ძალიან გამახარა თქვენმა ა/წლის 28 ივლისის წერილმა, რომელშიც ჩადებული იყო თქვენს მიერ ქართულ პრესაში გამოქვეყნებული სტატია ილია ჭავჭავაძეზე და რეცენზია ნელი ანდრონიკაშვილის წიგნზე „რობერტ სტივენსონის ქართველოლოგიური ძიებანი“. დიდი მადლობა თქვენ ყოველივე ამისათვის.

ვშიშობ, რომ საკმარისად არ ვიცნობ ილია ჭავჭავაძის ეპოქის ქართულ ლიტერატურას, კომპეტენტური აზრი რომ გამოვთქვა თქვენს ნაშრომზე. სტატია დაწერილია თქვენთვის დამახასიათებელი ხათელი სტილით, გატაცებით და ენთუზიაზმით. მომეწონა თქვენი მოსაზრებანი არტურ ლაისტზე, ჟიულ მურიეს, უორდროპებისა და რუთ ნოიკომის მოღვაწეობაზე. თქვენი ნაშრომი საინტერესო ინფორმაციას აწვდის მკითხველს.

რაც შეეხება თქვენს რეცენზიას დოქტორ ნელი ანდრონიკაშვილის წიგნზე, სადაც ავტორი ჩემს ქართველოლოგიურ ნაშრომებს იხილავს, დაწერილია საქმის კარგი ცოდნით, გულთბილად. ყოველთვის თბილ დამოკიდებულებას იჩენთ ჩემს მიმართ. თქვენმა რეცენზიამ ძალიან მასიამოვნა, ყოველთვის მადლიერების გრძნობით ვიგონებ თქვენს ნაშრომებს ჩემს მოღვაწეობაზე. მაგრამ მე არ ვიმსახურებ ამდენს. გაოცებული ვარ ჩემი ქართველი მეგობრების თავაზიანობითა და ყურადღებით.

ახლა კი, ძვირფასო მეგობარო, მინდა მივუბრუნდე ჯორჯ ჰიუიტის „ღია წერილს“.

ერთ-ერთი შოტლანდიური ანდაზა ამბობს, ზოგიერთების უაზრო ლაპარაკს კაცმა საერთოდ ყური არ უნდა დაუგდოსო. გავიხსენო მინდა ერთი ნაწყვეტი XVII საუკუნის შვედი პოეტის გორან სტჯერნჯელმის ნაწარმოებიდან, რომელშიც ლაპარაკია იმაზე, რომ ავი ძაღლები უეფოთ მისდევენ ვილაცას — იდეა იგივეა, წარმოიდგინეთ ჯორჯ ჰიუიტი იმ ავ ძაღლად, რომელიც გაბოროტებით უტევს საქართველოს.

ახლა შემიძლია მივმართო ჩემი ქვეყნის გამოცდილებას. ამ ბოლო ორი საუკუნის განმავლობაში დიდ ბრიტანეთს მუდმივად ლანძღავს ზოგიერთი მთავრობა ან ადამიანთა ჯგუფი მსოფლიოს ამა თუ იმ ქვეყანაში. როგორც ცნობილია, მეტისმეტად ტრაგიკული მდგომარეობაა ჩრდილო ირლანდიაში, მკაცრად აკრიტიკებენ აქაურ ხელისუფალთ. რომელიმე ახალგაზრდას თბილისის უნივერსიტეტიდან ამ თემაზე რომ გამოექვეყნებინა „ღია წერილი ინგლისელ ხალხს“, უბრალოდ მხრებს ავიჩეჩდი და ვიტყოდი: რა უნდა იცოდეს მან ამ უაღრესად რთული პრობლემის შესახებ, მრავალი საუკუნის ისტორია რომ აქვს? ეს კი საშუალებას მაძლევს დავინახო საქმის ნამდვილი არსი: სასაცილო მდგომარეობაშია ჩავარდნილი ახალგაზრდა ინგლისელი კაცი, რომელმაც, გარდა აკადემიური ლინგვისტიკისა, სრულყოფილად არაფერი იცის, მაგრამ მაინც ბედავს უქადაგოს სხვა ქვეყანას, სხვა ხალხს, თუ როგორ უნდა წარმართოს მან საკუთარი საქმეები.

ჯორჯ ჰიუიტმა აფხაზურის შესასწავლად საქართველოში გაატარა მრავალი წელი, მას შეეძლო ზრდილობიან ფორმებში გამოეთქვა აზრი, მაგრამ იგი აღმოჩნდა ბრიყვი, რითაც იგი თავის თავს ზიანს მოუტანს. საქართველოს შეუძლია სულგრძელობის გამოჩენა და თუ ჰიუიტი ამას შეიგნებს, აპატიოს კიდეც ეს სიბრიყვე. ასეთი მოქმედებით ჯორჯ ჰიუიტი საქართველოს ვერ ავნებს.

შეიძლება თქვენ იფიქროთ, რომ ჯორჯ ჰიუიტი პროპაგანდას გასწევს მთელ მსოფლიოში, მაგრამ მერწმუნეთ, თუ ის ამგვარ რაიმეს შეეცდება ჩემს ქვეყანაში, ვერავითარ გავლენას ვერ მოახდენს ოფიციალურ ან საზოგადოებრივ აზრზე.

ჩვენ არ გვჩვევია ვუსმინოთ უგუნურ ახალგაზრდებს, რომელთაც არაფერი გაეგებათ. შემიძლია გითხრათ, რომ ყველა გამოხმაურე საქართველოზე რასაც წავაწყდი უახლოეს თვეებში, ჩვენს ჟურნალებში, რადიოსა და ტელევიზიაში აღბეჭდილი იყო კეთილი განწყობით. ინგლისში არასოდეს გამოუჩენიათ თქვენი ქვეყნისადმი ისეთი დიდი ინტერესი, როგორსაც იჩენენ ამ ბოლო ხანებში.

ხომ არ გექნებათ საშუალება ჩემთვის შეიძინოთ „რუსუდანიანის“ რუსული თარგმანი, რომელიც შეასრულა ა. ბეჭტაბაშვილმა და 1971 წელს გამოსცეს გიორგი ლეონიძემ და ალექსანდრე გვახარიამ?

ჩემთვის გასაგებია, რომ ამ ნაწარმოების ახლა შოვნა ძნელია, ის ბრილიანტივით იშვიათია. თუ მაინც იშოვით ამ წიგნს, გთხოვთ გამომიგზავნოთ, ძალიან მესაჭიროება ჩემს თემასთან დაკავშირებით. დიდი მადლობელი ვიქნები.

ჩემს მუშაობაში განსაკუთრებით ახალი არაფერია. თუმცა ახლახან დავამთავრე მთლიანად „ბარამგურიანის“ კრიტიკული განხილვა, მართალია, ნელი ტემპით ვმუშაობდი, დიდი ხანი დამჭირდა. ახლა ჩემი ფიქრი იმაზეა, რომ მეტი ყურადღება უნდა მივაქციო XVII საუკუნის ქართულ ლიტერატურას. გთხოვთ, რაც შეიძლება სწრაფად შემატყობინეთ წერილის მიღება.

საუკეთესო სურვილებით თქვენი **ᲠᲝᲑᲔᲠᲢ ᲡᲢᲘᲕᲔᲜᲡᲝᲜᲘ**.

შოტლანდია, 1989 წლის 2 სექტემბერი

ინგლისურიდან თარგმნა **ᲠᲣᲡᲣᲓᲐᲜ ᲗᲣᲠᲜᲐᲕᲐᲛ**



# „თავისუფლება სულს ისე მოსწყურდა...“

აგერ უკვე მეორე გაზაფხულია ზეიმით აღვნიშნავთ ათწლეულების მანძილზე ტაბუდადებულ 26 მაისს. ეს დღე თითოეული ჩვენგანისათვის იმედისმომცემ, ბედნიერ თარიღად გადაქცეულა.

საქართველოს სახელმწიფოებრიობის აღდგენის 72 წლისთავს მიეძღვნა თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრში 25 მაისს ჩატარებული საღამო-სპექტაკლი „წუთისოფელი ასეა“. ოპერის თეატრის სოლისტის შოთა ჩაკვეტაძის ლიტერატურულ-მუსიკალურ კომპოზიციაზე შექმნილმა სპექტაკლმა დიდი შთაბეჭდილება დატოვა იმ დღეს თეატრში მოსულ მაყურებელზე. შოთა ჩაკვეტაძე წლების განმავლობაში მუშაობდა თავის ნაწარმოებზე, რომელსაც „ქართლის ცხოვრების სურათები“ უწოდა და რომლის რამდენიმე ნაწილიც შესრულდა იმ საღამოს („საბა“, ბალადა „შემომეყარა ყივჩაღი“, „თამარ მეფე და ხონთქარი“, „მზე შინა და მზე გარეთა“, „იავნანა“, „მარტყოფელი ბიჭები“, „ვეფხი და მოყმე“ და „დიდი ფინალი“).

საღამო გახსნა და 1918-21 წლების ისტორიულ ამბებზე მოკლედ ისაუბრა ა. ჭორჯაძის საზოგადოების წევრმა ე. გიორგაძემ. მონაწილეობდნენ: ზ. კვერენჩხილაძე, ზ. ქაფიანიძე და გ. ბეგბეჭკორი. მაყურებლის მოწონება დაიმსახურა მ. აბულაძისა და ოპერის სოლისტების ე. გეწაძის, რ. კაკაბაძის, თ. ზაალიშვილის, ა. შომახიას, ნ. ნაჭყებიას, ი. კავსაძისა და მ. დავითაშვილის მიერ შესანიშნავად შესრულებულმა მუსიკალურმა ნაწილმა. საღამოს მშვენებად იქცა ბათუმის ბავშვთა კვარტეტი — სოფიკო, გოგლა, თენგიზ გაბაიძეებისა და გიორგი გელაშვილის შემადგენლობით (ხელმძღვანელი მ. გაბაიძე). სპექტაკლ-საღამოში მონაწილეობდნენ ოპერის ბავშვთა კაპელა (ხელმძღვანელი — ქ. შინდაგორიძე), ოპერის გუნდი, სიმფონიური ორკესტრი, საქართველოს სახელმწიფო კაპელა, საქართველოს ხალხური სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლი, ვოკალური ანსამბლი „ფაზისი“. საღამოს დირიჟორობდა ბათუმის სიმფონიური ორკესტრის მთავარი დირიჟორი და სამხატვრო ხელმძღვანელი, დავით მუქერია. ცალკე უნდა აღინიშნოს რეჟისორ გურამ მელივასა და მხატვარ უშანგი იმერლიშვილის ნამუშევარი. სცენას ფონად ჰქონდა საქართველოს რუკა, კუთხეში ნახევრად ჩაბნელებული მზით. როცა ფინალში სცენიდან წამოსული, ხელიდან ხელში გადმოსული თავისუფლების დროშის ნაწილი დარბაზშიც გადმოვიდა, სცენა და დარბაზი დროშის ქვეშ გაერთიანდა, ამფითეატრიდან „რუსთავმა“ „ჩემო კარგო ქვეყანავ“ შემოსძახა, მთელი დარბაზი „რუსთავთან“ ერთად მღეროდა. იმ საღამოს საქართველოსთან ერთად იყო საფრანგეთიდან სპეციალურად ჩამოსული ვიქტორ ხომერიკიც.

დასასრულს, ოპერის სოლისტმა ე. გეწაძემ საზოგადოებას აცნობა, რომ იმ დღიდან ოპერისა და ბალეტის თეატრს ეწოდა „ეროვნული თეატრი“.

აუცილებლად უნდა აღვნიშნოთ ისიც, რომ იმ საღამოს სპონსორები იყვნენ: გაზეთი „ლიტერატურული საქართველო“, „დავით აღმაშენებლის“ საზოგადოება, საზოგადოება „თბილისელი“, პურპროდუქტების სამინისტროს მექანიკური და სამშენებლო-სარემონტო კომბინატი, ტურიზმისა და ექსკურსიების საქართველოს რესპუბლიკური საბჭო.

ციცინო ჯერვალიძე

# ნიჭიერი შემოქმედი

ქართულ სახვით ხელოვნებაში და კერძოდ, ქანდაკებაში, 60-70-იანი წლები ახალი შემოქმედებითი გზებისა და ტენდენციების ძიებით გამოირჩევა. ახალგაზრდა მოქანდაკეთა გარკვეული ჯგუფისათვის დამახასიათებელია ეროვნული ხალხური შემოქმედების მხატვრული სახეების საკუთარი ინტერპრეტაციით გადმოცემა. ისინი ქართული პლასტიკის, კერძოდ, რელიეფური ქანდაკების მხატვრულ ხერხებს მიმართავენ. ლაშარი ბუხაიძე ამ თაობის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელია. 1968 წელს დაამთავრა თბილისის სამხატვრო აკადემია ქანდაკების განხრით. მისი ხელმძღვანელი იყო გამოჩენილი ქართველი მოქანდაკე ნიკოლოზ კანდელაკი. ამ პერიოდში იწყება ლაშარი ბუხაიძის ინტენსიური შემოქმედებითი მოღვაწეობა. წარმატებით მონაწილეობს, როგორც საქართველოს და საკავშირო, ასევე საზღვარგარეთ გამართულ მხატვრულ გამოფენებში.

ლაშარი ბუხაიძის შემოქმედება გამოირჩევა უაღრესად ორიგინალური და თვითმყოფადი ძერწვის მანერით. განზოგადებული, ფართო სიბრტყეებით შექმნილი პლასტიკური ფორმები მკვრივია. ფიგურების სილუეტი მკაფიოდ იკითხება. მოქანდაკე ყურადღებას ამახვილებს ადამიანის სხეულის სილამაზეზე და ამისათვის იყენებს პირობით დრაპირებას. მის ნამუშევრებში ვლინდება მონუმენტალობის და დაზგური ელემენტების შერწყმისაკენ სწრაფვა. ჟანრული ხასიათის სკულპტურულ ფიგურებში მოქანდაკე ყურადღებას ამახვილებს ქართული ეროვნული ხასიათის ძირითად ნიშან-თვისებებზე და ზუსტად მიგნებული პლასტიკური შესაძლებლობებით ავლენს მათ. მის ნამუშევრებში იკითხება სიკეთე, უშუალობა, სიცოცხლის სიყვარული. ყოველივე ეს შერწყმულია შინაგან შემართებასა და ენერგიასთან. მოქანდაკე გვთავაზობს ტრადიციული თემატიკის ორიგინალურ ინტერპრეტაციას, ფიგურები უმეტესად სტატიკურია. მოძრაობაში გადმოცემული სკულპტურული ფიგურები კი გამოირჩევა მკაფიო, მკვეთრი და ძალის გამომხატველი ხაზებით, დინამიზმით. ამას ხელს უწყობს მოქანდაკის მიერ მასალის — ბრინჯაოს თავისებურების ოსტატური ფლობა. ამ მხრივ ძალიან საინტერესოა „ლახტი“, „ძიუდო“ და „მოკრივე“.

ძველი ქართული პლასტიკის გარკვეულ ასოციაციას იწვევს მეფე არჩილ II-ის ფიგურა, შესრულების მანერით იგი მჭიდროდაა დაკავშირებული მოქანდაკის ჟანრულ ნამუშევრებთან. განზოგადებული ფორმებით გადმოცემული ხაზგასმული გარეგნული სიმშვიდე ფიგურას სიდიადეს და დარბაისლობას ანიჭებს.

განსხვავებულია მეომრის ფიგურების („მოწოდება“, „გამარჯვება“, „პარტიზანი“ და სხვა) გადაწყვეტა, მათ გარეგნულ ვაჟკაცურ იერში მებრძოლის სულისკვეთება, შინაგანი ძალა და შემართებაა გამოხატული.

პლენერისათვის გათვალისწინებული მჯდომარე შიშველი ფიგურები ფორმების დამუშავების ხასიათით მკვეთრად განსხვავდება ზემოთ ჩამოთვლილი ნამუშევრებისაგან. აქ იგრძნობა მოქანდაკის ფართო ჟანრული დიაპაზონი, შემოქმედებითი აზროვნების თავისებურება. ფიგურები გამოირჩევა სავსე, მკვრივი ფორმებით, ლირიზმით, მუსიკალურობით, ორიგინალურობით. ძერწვა აქაც განზოგადებულია. ფიგურების საერთო მშვიდი იერი ვერ ფარავს მათში ჩაქსოვილ შინაგან დაძაბულობას, რომელიც ხშირად დრამატიზმამდეა აყვანილი („გაზაფხული“, „დილა“).



„შემოდგომა“

ისეთ სკულპტურულ ფიგურებში, როგორიცაა „მკელი“, „მწყემსი“, „მეცხვარე“ მხატვარი გამოხატავს თავის დამოკიდებულებას ადამიანისა და ბუნების ერთიანობის, მათი ჰარმონიული თანაარსებობის აუცილებლობის მიმართ: ქართული ხასიათისადმი, ქართველი გლეხკაცისადმი მოწიწება და სიყვარული ლაიტმოტივად გასდევს მთელ მის შემოქმედებას. ეს ჟანრული ხასიათის ფიგურები გათვალისწინებულია პლენერზე დასადგმელად, ქანდაკების სივრცობრივ-პლასტიკური გადაწყვეტა ხელს უწყობს მათ გარემოსთან შერწყმას.

დღეს მხატვარი თბილისის სამხატვრო აკადემიაში ნაყოფიერ პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწევა. სრულიად კანონზომიერია, რომ თბილისის სამხატვრო აკადემიის ხელმძღვანელობამ მოქანდაკე საქართველოს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის წოდებაზე წარადგინა.

ლაშარი ბუხაიძის სწრაფვა სტილისტური მრავალფეროვნებისაკენ, მისი შემოქმედების ფართო ჟანრული დიაპაზონი, ალბათ, კიდევ არაერთი მხატვრული ღირსებებით გამორჩეული ნაწარმოების შექმნას გვპირდება.

გიორგი მახარაშვილი

# მრთი დავის ისტორია

ახლახან რედაქციაში გვეწვია ახალქალაქის რაიონის სოფელ ხულგუმოს მცხოვრები რომანოზ ზარიძე. თავისი გასაჭირი გვიამბო და დახმარება გვთხოვა. უკვე რამდენიმე წელია, ეს კაცი ერთი ინსტანციიდან მეორეში დადის და სამართალს ეძებს, მაგრამ ვერაფერი გააწყო.

რომანოზ ზარიძეს მეუღლე და ორი შვილი ჰყავს. მისმა მეზობელმა პოლოს მანველიანმა რამდენიმე წლის წინ მიითვისა ზარიძეების მიწის ნაკვეთის ნაწილი, თვითნებურად გადასწია ღობე მათი ეზოს მხარეს და დამხმარე ნაგებობები ააშენა. ამის გამო დავა წლების განმავლობაში გრძელდება. საქმე არაერთხელ განიხილეს სხვადასხვა ინსტანციებში, ახალქალაქის რაიონული საბჭოს აღმასკომმა და პროკურატურამ დაამოწმა პ. მანველიანის მოქმედების უკანონობა, მაგრამ საქმეს არაფერი ეშველა. მოგვიანებით საქართველოს აგროსამრეწველო კომიტეტმა 1987 წელს შექმნა კომისია, რომელმაც ადგილზე შეისწავლა ეს საქმე და დაადგინა, რომ პ. მანველიანის მოქმედება უკანონოა, ახალქალაქის აგროსამრეწველო კომიტეტს დაევალა ამ დავის მოგვარება, პ. მანველიანს ღობე უნდა აეღო და ნაგებობები გადაეტანა, მაგრამ 1988 წელს განმეორებით შემოწმებისას გაირკვა, რომ დავალება არ შეუსრულებიათ პ. მანველიანის წინააღმდეგობის გამო (?).

რომანოზ ზარიძე გვიამბობს, აგრომრეწვმა ღობე აალებინა პ. მანველიანს, მაგრამ მან მეორე დღესვე ახალი ღობე გაავლო. საქმე იქამდე მივიდა, რომ ზარიძის ცოლს მეზობელმა ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა, მთელ ოჯახს წყალი გადაუკეტეს, სინათლე გადაუჭრეს. და ყველაფერი დღისით-მზისით, ახალქალაქის მესვეურთა თვალწინ ხდება.

აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ ზარიძეების ოჯახი ერთადერთი ქართული ოჯახია ხულგუმოში. სოფელი სომხებითაა დასახლებული. ჩვენ ვნახეთ სომხურ ენაზე დაწერილი ამონაწერი სოფლსაბჭოს ოქმიდან. რომანოზ ზარიძეს ამონაწერი რუსულად უთარგმნეს. სხვათაშორის, ეს საბუთიც პ. მანველიანის დანაშაულს ადასტურებს.

შვიდი თვის წინ რომანოზ ზარიძე სამსახურიდან მოხსნეს. როდესაც სათანადო ინსტანციებში მიზეზით დაინტერესდნენ, აღმოჩნდა, რომ ეს მიზეზი სამსახურში დაგვიანება ყოფილა.

როგორც ჩანს, ზარიძეების ოჯახს წლების განმავლობაში მეთოდურად დევნიან და ავიწროვებენ. სხვაგვარად როგორ შეიძლება ავხსნათ, რომ მისი დავა პ. მანველიანთან ამდენი ხნის მანძილზე ვერ მოგვარდა, რომ კაცი ასე უბრალოდ მოხსნეს სამსახურიდან, რომ მის ცოლ-შვილს სახლიდან გამოსვლისა ეშინია. რომანოზ ზარიძე გვეუბნება, ჩემი მტრედებიც კი არ გადიან ეზოდან, რადგან უკან ველარ ბრუნდებიანო.

საკითხავია, სად არის ამ დროს მილიცია, სად არის სასოფლო საბჭო ან რატომ არავის თხოვს პასუხს კოლმეურნეობის თავმჯდომარე პ. ტოპალიანი.

კიდევ ბევრი რამ გვიამბო რომანოზ ზარიძემ. გვიამბო, როგორ ცდილობენ იქაურები, რომ ქართველები არ დამკვიდრდნენ ახალქალაქის რაიონში, როგორ ექცევიან იქაურ ეკლესიებს...

ერთი რამ აშკარაა — ახალქალაქის რაიონში ბევრი პრობლემა აქვთ ქართველებს და მათი გადაჭრა აუცილებელია. ამ საქმის გადადება აღარ შეიძლება. რომანოზ ზარიძის ამბავი ასე დაწვრილებით იმიტომ გიამბეთ, რომ ეს არ არის ჩვეულებრივი დავის ისტორია. ამ დავას გაცილებით ღრმა ფესვები აქვს და მისი მოგვარება ყოველი ჩვენგანის ვალია.

წერილებისა და ინფორმაციის განყოფილება.

**შეცდომების გასწორება**

ა. წ. 11 მაისის ჩვენს გაზეთში გამოქვეყნებულ გ. ფანჯიკიძის წერილში „სიძე, შე ძველო!“ მეორე სვეტის ბოლოს წინა აბზაცის დასასრულს წერია: „ყოველწლიურად“, უნდა იყოს: „ყოველდღიურად“. ბოლო სვეტის მეშვიდე აბზაცში წერია: „უნდა დაჰყარო“, უნდა იყოს: „უნდა დაყარო“.



„დილა“.

საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობა და გაზეთ „ლიტერატურული საქართველოს“ რედაქცია თანაგრძნობას უცხადებენ პოეტ ვალერიან სალლიანს დედის

ნინო არღვლიანი-სალლიანის

გარდაცვალების გამო.


მთავარი რედაქტორი ელიზბარ ჯაველიძე

სარედაქციო კოლეგია: თამაზ ბიბილური (მთავარი რედაქტორის მოადგილე), ზვიად გამსახურდია, ლაშა თაბუკაშვილი, ჯუმბერ თითმერია (მთავარი რედაქტორის მოადგილე), ანა კალანდაძე, ნოდარ ნათაძე, გურამ ფანჯიკიძე, ოთარ ჩხეიძე, თამაზ ჩხენკელი, ხარბის ცაიშვილი, გივი ძნელაძე, თამაზ წივწივაძე, თამაზ ჭილაძე.

პასუხისმგებელი მდივანი გივი ჯოხაძე

მორიგე რედაქტორი ანდრო ბედუკაძე



რედაქციის მისამართი: 380008, თბილისი, გუდიაშვილის მოედანი №2

ტელეფონები:
მთ. რედაქტორის მისაღები — 99-84-04.
მთ. რედაქტორის მოადგილის — 99-91-89
პასუხისმგებელი მდივნის — 99-67-10
განყოფილებების — 99-72-89; 99-71-63; 99-03-65. 98-36-68.
რედაქციაში შემოსული მასალა არ უნდა აღემატებოდეს მანქანაზე ნაბეჭდ 14 გვერდს.
მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

ლიტერატურული საქართველო

«ЛИТЕРАТУРУЛИ САКАРТВЕЛО»
ОРГАН ПРАВЛЕНИЯ СП ГРУЗИИ

გამოდის პარასკეობით